*საკვანძო სიტყვები:* ემიგრაცია, იდენტობა, ნოსტალგია, პოეზია, კულტურა.

**Shorena Bolkvadze**

*Batumi Shota Rustaveli State University*

*Georgia, Batumi*

### **The Artistic – Publicistic Discourse of Georgian Emigrant Memoirs**

Emigration and memoir writing form a significant corpus of world literature. It is evident that these two terms – signifying both a social-civic status and a literary genre – are concepts fused together as inseparably as “form” and “content,” and their meaning is explored not only by modern literary studies but also by cultural studies.

For any person, at any time, emigration is a stressful factor that intensifies the urge for self-representation; under such conditions, writing turns into an impulse stronger than a mere wish, and the recording of memories is dictated by an instinct for survival.

In this study we aim to examine how transitional epochs and revolutionary upheavals influence forms of self-expression, and to present memoir writing – artistic-documentary prose – as a socio-cultural facet of émigré life. We will review each wave of Georgian emigration: the first Georgian princely diaspora in Russia, the European emigration that followed Sovietization, and the contemporary period as well. During transitional periods when exile from the homeland – forced emigration – becomes an inescapable verdict, a person’s evaluation of his or her life and personal experience is reduced to a single question: can one survive? Writing memoirs becomes a guarantee of survival, while “survival” itself remains the thematic leitmotif of émigré memoirs. The idea behind depicting the people who have been expunged from one’s biography is to restore them to that biography.

In recent years, attitudes toward the past have changed markedly. Special attention to memorial acts – “settling accounts” with the past – has become a central literary motif: “The world has been inundated by a flood of memories that has closely linked loyalty to a real or imagined past with collective consciousness, memory, and identity” (Nora 2005: 391). Hence the popularity of memoir literature is quite natural – especially in émigré writing, where this phenomenon has its own political and socio-cultural foundations. Accordingly, our study will examine Georgian émigré memoir literature, the aspects of its current relevance, and its artistic particularities

## **შორენა ბოლქვაძე**

*შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საქართველო, ბათუმი*

### **ქართული ემიგრანტული მემუარისტიკის მხატვრულ-პუბლიცისტური დისკურსი**

ემიგრაცია და მემუარები მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი კორპუსია. თანამედროვე რეალობაში თვალსაჩინოა, რომ ეს სოციალურ-მოქალაქეობრივი სტატუსისა და ლიტერატურული ჟანრის აღმნიშვნელი ტერმინები „ფორმასა“ და „შინაარსით“ გადაიკვანძა. ეს მოვლენა დისკურსული ხასიათისაა, რადგან მის ახსნას თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის გარდა, კულტუროლოგიაც ცდილობს.

ადამიანისთვის ემიგრაცია ნებისმიერ ეპოქაში სტრესული ფაქტორია, რაც ააქტიურებს საკუთარი თავის რეპრეზენტაციის სურვილს, ამ შემთხვევაში წერა იქცევა სურვილზე უფრო ძლიერ იმპულსად და მოგონებების დაფიქსირება განპირობებულია გადარჩენის ინსტინქტის კარნახით. ამიტომაც მემუარული ტექსტების სიჭარბე ემიგრაციის თანამდევია.

ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ გარდამავალი ეპოქებისა და რევოლუციური ცვლილებების გავლენა ადამიანის თვითგამოხატვის ფორმებზე, ხოლო მემუარისტიკას, მხატვრულ – დოკუმენტურ პროზას, წარმოვადგენთ როგორც ემიგრანტული ცხოვრების სოციო-კულტურულ ასპექტს. კვლევა დაეყრდნობა მემუარულ-ავტობიოგრაფიულ ტექსტებს, გავაანალიზებთ ქართული ემიგრაციის თითოეულ ტალღას (წერილობით მემკვიდრეობას): ბატონიშვილთა პირველ ქართულ დიასპორას რუსეთში, ევროპულ ემიგრაციას გასაბჭოების შემდგომ და თანამედროვეობასაც. გარდამავალ პერიოდებში, როცა განაჩენი სამშობლოს დაკარგვა – იძულებითი ემიგრაციაა, ადამიანი საკუთარ ცხოვრებას პირადი გამოცდილებით აფასებს, სწორედ იმ ნიშნით, რომ შეგიძლია გადარჩე. გადარჩენის გარანტიად მემუარების წერა, ხოლო ემიგრანტული მემუარების თემატურ ლაიტმოტივად ისევ „გადარჩენა“ რჩება. მემუარების შექმნისას საკუთარი ბიოგრაფიიდან განდევნილი ადამიანების იდეა არის საკუთარ ბიოგრაფიაში დაბრუნება.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს ცნობიერებაში არსებითად შეიცვალა წარსულისადმი დამოკიდებულება. მემორიალური აქტებისადმი განსაკუთრებული ყურადღება, წარსულთან „ანგარიშსწორება“ ლიტერატურის მთავარ მოტივად იქცა: „მსოფლიოს თავს დაატყდა მოგონებათა ნიაღვარი, რომელმაც რეალური თუ მოგონილი წარსულისადმი ერთგულება მჭიდროდ დაუკავშირა კოლექტიურ ცნობიერებას, მეხსიერებასა და იდენტობას“ (ნორა 2005). აქედან გამომდინარე, მემუარისტიკის პოპულარობა ბუნებრივია. მით უფრო, ემიგრანტულ ლიტერატურაში, რომელშიც ამ მოვლენას თავისი პოლიტიკური და სოციო-კულტურული საფუძვლები აქვს.

ამდენად, ჩვენი ნაშრომი შეეხება ქართულ ემიგრანტულ მემუარისტიკას, მისი აქტუალიზაციის ასპექტებსა და მხატვრულ თავისებურებებს.

*საკვანძო სიტყვები:* მემუარი, ჟანრი, მეხსიერება, ტრავმა, გადარჩენა.

**Ludmila Boris**

*Higher School of Translation and Interpretation*

*Lomonosov Moscow State University*

*Russia, Moscow*

### **Philosophers' Ships: One Hundred Years Later**

The Philosophical ship became a metaphor for the first wave of emigration of the Russian intelligentsia of the 20th century. It was not just one ship and there were few philosophers on it, some scientists and artists (for example, Rachmaninov, Nabokov, Bunin, Gippius, Merezhkovsky, Tsvetaeva) left the country earlier. This collective name was proposed in the 90s, when the names and works of scientists and writers returned to Russia after death. For the 100th anniversary of the departure of the German ships from St. Petersburg (09.29.1922), commemorative publications were published in the magazines *Rodina*, *Dilettante*, etc. And also, on the initiative of Roma Liberov, the founder of the Ullis Foundation for the Support and Preservation of Culture, a collection of songs based on the poems of writers who left on the symbolic ship was created. The title of the album "After Russia" is taken from the eponymous collection of poems by Marina Tsvetaeva, written in Paris. The album contains songs based on poems by Nabokov and Georgy Ivanov, but there are also little-known authors, those who were called "the unnoticed generation". These lyrics were sung by both famous performers – Noize MC, Monetochka, Tequilajazzz – and little-known ones, but they were united by leaving the country on the same metaphorical philosophical steamship a century later.

**Keywords:** philosophical steamship, first emigration, unnoticed generation.

**Levan Bregadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Hermann Buddensieg's Translation of *The Knight in the Panther's Skin* in Relation to Mikheil Tsereteli's Interlinear Version**

Hermann Buddensieg (1893-1976), who translated *The Knight in the Panther's Skin* into German in the 1960s–70s – a translation first fully published in Tbilisi in 1976 – notes in the preface that, as someone who did not know Georgian, he relied on Mikheil Tsereteli's (1878-1965) then-unpublished interlinear translation in order to create a poetic rendition of the poem. He also acknowledges having benefitted from the consultations of Georgian Rustvelologists and Germanists.

Now that Mikheil Tsereteli's interlinear translation of Shota Rustaveli's *The Knight in the Panther's Skin*, prepared in exile, has been published (Paris, 1975) and is easily accessible in Tbilisi as well (TSU Press, 2015), it is possible to analyze Buddensieg's translation in relation to Tsereteli's interlinear version – something that was not feasible in 1976, when we were working on reviewing the translation at the request of the leadership of the Institute of Literature named after Shota Rustaveli.

Thanks to Tsereteli's interlinear version, not only the semantic content but also a significant portion of the poem's artistic and expressive devices were adequately rendered in the translation. Metaphors,

artistic similes, lexical repetitions, and even the contrastive parallelism so characteristic of Rustaveli are almost always preserved in the translation.

Buddensieg's German translation is written in German hexameter – thus unrhymed – but the strict rhythmic arrangement of stresses within the lines ensures that the text is perceived as verse. Moreover, many of the translation's lines feature effective alliteration, akin to the original, which becomes a significant prosodic device in the absence of rhyme. Several well-known alliterative lines in *The Knight in the Panther's Skin*, closely tied to their meaning, are impressively rendered in German, and it is evident that the translator utilized Tsereteli's interlinear findings to achieve this.

Of course, such a complex literary task as creating a poetic equivalent of Shota Rustaveli's poem in another language could not be accomplished without some flaws. Even in Buddensieg's outstanding work, several regrettable inaccuracies can be observed, including in the translation of certain aphorisms. A comparative analysis shows that most of these inaccuracies do not stem from Tsereteli's interlinear version, but rather result from its insufficient consideration.

**Key words:** *The Knight in the Panther's Skin*, Mikheil Tsereteli, Hermann Buddensieg, interlinear translation, poetic translation

## ლევან ბრეგაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### ჰერმან ბუდენზიგის თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართება პოემის მიხედვით წერეთლის პწკარედულ თარგმანთან

ჰერმან ბუდენზიგი (1893-1976), ვინც მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში გერმანულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც სრულად პირველად 1976 წელს თბილისში გამოიცა, თარგმანს დართულ წინათქმაში აღნიშნავს, რომ მას, ქართული ენის არმცოდნეს, პოემის პოეტური თარგმანის შესაქმნელად მიხედვით წერეთლის (1878-1965) იმ დროისთვის გამოუქვეყნებელი პწკარედული თარგმანი გამოუყენებია და ქართველი რუსთველოლოგებისა და გერმანისტების კონსულტაციებითაც უსარგებლობდა.

ახლა, როდესაც ემიგრანტი ქართველი მეცნიერის მიხედვით წერეთლის მიერ შესრულებული პწკარედი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანისა“ გამოცემულია (პარიზი, 1975) და თბილისშიც ადვილად ხელმისაწვდომია (2015 წელს გამოსცა თსუ გამომცემლობამ), შესაძლოა ვილაპარაკოთ მ. წერეთლის პწკარედთან ჰ. ბუდენზიგის თარგმანის მიმართების თაობაზე, რისი საშუალებაც არ გვქონდა 1976 წელს, როდესაც შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თხოვნით თარგმანის რეცენზირებაზე ვმუშაობდით.

მიხედვით წერეთლის პწკარედის დამსახურებაა, რომ ქართული პოემის არა მარტო აზრობრივი შინაარსი, არამედ დედნის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების დიდი ნაწილი ადეკვატურად არის გადასული თარგმანში. მეტაფორები, მხატვრული შედარებები, ლექსიკური გამეორებები, რუსთაველისთვის მეტად დამახასიათებელი კონტრასტული პარალელიზმიც კი თითქმის ყოველთვის შენარჩუნებულია თარგმანში.

ჰ. ბუდენზიგის თარგმანი გერმანული ჰექსამეტრით არის შესრულებული, ანუ ურითმოა, მაგრამ სტრიქონში მახვილთა მკაცრად მოწესრიგებული განლაგება განაპირობებს იმას, რომ ტექსტი ლექსად აღიქმება. ამასთან ერთად თარგმანის მრავალი სტრიქონი, დედნის მსგავსად, ეფექტური ალიტერაციებით გამოირჩევა, რაც რითმების არარსებობის ვითარებაში მნიშვნელოვან ვერსი-

ფიქციულ მოვლენად გვევლინება. „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ცნობილი ალიტერაცია, სტრიქონთა შინაარსთან დაკავშირებული, გერმანულად ჩინებულად გადაუტანია გერმანელ მთარგმნელს, რისთვისაც მას პწკარედის ავტორის მიგნებები გამოუყენებია.

ცხადია, ისეთი რთული ლიტერატურული ამოცანა, როგორც არის შოთა რუსთაველის პოემის პოეტური ადევკატის შექმნა სხვა ენაზე, უნაკლოდ ვერ განხორციელდებოდა. რამდენიმე დასანანი უზუსტობა ჰ. ბუდენზიგის ჩინებულ ნამუშევარშიც შეინიშნება, მათ შორის ზოგიერთი აფორიზმის თარგმანშიც. შედარებამ გვიჩვენა, რომ ამ უზუსტობათა უმეტესობა არ მომდინარეობს მიხეილ წერეთლის პწკარედიდან და, პირიქით – მისი გაუთვალისწინებლობის შედეგია.

**საკვანძო სიტყვები:** ვეფხისტყაოსანი, მიხეილ წერეთელი, ჰერმან ბუდენზიგი, პწკარედი, პოეტური თარგმანი

**Rūta Brūzgienė**

*Mykolas Romeris University, Humanistics Research Laboratory  
Lithuania, Vilnius*

### **Juozas Kėkštas's Existential Fight for Freedom and the Musicality of His Poetry**

Juozas Kėkštas (Adomavičius) was born in 1915, in Tashkent (Uzbekistan), lived in Vilnius (1921–1938), in Warsaw (1938–1939), Belarus (1940), Rome (from 1945), Buenos Aires (from 1959), since 1959 in Warsaw again, where he is buried (1981). Being a left-wing student in Vilnius, he was arrested three times. In Warsaw, Kėkštas communicated with representatives of the Polish poetic avant-garde group and Cz. Miłosz. In 1940, he was arrested by the Soviets and sent to the concentration camp for being a member of the "nationalist" Polish communist party. Later Kėkštas fought in the Polish Army led by general V. Anders and was injured twice. British, Italian and Polish government in exile awarded him military orders. In Rome and in Buenos Aires Kėkštas organized Lithuanian periodical publications. The following poetry collections by Kėkštas were printed: "Toks gyvenimas" [Such a Life], 1938, "Rudens dugnu" [At the Bottom of Autumn's Abyss], "Staigus horizontas" [Sudden Horizon], both in 1946, "Diena naktin" [Day into Night], 1947, "Ramybė man" [Peace to Me], 1951, "Etapai" [Stages], 1953. J. Kėkštas' poetry is characterized by 3 stylistic directions: the dynamics of revolutionary romanticism, connections with avant-garde metaphysics, the existential dramatism of the landless and homeless soldier's fight for freedom. The aim of the paper is to discuss peculiarities of the thematic and the musicality of Kėkštas' poetry in distinct periods of his creativity. The paper will draw on the works of V. Kubilius, D. Satkauskytė, M. Kasner, W. Wolf, A. J. Greimas, V. Bobrovsky, and others, a comparative methodology will be used.

**Keywords:** Lithuanian emigration poetry, Juozas Kėkštas, intermediality, musicality.

**Eka Chikvaidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Between Heritage and Ideology: Grigol Peradze's Analysis of Soviet Georgian Literature**

Grigol Peradze is a prominent figure who not only met his end with dignity but lived a life marked by intellectual and moral integrity. Although unable to return to Soviet-occupied Georgia, he devoted significant scholarly work to the study of Georgia and its cultural heritage. His assessments are particularly valuable due to his unique dual perspective: as an observer free from Soviet ideological control, yet deeply connected to Georgian culture, having left the country in 1921 with Soviet approval.

In his essay "Spiritual Life in Contemporary Soviet Georgia Reflected Through Literary Art," Peradze offers a critical analysis of literary developments under Soviet rule, focusing on the ideological pressure imposed on writers. He distinguishes between two groups:

1. "Travellers," who, in his words, "proudly march along the path of the Bolshevik Revolution."
2. "Fellow Travellers," who, while not openly opposing Soviet power, remain, as Soviet press claims, "trapped in bourgeois worldviews."

Peradze highlights how the Communist Party, censorship, and official criticism demand that writers serve the cause of the world revolution, glorifying industrialization, mechanization, and electrification, while promoting proletarian struggle against global capitalism.

Nevertheless, Peradze emphasizes that true Georgian culture is upheld by those poets and writers who resist propaganda-driven mass culture. As he notes:

"Georgian poets, proud heirs of an ancient cultural legacy, refuse to reduce their work to agitational literature or stand alongside figures like Demyan Bedny or Mayakovsky. They strive to remain close to their people and reject literature destined for mere temporary relevance."

**Keywords:** Grigol Peradze, Mass culture, Agit-literature, Spiritual life.

#### **ეკა ჩიკვაიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **მემკვიდრეობასა და იდეოლოგიას შორის (გრეგოლ ფერაძე, საბჭოთა ქართული ლიტერატურის ანალიზი)**

გრეგოლ ფერაძე ის მნიშვნელოვანი მოღვაწეა, რომელიც არა მხოლოდ ღირებულად აღესრულა, არამედ ღირებულადაც იცხოვრა. მცდელობის მიუხედავად, ვერ დაბრუნდა გასაბჭოებულ საქართველოში, მაგრამ არაერთი მნიშვნელოვანი კვლევა უძღვნა საქართველოს და მის კულტურას. გრეგოლ ფერაძის შეფასებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ერთგვარად ბინარული ხედვით აფასებს მოვლენებს – როგორც უცხო, რადგან ემიგრაციაში საბჭოთა წნეხისგან თავისუფალია და როგორც ამ კულტურის ნაწილი, რაკილა მხოლოდ 1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების ნებართვით დატოვა ქვეყანა. შესაბამისად, საყურადღებოა მისი დაკვირვებები, რომლებსაც ვეცნობით წერილში: „სულიერი ცხოვრება დღევანდელ საბჭოთა საქართველოში მხატვრულ-

ლი ლიტერატურის სარკეში“. გრ. ფერადე სხვადასხვა ასპექტით აფასებს პროცესებს, ძირითადი კი საბჭოთა ხელისუფლების დაკვეთა და მწერალთა თვალთახედვის იდეოლოგიურ წნეხში მოქცევაა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პროზისა და პოეზიის გამოიჯენა და შემოქმედთა კატეგორი-ებად დაყოფა: 1. ე.წ. „მგზავრები“, რომელნიც „ამაყად და თავდაჯერებით მოაზიკებენ ბოლშევიკური რევოლუციის გზაზე“, 2. „თანამგზავრები“, რომელნიც, „მართალია, საბჭოთა ხელისუფლე-ბის მტრები არ არიან, მაგრამ (როგორც საბჭოთა პრესა აფასებს, ე.ჩ.) ჯერ ვერ განთავისუფლებუ-ლან „ბურჟუაზიული შეხედულებებისაგან“, დროს ვეღარ ესადაგებიან“. გრიგოლ ფერადე ხედავს მიზეზებსაც, რომელთა გამოც ქართველი საბჭოთა მწერლები კალამს აყენებენ პროლეტარიატის სამსახურში: „ისინი (კომპარტია, საბჭოური კრიტიკა და ცენზურა) პოეტებისაგან მოითხოვენ, რომ ჩადგნენ მსოფლიო რევოლუციის სამსახურში და შრომასა და შემოქმედებაში მიჰყვანენ კომუნის-ტური პარტიის მითითებებს. მათ უნდა ასახონ ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია და უმღერონ ამას. მათ უნდა მოუწოდონ „ყველა პროლეტარს“ „მსოფლიო კაპი-ტალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ“. 3. გრიგოლ ფერადის აზრით კი ჭეშმარიტ კულტურას და მწერლობას თვით საბჭოთა საქართველოში ქმნიან შემოქმედები. მათ ავტორი განასხვავებს აგიტა-ციას აყოლილი მასკულტურის წარმომადგენლებისგან: „ქართველი პოეტები მეტად თავმოყვარენი არიან და ძალიან ძველი კულტურის მემკვიდრენი, რომ მხოლოდ „აგიტ-ლიტერატურამდე“ არ დაეშვან და დემიან ბედნისთან ან მაიაკოვსკთან ერთ საფეხურზე არ დადგნენ. ქართველ პოეტებს მუდამ თავის ხალხთან უნდათ ყოფნა და არავითარ შემთხვევაში, არ სურთ ისეთი ლიტერატურის შექმნა, რომელსაც მხოლოდ მცირე ხნით არსებობა უწერია“.

*საკვანძო სიტყვები:* გრიგოლ ფერადე, მასკულტურა, აგიტ-ლიტერატურა, სულიერი ცხოვრება.

**Natela Chitauri**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Psychosocial Identities in Migration Literary Discourse**

**(*Georgian Emigrant Literature. Georgian Diasporic Literature*)**

Globalization, contemporary migration, cultural exchange, the contexts of mutual influence have brought about the necessity to rethink sociocultural and psychological aspects. Today numerous questions arise regarding identity, culture, creative processes.

A particularly interesting and debatable panorama of contemporary identity modifications is created by texts written abroad by Georgian intellectuals.

Today, almost every nation is actively studying the problems of national, personal, psychosocial identities in literature created “outside the homeland,” is questioning the affiliation of these texts to either the native or the host cultural space.

Our research group, taking into account contemporary interdisciplinary theories, migration and cultural studies, and most importantly, the Georgian context, has separated from each other, distinguished and studied – within the framework of two projects funded by the Shota Rustaveli National Science Foundation (2012–2015; 2018–2021) – the following:

1. The Georgian emigrant mental-literary space (from the 1920s to the 1980s), which we have titled *Georgian Emigrant Literature*.



2. The Georgian diasporic mental-literary space (from the late 20th century to the present), which, after considering various definitions, we refer to as *Georgian Diasporic Literature*.

We identified aspects characteristic of **Migration** literary discourse, such as: identities (national, intercultural, personal, psychosocial), imagology, memories, and the „poetics of migration”.

At present, we will examine **psychosocial identities** (including cultural shock, trauma, alienation, nostalgia, resentment, spatial identification, spiritual and cultural distance, adaptation, personal-cultural hybridity) within both of the aforementioned directions of Migration literary discourse, highlighting both the commonalities and the differences.

In a changed social environment, during the „movement” of identities, psychosocial identities represent distinct aspects of self-identification. According to migration and cultural studies, **the level of creative potential** of a person who has migrated abroad, **depends on their psychosocial identity** – a factor that greatly differs between Georgian Emigrant literature of the 20th century and Georgian Diasporic literature of the 21st century.

**Keywords:** psychosocial identities, emigrant, diasporic, literary discourse, creative potential.

## ნათელა ჩიტაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### ფსიქოსოციალური იდენტობები ემიგრაციულ ლიტერატურულ დისკურსში (ქართული ემიგრანტული მწერლობა. ქართული დიასპორული მწერლობა)

გლობალიზაციამ, დღევანდელმა მიგრაციებმა, კულტურათა გაცვლამ და ურთიერთზემოქმედების კონტექსტებმა მოიტანა სოციოკულტურული, ფსიქოლოგიური ასპექტების ხელახლა გააზრების აუცილებლობა. დღეს ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება იდენტობებთან, კულტურასთან, შემოქმედებით პროცესებთან დაკავშირებით.

იდენტობათა თანამედროვე მოდიფიკაციების ძალიან საინტერესო და განსახილველ პანორამას ქმნის ქართველი მოღვაწეების მიერ საზღვარგარეთ შექმნილი ტექსტები.

დღეს თითქმის ყველა ერი უკვე აქტიურად სწავლობს ნაციონალური, პიროვნული თუ ფსიქოსოციალური იდენტობების პრობლემებს „სამშობლოს გარეთ“ შექმნილ მწერლობაში, სვამს ამ ტექსტების მშობლიური თუ მიმღები კულტურული სივრცისადმი მიკუთვნებულობის საკითხს.

ჩვენმა სამეცნიერო ჯგუფმა თანამედროვე ინტერდისციპლინური თეორიების, მიგრაციის, კულტურის კვლევების, რაც მთავარია, ქართული რელობის გათვალისწინებით ერთმანეთისაგან გამიჯნა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მიერ დაფინანსებული ორი პროექტის ((2012-2015; 2018-2021) ფარგლებში შეისწავლა:

1) ქართული ემიგრაციული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (XX საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე), რომლის სახელწოდებად დავტოვეთ **ქართული ემიგრანტული მწერლობა**.

2) ქართული დიასპორული მენტალურ-ლიტერატურული სივრცე (XX საუკუნის ბოლოდან დღემდე), რომელიც სხვადასხვა დეფინიციების გათვალისწინების შემდგომ ჩვენ მიერ იწოდება ამგვარად: **ქართული დიასპორული მწერლობა**.

გამოიყო ემიგრაციული ლიტერატურული დისკურსისათვის დამახასიათებელი ასპექტები: იდენტობები (ნაციონალური, ინტერკულტურული, პიროვნული, ფსიქოსოციალური), იმაგოლოგია, მეხსიერებები, „მიგრაციის პოეტიკა“.

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ფსიქოსოციალურ იდენტობებს (კულტურული შოკი, ტრავმა, გაუცხოება, ნოსტალგია, რესენტიმენტი, სივრცის იდენტიფიკაცია, სულიერი და კულტურული დისტანცია, ადაპტაცია, პიროვნულ-კულტურული ჰიბრიდულობა) ემიგრაციული ლიტერატურული დისკურსის ჩვენ მიერ აღნიშნულ ორივე მიმართულებაში, წარმოვაჩენთ საერთოს და განსხვავებულს.

შეცვლილ სოციალურ გარემოში, იდენტობათა “მოძრაობის” პროცესში სწორედ ფსიქოსოციალური იდენტობები ქმნის თვითიდენტიფიკაციის განსხვავებულ ასპექტებს. მიგრაციის, კულტურის კვლევების მიხედვით, ფსიქოსოციალურ იდენტობებზეა დამოკიდებული საზღვარგარეთ წასული ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის ხარისხიც, რაც სრულიად განსხვავებულია XX საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობასა და XXI საუკუნის ქართულ დიასპორულ მწერლობაში.

**საკვანძო სიტყვები:** ფსიქოსოციალური იდენტობა, ემიგრანტული, დიასპორული ლიტერატურული დისკურსი, შემოქმედებითი პოტენციალი.

**Eka Chkheidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **The Phenomenon of the Georgian Spirit in Grigol Robakidze’s Thought**

Until the 1930s, Grigol Robakidze always considered Georgian artistic and philosophical thought in a continuous context with Western civilisation, which largely led to the fact that the Tsisperkantsi people (and not only them) considered him their meter.

While in emigration, Grigol Robakidze delved into the phenomenon of Georgian ethnoculture or ethnopsychology, as evidenced by his essays, publicistic writings, and artistic thought. Emigration became a kind of transformation for Grigol Robakidze – the more perfectly he wrote in German, the greater his interest in the spirituality of his own nation and the more intensively he explored, as he himself called it, the “Urphänomen ” of the Georgian nation. Distancing from his homeland gave Grigol Robakidze’s work the same special flavor as it did in the case of Davit Guramishvili – it seems that the main driving force for both thinkers was thinking and reflecting on the fate of the homeland and the mentality of the Georgian nation, its purpose and the duty of a particular person to the country and God.

A special place in Grigol Robakidze’s publicistic work is occupied by one extensive essay, which, according to the author, he leaves as a legacy to the Georgian nation. This is “The Origin of Georgia”, the final part of which explains why Grigol Robakidze left the Soviet Union. Many years will pass and Grigol Robakidze’s work will become the subject of scientific research many times over. He will always remain an expositor of Soviet totalitarianism and an apologist for the Georgian gene and breed.

**Keywords:** Robakidze, “The Origin of Georgia”, emigration, journalism.

## ეკა ჩხეიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### ქართული სულის ფენომენი გრიგოლ რობაქიძის ნააზრევში

მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე ქართულ მხატვრულ თუ ფილოსოფიურ აზროვნებას გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის დასავლურ ცივილიზაციასთან უწყვეტ კონტექსტში განიხილავდა, რამაც დიდ წილად განაპირობა ის გარემოება, რომ მას ცისფერყანწელები (და არა მარტო ისინი) საკუთარ მეტრად თვლიდნენ.

ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ რობაქიძე ქართულ ეთნოკულტურისა თუ ეთნოფსიქოლოგიის ფენომენს განსაკუთრებით ჩაუღრმავდა, რასაც მოწმობს მისი ესეებიც, პუბლიცისტიკაცა და მხატვრული ნააზრევიც. ემიგრაცია გრიგოლ რობაქიძისთვის იქცა ერთგვარ ტრანსფორმაციად – რაც უფრო სრულყოფილად წერდა იგი გერმანულ ენაზე, მით უფრო დიდ ინტერესს ამჟღავნებდა საკუთარი ერის სულიერების მიმართ და მით უფრო ინტენსიურად იკვლევდა, როგორც თავად უწოდებდა, ქართველი ერის „თაურფენომენს“. სამშობლოდან დისტანცირებამ გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებასაც ისეთივე განსაკუთრებული ელფერი შესძინა, როგორც დავით გურამიშვილის შემთხვევაში მოხდა – როგორც ჩანს, ორივე მოაზროვნისთვის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცა ფიქრი და რეფლექსია სამშობლოს ბედსა და ქართველი ერის მენტალობაზე, მის დანიშნულებასა და კონკრეტული პიროვნების მოვალეობაზე ქვეყნისა და ღმერთის წინაშე.

გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ერთ ვრცელ ნარკვევს, რომელსაც, ავტორის თქმით, იგი ქართველ ერს ანდერძად უტოვებს. ეს არის „საქართველოს სათავენი“, რომლის დასკვნით ნაწილშიც ახსნილია, თუ რატომ დატოვა გრიგოლ რობაქიძემ საბჭოეთი. მრავალი წელი გავა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება კიდევ არაერთხელ გახდება სამეცნიერო კვლევის საგანი. იგი მუდამ დარჩება საბჭოთა ტოტალიტარიზმის მამხილებლად და ქართული გენისა და ჯიშის აპოლოგეტად.

*საკვანძო სიტყვები:* რობაქიძე, „საქართველოს სათავენი“, ემიგრაცია, პუბლიცისტიკა.

**Archil Chogoshvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### The Interdisciplinary Foundations of Immunological Language Theory

The modern study of language as a system, especially when it concerns the emergence of language and its relationship with other languages, requires an interdisciplinary approach. One of the main objectives of this paper was interdisciplinary: to show that various regularities well known from natural sciences can be valid also in linguistics and, therefore, can be successfully applied in the study of the processes of emergence and development of languages, as well as the ability of languages to protect their individuality, i.e. to have immunity. Taking into account the phenomena of semantic and phonetic variation, agglutination, syncope, palatalization, the paper presents some characteristic features of the most ancient Near Eastern languages and their reflection in the Kartvelian languages, indicating the existence of ancient connections, whether these connections are genetic or typological, sacral or profane.

Georgian language has been influenced by various languages. The influence of Iranian language was especially strong and long – 2500 years. A large number of Iranian words were introduced into Georgian language, nevertheless, Georgian language did not lose its individuality, i.e. it showed the ability to defend itself. As a biologist, by analogy with the immunity of a living organism, many years ago I called this protective ability of the language linguistic immunity.

Bioenergy of language:

During the development of language, new characteristic features emerge that form the language system, and their synergy leads to the conservation of free energy, which is expended on the formation of language immunity.

In this paper, the long process of language and language family development is conventionally represented as two stages. Since the synergetic relations between the components of a language develop gradually, at the first stage the language has not yet developed an effective immunity, and it can easily lose its individuality under the influence of other languages. Therefore, a language in the first stage cannot become the founding language of a new individual family. At the end of the first stage, the synergy between the components of the language reaches such a high level that it provides a reliable, durable and effective immunity for the language, allowing it to maintain its identity despite the influence of other languages. Accordingly, in the second stage, the language is already capable of becoming the base language of a new language family, of inheriting its robust and effective immunity to its descendant languages, and thereby ensuring the protective capacity of its language family and, consequently, its individuality. By the inheritance of immunity, I mean the ability of a language to transmit its characteristic synergetic relations to its descendant languages.

**არჩილ ჭოღოშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი*

### **ენის იმუნოლოგიური თეორიის ინტერდისციპლინური საფუძვლები**

ენის, როგორც სისტემის, თანამედროვე კვლევა, განსაკუთრებით როდესაც ის ეხება ენის ჩამოყალიბებისა და სხვა ენებთან ურთიერთობის საკითხებს, მოითხოვს ინტერდისციპლინურ მიდგომას.

მოცემული ნაშრომის ერთერთი ძირითადი ამოცანა ინტერდისციპლინურია: ჩვენება იმისა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან კარგად ცნობილი სხვადასხვა კანონზომიერებები შესაძლოა ვალიდურნი იყონ ენათმეცნიერებაშიც და, მაშასადამე, წარმატებით გამოყენებულნი ენათა სისტემების წარმოშობისა და განვითარების პროცესების შესწავლასა და, აგრეთვე, ენათა მიერ თავიანთი ინდივიდუალობის დაცვის ანუ იმუნიტეტის ფლობის კვლევაში.

სემანტიკური და ფონეტიკური ვარიაციის, აგლუტინაციის, სინკოპის, პალატალიზაციის მოვლენების გათვალისწინებით ნაშრომში წარმოდგენილია უძველეს ახლოაღმოსავლურ ენათა ზოგიერთი მახასიათებლები და მათი ასახვა ქართველურ ენებშიც, როგორც უძველესი კავშირების მოწმობანი, მიუხედავად იმისა ეს კავშირები გენეტიკურია თუ ტიპოლოგიური და საკრალური თუ პროფანული. ქართულმა ენამ განიცადა სხვადასხვა ენების ზეგავლენა. განსაკუთრებით ძლიერი და ხანგრძლივი, 2500 წელი, იყო ირანული ენის ზეგავლენა. ქართულ ენაში ირანული სიტყვების დიდი რაოდენობა დაინერგა, მიუხედავად იმისა ქართულმა ენამ არ დაკარგა ინდივიდუალობა ე.ი. გამოავლინა თავდაცვისუნარიანობა. მე როგორც ბიოლოგმა, ცოცხალი ორგანიზმის იმუნიტეტის ანალოგიურად, მრავალი წლის წინათ ენის ასეთ თავდაცვისუნარიანობას ენის იმუნიტეტი ვუწოდე.

ენის ბიოენერგეტიკა: ენის განვითარების პროცესში მისი ახალი მახასიათებლები წარმოიქმნება, რომლებიც ენის სისტემას აყალიბებენ და რომელთა სინერგია თავისუფალი ენერგიის დანაზოგს ქმნის, რომელიც ენის იმუნიტეტის ჩამოყალიბებას ხმარდება.

ამ ნაშრომში ენის და ენობრივი ოჯახის განვითარების ხანგძლივი პროცესი პირობითად წარმოდგენილია ორ სტადიად. ვინაიდან სინერგიული ურთიერთობა ენის კომპონენტებს შორის ვითარდება თანდათანობით, პირველი სტადიის განმავლობაში ენას ჯერ არ აქვს კარგად ჩამოყალიბებული ეფექტური იმუნიტეტი და სხვა ენების ზეგავლენით ენამ შესაძლოა ადვილად დაკარგოს ინდივიდუალობა. ამის გამო პირველ სტადიაში ენას არ ძალუძს იქცეს ახალი ინდივიდუალური ოჯახის ფუძე ენად. პირველი სტადიის ბოლოს ენის კომპონენტებს შორის სინერგია აღწევს ისეთ მაღალ დონეს რომელიც უზრუნველყოფს ენის მყარ, ძლიერ და ეფექტურ იმუნიტეტს, რაც ენას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს ინდივიდუალობა სხვა ენების ზეგავლენის მიუხედავად. შესაბამისად, მეორე სტადიაში ენას უკვე ძალუძს იქცეს ახალი ენობრივი ოჯახის ფუძე ენად, თავის შთამომავალ ენებს მემკვიდრეობით გადასცეს თავისი მდგრადი და ეფექტური იმუნიტეტი და ამით უზრუნველყოს თავისი ენობრივი ოჯახის თავდაცვისუნარიანობა და მამასადამე ინდივიდუალობა. იმუნიტეტის მემკვიდრეობით გადაცემაში ვგულისხმობ ენის უნარს გადასცეს მისთვის დამახასიათებელი სინერგიული კავშირები თავის შთამომავალ ენებს.

**Dodo Chumburidze**

*The University of Georgia  
Georgia, Tbilisi*

## **From the History of Diplomatic Relations Between the Georgian Government-in-Exile and Washington**

**(According to the Letters and Diaries of Akaki Chkhenkeli)**

After the occupation of the Democratic Republic of Georgia by Soviet Russia, its government in exile did everything possible to continue the struggle through diplomatic channels and gain the support of Western countries. In this regard, serious efforts were made to gain the support of the US government. During the Wilson presidency, the US took a negative position towards the disintegration of Russia and the independence of the countries separated from it. Georgian politicians were well aware of this and tried in every way to win over American politicians to their side. After Harding came to power, this position changed somewhat: the US was ready to recognize the independence of the Baltic states and would recognize Georgia only if it was liberated from Russia.

In the autumn 1921, Ilya Goldman was sent to the US as a representative of the Georgian government. At the request of the government-in-exile, a specialist in international law, Zurab Avalishvili, was sent with him for propaganda and agitation purposes. The attitude towards Georgia in American political circles is clearly visible in the letters Avalishvili sent from New York and Washington to Akaki Chkhenkeli. The Georgian delegation actively participated in the Washington Conference (which began on December 6, 1922) and received significant assistance from Walter Chandler, an American congressman and the first American lobbyist for independent Georgia. Soon after, the government of the Democratic Republic of Georgia appointed Vasil Dumbadze, a Georgian resident and a financier at the Morgan Bank, as its representative in the United States. In 1925, Dumbadze published the book "The Republics of the Caucasus: Little Democracies that the World Forgot" in New York. Under the leadership of Dumbadze and the chairmanship of Senator Henry Wilson, the American Caucasus Society was founded. The Commission of Jurists established Georgia's right to independence and the legitimacy of the Georgian government in exile in

Europe. A special interest in rapprochement with the United States is evident in the personal letters and diaries of Akaki Chkhenkeli. Based on these materials, this article reflects the deep interest of Georgian society in securing American support and restoring and strengthening the lost independent statehood.

### **დოდო ჭუმბურიძე**

*საქართველოს უნივერსიტეტი*

*საქართველო, თბილისი*

## **ვაშინგტონთან საქართველოს ემიგრაციული მთავრობის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (აკაკი ჩხენკელის პირდი წერილებისა და დღიურების მიხედვით)**

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წასული მისი მთავრობა ყველაფერს აკეთებდა დიპლომატიური გზით ბრძოლის გაგრძელებისა და დასავლეთის ქვეყნებისგან მხარდაჭერის მოპოვებისათვის. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა აშშ-ს ხელისუფლებასთან. ვილსონის პრეზიდენტობის დროს აშშ-ს რუსეთის დანაწილებისა და მისგან გამოყოფილი ქვეყნების დამოუკიდებლობისადმი უარყოფითი პოზიცია ჰქონდა. ეს კარგად იცოდნენ ქართველმა პოლიტიკოსებმა და ყველანაირად ცდილობდნენ ამერიკის პოლიტიკოსთა შემობრუნებას საქართველოს სასარგებლოდ. პრეზიდენტის პოსტზე ჰარდინგის მოსვლის შემდეგ ეს პოზიცია ოდნავ შეიცვალა: აშშ მზად იყო ბალტიის ქვეყნების დამოუკიდებლობა ეღიარებინა, ხოლო საქართველოს მაშინ ცნობდა, თუკი ის რუსეთისგან თავს თავად გაითავისუფლებდა.

1921 წლის შემოდგომაზე აშშ-ში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლად ილია გოლდმანი გაიგზავნა, ემიგრანტული მთავრობის დავალებითვე, გარკვეული პროპაგანდა-აგიტაციის მიზნით, მასთან ერთად მიავლინეს საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი ზურაბ ავალიშვილი. ამერიკის პოლიტიკურ წრეებში საქართველოსადმი განწყობებს კარგად აჩვენებს ზურაბ ავალიშვილის ნიუ-იორკიდან და ვაშინგტონიდან აკაკი ჩხენკელისადმი გამოგზავნილი წერილები. ქართული დელეგაცია აქტიურობდა ვაშინგტონის კონფერენციის ფარგლებში (დაიწყო 1922 წლის 6 დეკემბერს), მას დიდ დახმარებას უწევდა უოლტერ ჩენდლერი, ამერიკელი კონგრესმენი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ამერიკელი ლობისტი. მალე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავის წარმომადგენლად აშშ-ში დანიშნა აქ მცხოვრები ქართველი, მორგანების ბანკის ფინანსისტი ვასილ დუმბაძე. 1925 წელს ვასილ დუმბაძემ ნიუ-იორკში გამოსცა წიგნი – „კავკასიის რესპუბლიკები, პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა“. დუმბაძის თაოსნობით და სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისთვის“. იურისტთა კომისიამ დაადგინა საქართველოს დამოუკიდებლობის უფლება და ევროპაში ემიგრირებული საქართველოს მთავრობის კანონიერება. აშშ-სთან დაახლოების განსაკუთრებული ინტერესი ჩანს აკაკი ჩხენკელის პირად წერილებსა და დღიურებში. ამ მასალების საფუძველზე სტატიაში ვაჩვენებთ რა დიდი იყო ქართული საზოგადოების ინტერესი – მოეპოვებინა ამერიკის მხარდაჭერა, აღედგინა და განემტკიცებინა დაკარგული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა.

### Time and Space in the Émigré Writings of Shalva Amirejibi (1925-1943)

The period of emigration often becomes a turning point in a writer's life and creative work, as it separates them from their native cultural and linguistic space. Shalva Amirejibi's letters written during his years in exile (1925-1943) represent not only documentary material reflecting socio-political ideas but also aesthetically crafted narratives. These writings can be productively examined through the lens of the chronotope, a concept developed by Mikhail Bakhtin, which refers to the unity of time and space within a literary text.

In his émigré writings, Amirejibi creates spatial frameworks in which different layers of time – transformed by the consciousness of exile – are vividly present: the time of the lost homeland, the time of the present moment spent in a foreign land, and the time of the imagined or anticipated future. Likewise, distinct spatial layers emerge: the space of the past (the homeland) and the space of the present (the foreign land). These are further interwoven with emotional, mnemonic, and identity – based dimensions.

It becomes evident that even during his life in exile, Shalva Amirejibi was constantly thinking about Georgia – his publicist writings repeatedly evoke themes related to Georgian writers, historical and political figures, and national ideals. His texts simultaneously reflect the trauma of collective memory and the personal existential dislocation of the author. In Amirejibi's letters, time is marked by tension between past and present, while space is torn between homeland and exile. Thus, an émigré chronotope is constructed, within which the author seeks to establish a dialogue with the lost place, the lost epoch, and the diminished civic spirit.

The present article aims to analyze the temporal-spatial structures in Shalva Amirejibi's writings from 1925 to 1943, and to highlight the function of the chronotope as a form of expressing identity, memory, and cultural trauma.

**Keywords:** *Shalva Amirejibi, chronotope, emigration, émigré letters*

#### სოფიკო ჭუმბურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

### დროისა და სივრცის საკითხი შალვა ამირეჯიბის ემიგრანტულ წერილებში (1925-1943)

ემიგრაციის პერიოდი ხშირად გარდამტეხი აღმოჩნდება ხოლმე მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, რადგან ის შორდება საკუთარ კულტურულ და ენობრივ სივრცეს. შალვა ამირეჯიბის ემიგრანტული პერიოდის წერილები (1925-1943) წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების გამომხატველ დოკუმენტურ მასალას, არამედ ავტორის ესთეტიზებულ ნარატივებს. ვფიქრობთ, მათი განხილვა საინტერესო იქნება ქრონოტოპის ცნების კრილში. მიხეილ ბახტინის მიერ ჩამოყალიბებული ქრონოტოპი – დროისა და სივრცის ერთიანობაა ტექსტში. შალვა ამირეჯიბი ემიგრანტულ ტექსტებში ქმნის სივრცეებს, სადაც ვლინდება როგორც ემიგრანტის ცნობიერებით გარდაქმნილი დროის შრეები – დაკარგული სამშობლოს დრო, უცხო გარემოში მყოფო-

ბის (აწმყო)დრო და მომავლის დრო(მოლოდინი). ასევე გვხვდება სივრცული შრეები: წარსულის (სამშობლოს) სივრცე და აწმყოს (უცხო ადგილის) სივრცე. მათ ემატება ემოციური, მეხსიერებითი და იდენტობის შრეები.

აღმოჩნდა, რომ შალვა ამირეჯიბი ემიგრაციის ყოფნის პერიოდშიც საქართველოზე ფიქრობდა – მის პუბლიცისტურ წერილებში მუდმივად მეორდება თემები ქართველი მწერლებზე, ისტორიულ და პოლიტიკურ პირებზე, ეროვნულ იდეალებზე. ამირეჯიბის ტექსტები თანაბრად ასახავს როგორც კოლექტიური მეხსიერების ტრავმას, ისე პირად ეგზისტენციალურ დაკარგულობას. შალვა ამირეჯიბის წერილებში დროს კონფლიქტი აქვს წარსულსა და აწმყოს შორის, ხოლო სივრცეს – სამშობლოსა და უცხოეთს შორის. ასე იქმნება ემიგრანტული ქრონოტოპი, რომელშიც ავტორი ცდილობს დიალოგი დაამყაროს დაკარგულ ადგილთან, დაკარგულ ეპოქასთან და დაკარგულ სამოქალაქო სულისკვეთებასთან.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს შალვა ამირეჯიბის 1925-1943 წლებში შექმნილ ტექსტებში დრო – სივრცითი სტრუქტურის ანალიზს და გამოკვეთს ქრონოტოპის ფუნქციას როგორც იდენტობის, მეხსიერებისა და კულტურული ტრავმის გამოხატვის ფორმას.

**საკვანძო სიტყვები:** შალვა ამირეჯიბი, ქრონოტოპი, ემიგრაცია, ემიგრანტული წერილები.

**Seda Coşar-Çelik**

*Bolu Abant İzzet Baysal University*

*Department of Foreign Language Education*

*Türkiye, Bolu*

### **Trauma, Memory and the Migrant Experience in Kazuo Ishiguro's A Pale View of the Hills**

Kazuo Ishiguro's *A Pale View of the Hills* stands as an important text within migration literature, exploring the intricate interplay of displacement, trauma, guilt, and memory from a psychological and emotional perspective. The narrative centers on Etsuko, a Japanese woman residing in England, whose reflections on her post-war Nagasaki past are linked to her literal migration. The narrative travels between these two geographical and cultural spaces. This physical and cultural transition between Japan and England profoundly shapes Etsuko's present consciousness and ongoing struggles with a fractured sense of self.

Beyond merely depicting trauma and guilt, the novel uniquely frames it through the lens of the migrant experience. Etsuko's unreliable narration and fragmented memories are not simply stylistic choices; they actually mirror the dislocating and often traumatic process of migration itself which leaves the individual perpetually torn between their former and current identities. That is, the memory narrative in the novel reflects how the process of migration eventually leaves Etsuko vacillating between who she was in the past and who she is now. Given all these points, this paper intends to examine how Kazuo Ishiguro uses allusiveness of memory and unreliable narration to illustrate the psychological impact of geographical, cultural and emotional displacement.

**Key words:** the migrant experience, memory, trauma, Kazuo Ishiguro, *A Pale View of the Hills*.



**Suren Danielyan**

**Knarik Abrahamyan**

*Armenian State Pedagogical University after Khachatur Abovian*

*Armenia, Yerevan*

### **Some Notes About Armenian Émigré (Diaspora) Literature**

Armenian émigré (Diaspora) literature can be defined as a continuation of Western Armenian Classic literature that emerged primarily as a result of the Armenian Genocide. Following this historical catastrophe, many Armenians settled in different countries, notably the United States and France.

Among American-Armenian writers – such as Hamastegh, Vahe Haig, Aram Haigaz—we observe the formation of a **Literary Movement of Nostalgia**. These authors expressed a longing for return to the ancestral homeland. Their works exhibit a strong sense of historical continuity, often serving as a literary chronicle meant to preserve memories of the Armenian past.

In contrast, French-Armenian writers like Shahan Shahnour and Zareh Vorpuni initiated a different trend, often referred to as the **Literary Movement of Retreat**. Their approach was more critical and analytical, attempting to explore Armenian identity in a changing European context. Shahnour's seminal novel *Retreat Without Song* symbolizes this movement.

A further dimension of Armenian émigré literature involves **foreign-language Armenian writers**. In some cases, the use of a non-Armenian language results from external factors such as environment and education – for instance, William Saroyan, Michael Arlen and Peter Balakian did not write in Armenian. In other cases, the choice is deliberate: writers like Shahan Shahnour (under the pseudonym Armen Lubin) and Leon Z. Surmelian chose to write in French or English to introduce Armenian themes to a broader international audience.

In conclusion, Armenian émigré literature is a diverse and dynamic field. It is far from monolithic and opens numerous avenues for scholarly investigation, particularly regarding questions of identity, language, memory, and cultural adaptation in exile.

**Key words:** Armenian Diaspora, literary movements, foreign language writers, identity, environment.

**Nino Dolidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Georgia, Tbilisi*

### **Mourid Barghouti – the Representative of Arabic Exile Literature**

Arabic Exile Literature is known from the beginnings of the 20<sup>th</sup> century when the first refugees from Syria-Lebanon left for the USA. Since the second half of the last century there were several waves of migration from the Middle East to the West because of different political and economic crisis's, wars, poorness, lack of human rights or free speech.

One of the biggest migration streams was caused by the establishment of the Israeli State in 1948. It was followed by the occupation of the West-Bank, Eastern Jerusalem and Golan Heights in 1967. Barghouti (1944-2021) is a Palestinian who couldn't return from Egypt to Ramallah after graduating Cairo University in 1967. During fifty years after that he changed thirty-five houses / flats on the three continents.

Since the first poetry collection (1972) Barghouti used to change permanently the music and forms of his verses as he was changing himself. He never paid much attention on the form. The most important thing for him was – not to shout and not to use slogans, because real poetry is written by free people and it whispers. Describing reality, he didn't use black and white colors as he thought that it's not good to simplify reality neither in battle, nor in personal relationships or love. The *Resistance* for him was not plot of the verse but the beauty of poetry because a bad poem, even antiimperialist or anticolonial, can do nothing.

In case of Barghouti the problem of identity is not connected to faith or national values but it is losing in time and space. One can notice crisis of his identity in poems written in the different countries. Barghouti is a man without place. He is homeless. He cannot speak loudly or return his land, the history of which was taken away by others. Therefore, he has to migrate to the poetry creating a virtual Palestine in his texts.

**Key Words:** Arabic Exile Poetry, Identity, Language

## ნინო დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

### მურიდ ალ-ბარლუთი – არაბული ემიგრანტული ლიტერატურის წარმომადგენელი

არაბული ემიგრანტული ლიტერატურა ჯერ კიდევ მე-20 ს-ის დასაწყისში სირია-ლიბანიდან გაქცეული და აშშ-ში თავშეფარებული მწერლებიდან იღებს სათავეს. ომის, სიღატაკის, თავისუფალი სიტყვისა თუ ადამიანის უფლებების უქონლობის გამო გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ახლო აღმოსავლელ დევნილთა ნაკადს სხვადასხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისებით გამოწვეული მიგრაციის ახალ-ახალი ტალღა უერთდებოდა.

მიგრაციის ერთ-ერთი მძლავრი ნაკადი 1948 წ. ისრაელის სახელმწიფოს დაარსებამ გამოიწვია, რასაც 1967 წ. ე.წ. დასავლეთ სანაპიროს, აღმოსავლეთ იერუსალიმისა და გოლანის მაღლობების ოკუპაცია მოჰყვა. ალ-ბარლუთი (1944-2021) ის პალესტინელია, 1967 წ. კაიროს უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ რამალაში რომ ვეღარ დაბრუნდა. ორმოცდაათი წლის განმავლობაში მან სამ კონტინენტზე დაახლოებით ოცდათხუთმეტ სახლში / ბინაში იცხოვრა.

პირველი პოეტური კრებულის (1972) გამოქვეყნების შემდეგ ალ-ბარლუთი მუდმივად ცვლიდა პოეზიის ფორმებსა თუ მუსიკას, რადგან თავადაც იცვლებოდა. ფორმას დიდ მნიშვნელობას არასოდეს ანიჭებდა. მთავარი იყო, მის ენას არ გაემარტივებინა რეალობა – არ ეყვირა, არ გამოსულიყო მოწოდებებით. მისი ლექსები ამიტომაცაა თავისუფალი იდეოლოგიური წიაღსვლებისა და ლოზუნგებისაგან. მოვლენების აღწერისას პოეტი არ იყენებდა შავ-თეთრ ფერებს, რადგან ფიქრობდა, რომ „რეალობის გამარტივება არც ომში ვარგა, არც ბრძოლაში, არც პირად ურთიერთობებსა თუ სიყვარულში...“; რომ „პოეზია, რომელიც შთააგონებს, იწერება ჩუმი, ჩურჩულით, უხმაუროდ და მხოლოდ თავისუფალი ადამიანების მიერ.“ მისთვის *წინააღმდეგობა* არა ლექსის შინაარსი, არამედ პოეზიის სილამაზე იყო, რადგან მიიჩნევდა, რომ ცუდი, უშნო, უნიჭო ლექსი, ანტიკოლონიური თუ პატრიოტულიც კი, არაფრის მაქნისია.

ალ-ბარლუთის შემთხვევაში იდენტობის პრობლემა არა რწმენისა და ეროვნული ნიშნების დაკარგვის, არამედ დროსა და სივრცეში დაკარგვის პრობლემასთანაა გაიგივებული. ამა თუ იმ ქვეყანაში დაწერილ ლექსებში ჩანს იდენტობის კრიზისი, რასაც ართულებდა ის, რომ ალ-ბარლუთი უსახლო და უადგილო იყო. ხმის ამოდებისა და საკუთარ მიწაზე დაბრუნების შეუძლებლობამ,

ამ მიწის ისტორიის სხვათა მიერ მისაკუთრებამ ის აიძულა, პოეზიაში დასახლებულიყო – ტექსტში შეექმნა ვირტუალური პალესტინა.

*საკვანძო სიტყვები:* არაბული ემიგრანტული პოეზია, იდენტობა, ენა.

**Roxana Elena Doncu**

*“Carol Davila” University of Medicine and Pharmacy*

*Romania, Chişinău*

### **The Metamorphosis of Ovid: Exile, Self-Identity and Transformation in Vintilă Horia's *God was Born in Exile***

An exile himself after the advent of the communist regime following the end of WWII, seeking refuge in Italy, Argentina and then Spain, the Romanian writer Vintilă Horia chose to condensate his own experience of both emigration and inner exile into the novel *God was born in exile*, for which he received the Goncourt Prize in 1960. The novel is often compared to Marguerite Yourcenar's *Memoirs of Hadrian* on account of both its structure – the novel takes the form of Ovid's apocryphal diary in Tomis, the place of his exile – and theme – the oscillation between distrust of ancient polytheism and the incipient faith in a monotheistic god. However, Horia's novel centers on exile, both external and inner exile, and on the work of mental and spiritual transformation that exile implies as well as on empire as a dissolving structure. Adapting to what he perceives to be a barbaric city – though established and still mostly inhabited by Greeks – Ovid starts to metamorphose slowly, along the lines of Nietzsche's claim that he chose exile in order to speak the truth. Ovid's transformation from a Roman citizen into a poet of the truth is triggered by his encounter with a barbaric worldview and their monotheistic religion of Zalmoxis, that of the Getae living around Tomis, and reinforced by his relations with the inhabitants on the margin of Empire.

**Key words:** exile, polytheism, monotheism, Christianity, identity.

**Bela Durglishvili**

*Akaki Tsereteli State University*

*Georgia, Kutaisi*

### **Literary Reception of Simon Berezhan's Poetry**

The work emphasizes how, on the example of Simon Berezhan's literary odyssey, the stormy past of poetry is equal to the stormy past of Georgia. The fate of the era was as if reflected in the prism of Simon Berezhan's personal life and creativity. His poems appear as imprints of the dramatic life that the talented and versatile creator spent far from his homeland, and it was emigration that turned out to be the time and space, the dimension that confirmed the writer's national identity, the stability of his person and attitude towards national identity.

Although much has been written about Simon Berezhan, his personality and work still arouse great interest as a cultural bridge and link between two worlds. The face of a person who was able to rise above the vanity of existence and carried national literary codes through the most difficult political and historical formations is becoming more and more attractive and valuable. Like Davit Guramishvili and many other

patriotically minded people, his life and work truly embody the words of the great Rustaveli: “Where will you take the land, where will you open it?” It was not by chance that Simon Berezghiani wrote that he took a foreign sailor as a stepfather in foreign lands.

The receptive basis of Simon Berezghiani's literary heritage is historical and gospel microcircuits, on which poetic reflections emerge. The poet, accompanied by intense nostalgia and pain, creates an emotional and memorable artistic energy space, in which verbal connotations reflecting native sights, childhood associations, and the Georgian geographical landscape firmly imprinted in consciousness take a firm place.

It was no coincidence that the émigré poet and thinker Giorgi Kipiani also called Simon Berezghian the “Knight of Art”: “The world is bitter, the oppressor spares no one, conquer the shield and sword with your pen, you, the Knight of Art!” For modern society, Simon Berezghian’s “Heart is the treasure of the mind, obscured by mist” remains a shard of the sun.

**Keywords:** National identity of the writer; National codes.

## ბელა დურგლიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

### სიმონ ბერეჟიანის პოეზიის ლიტერატურული რეცეფცია

ნაშრომში ხაზგასმულია, როგორ ეთანაბრება სიმონ ბერეჟიანის ლიტერატურული ოდისეის მაგალითზე პოეზიის ქარიშხლიანი წარსული საქართველოს ქარიშხლიან წარსულს. ეპოქის ბედისწერა გარდატეხდა თითქმის სიმონ ბერეჟიანის პირადი ცხოვრებისა და შემოქმედების პრიზმაში. მისი ლექსები იმ დრამატული ცხოვრების ანაბეჭდებად წარმოჩნდება, რომელიც ნიჭიერმა და მრავალმხრივ მოღვაწე შემოქმედმა სამშობლოდან შორს გაატარა და სწორედ ემიგრაცია აღმოჩნდა ის დრო და სივრცე, ის განზომილება, რომელმაც დაადასტურა მწერლის ნაციონალური იდენტობა, მისი პერსონის მდგრადობა და დამოკიდებულება ეროვნული თვითმყოფადობისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ სიმონ ბერეჟიანის შესახებ ბევრი დაწერილა, მისი პიროვნება და შემოქმედება დღემდე იწვევს დიდ ინტერესს, როგორც ორ სამყაროს შორის მდგარი კულტურული ხიდისა და მაკავშირებლისადმი. უფრო და უფრო მიმზიდველი და ძვირფასი ხდება იმ ადამიანის სახე, რომელმაც ყოფიერების ამოებაზე ამაღლება შეძლო და ურთულეს პოლიტიკურ და ისტორიულ ფორმაციებში გამოატარა ეროვნული ლიტერატურული კოდები. დავით გურამიშვილისა და სხვა არა ერთი მამულიშვილურად მოაზროვნე ადამიანის მსგავსად მისი ცხოვრება და შემოქმედება ხომ რეალურად განასახიერებს დიდი რუსთაველის სიტყვებს: „სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა“. შემთხვევით არ წერდა სიმონ ბერეჟიანი, რომ უცხო მენავე აიყვანა უცხო ქვეყნებში მამინაცვლად.

სიმონ ბერეჟიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის რეცეფციული საფუძველი ისტორიული და სახარებისეული მიკროსქემებია, რომლებზეც აღმოცენდება პოეტური განაზრებანი. პოეტი მძაფრი ნოსტალგიურობისა და ტკივილის თანხლებით ქმნის ემოციურ და სამახსოვრო მხატვრულ ენერგეტიკულ სივრცეს, რომელშიც მყარ ადგილს იჭერენ მშობლიური სანახების, ბავშვობის ასოციაციების, ცნობიერებაში მყარად ჩაბეჭდილი ქართული გეოგრაფიული ლანდშაფტის ამსახველი სიტყვიერი კონოტაციები.

შემთხვევით არ უწოდა ასევე ემიგრანტმა პოეტმა და მოაზროვნემ გიორგი ყიფიანმა სიმონ ბერეჟიანს სახელად „ხელოვნების რაინდი“: „მწარეა წუთისოფელი, მპყრობელმა არვინ დაინდო, კალმით იმარჯვე ფარ-ხმალი, შენ-ხელოვნების რაინდო!“ თანამედროვე საზოგადოებისათვის,

მართლაც, მზის ნამსხვრევად რჩება სიმონ ბერეჟიანის „გული გონების საუნჯე, ბურუსით დაუნისლავი.“

*საკვანძო სიტყვები:* მწერლის ნაციონალური იდენტობა; ეროვნული კოდები.

**Tinatin Dzodzuashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **"Memory" – for a Discourse on the Inner world and Creativity of an Immigrant Writer**

Georgians living and working in different countries at different times made a great contribution to the development and formation of Georgian literary processes. They tried to be useful to their homeland even from a foreign land. The main reason for the emigration of patriotic writers during that period was their political views and the persecution they faced. In 1892, students living in Warsaw formed the "Georgian Liberation League", the goal of which was not only a political and literary struggle for the country, but also caring for each other's personal development, for which they organized various activities. However, patriotic Georgians were accused and imprisoned of forming a secret society and uniting to overthrow the existing order in Russia. Among them was Shio Aragvispireli, who also endured a difficult nine-month imprisonment in a Warsaw prison. According to him, over the course of this time, the manuscript and the skeleton of the story were lost, which is a significant loss for Georgian writing today. His specific writing style and manner of depicting events are exceptional. Among the surviving works from this period is "Memory", which was published in the magazine "Jeji" in 1890. In the story, the writer vividly depicts how a single "harmless" childhood pastime can influence a person's personal and spiritual transformation. This is a work created by Shio Aragvispireli during his emigration period, and by understanding its value, we will discuss the writer's work and the cultural and literary significance of his work as an emigrant writer.

**Keywords:** Emigration, Emigrant writers, Shio Aragvispireli, Georgian emigration, Memory.

**თინათინ ძოდუაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი*

### **„მოგონება“ – ემიგრანტი მწერლის შინაგანი სამყაროსა და შემოქმედების შესახებ დისკურსისთვის**

ქართული ლიტერატურული პროცესების წარმართვასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ქვეყანაში მხოვრებმა და მოღვაწე ქართველებმა. ისინი ცდილობდნენ უცხო ქვეყნიდანაც სასარგებლონი ყოფილიყვნენ სამშობლოსთვის. იმ პერიოდში პატრიოტ მწერალთა ემიგრაციის მთავარი მიზეზი პოლიტიკური შეხედულებები და მათ მიმართ განხორციელებული დევნა იყო. 1892 წელს, ვარშავაში მცხოვრებმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“, რომლის მიზანიც არა მხოლოდ პოლიტიკურ-ლიტერატურული ბრძოლა იყო ქვეყნისათვის, არამედ ზრუნვა ერთმანეთის პიროვნულ განვითარებაზე, რისთვისაც სხვადასხვა აქტივობებს მართავდნენ. თუმცა, პატრიოტი ქართველები საიდუმლო

საზოგადოების შექმნისა და რუსეთის არსებული წეს-წყობილების დანგრევის მიზნით გაერთიანებაში დაადანაშაულეს და დააპატიმრეს. მათ შორის იყო შიო არაგვისპირელიც, რომელმაც მძიმედ გადაიტანა ვარშავის ციხეში ცხრათვიანი პატიმრობა. მისივე თქმით, ამ დროის განმავლობაში აუარებელი ხელნაწერი და მოთხრობის ჩონჩხი დაკარგა, რაც დღეს მნიშვნელოვანი დანაკლისია ქართული მწერლობისთვის, რადგანაც მისი სპეციფიკური წერის სტილი და მოვლენათა ხატვის მანერა განსაკუთრებულია. ამ პერიოდიდან შემორჩენილ ნაწარმოებებს შორისაა „მოგონება“, რომელიც 1890 წელს ჟურნალ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა. მოთხრობაში მწერალმა მთელი სიმძაფრით დახატა, თუ როგორ შეუძლია ერთ ბავშვობის „უწყინარ“ გართობას გავლენა იქონიოს ადამიანის პიროვნულ და სულიერ ტრანსფორმაციაზე. ეს არის შიო არაგვისპირელის მიერ ემიგრაციის პერიოდში შექმნილი ნაშრომი, რომლის ღირებულების გააზრებით მოხდება მსჯელობა მწერლის შემოქმედებასა და მისი, როგორც ემიგრანტი მწერლის საქმიანობის კულტურულ-ლიტერატურულ მნიშვნელობაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, ემიგრანტი მწერლები, შიო არაგვისპირელი, ქართველი ემიგრაცია, მოგონება.

**Maka Elbakidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Aleksandre Manvelishvili and His Contributions to Rustvelology**

Aleksandre Manvelishvili, a Georgian historian, educator, and journalist, was part of the wave of émigrés forced to leave Georgia in the late 1920s due to political upheaval. Like many of his compatriots, he sought refuge in Europe, boarding the French ship “Angkor” in 1930 and settling in Paris. There, he immediately became active in several fields, including politics, journalism, and the study of Georgian history and literature.

This paper focuses on a specific aspect of Manvelishvili’s scholarly legacy: his contributions to Rustvelology, the study of the famous Georgian poet Shota Rustaveli and his romance *The Knight in the Panther’s Skin*. Manvelishvili’s engagement with Rustaveli’s work began in the 1930s, shortly after his arrival in Paris. He became acquainted with prominent representatives of the Georgian émigré “first wave,” such as the Assyriologist Mikheil Tsereteli (later the publisher and German translator of *The Knight in the Panther’s Skin*), jurist, historian, and literary scholar Zurab Avalishvili (author of the monograph *Questions on The Knight in the Panther’s Skin*), and literary critic Shalva Beridze (who later translated the poem into Italian).

Manvelishvili’s first academic work in Rustvelology, titled *The Knight in the Panther’s Skin and Rustaveli’s Ethical Ideology*, was published in Istanbul in 1933 with the support of Father Shalva Vardidze. This study is noteworthy for its comparative approach: alongside historical and literary analysis, Manvelishvili situates Rustaveli’s poem within the broader context of world literature, drawing parallels with the works of Goethe, Homer, Dante, and Shakespeare.

His interest in *The Knight in the Panther’s Skin* remained strong throughout the 1950s and 1960s, as evidenced by his numerous publications in émigré journals such as Tetri Giorgi, Momavali, Kavkasioni, and others. Notably, Manvelishvili was well-versed in nearly all significant Rustvelological research, both

within Georgia and abroad, and published critical essays on the works of renowned scholars such as Pavle Ingorokva and Viktor Nozadze.

Even after relocating to the United States, Manvelishvili continued his Rustvelological research. He remained an active contributor to Kavkasioni, and near the end of his life – at the age of 90 – he completed a 400-page book on Old Georgian literature (San Francisco, 1989), devoting its ninth chapter specifically to *The Knight in the Panther's Skin*.

## მაკა ელბაქიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

## ალექსანდრე მანველიშვილი და მისი რუსთველოლოგიური ნაზრები

ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი და ჟურნალისტი ალექსანდრე მანველიშვილი ემიგრანტ-თა იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შედეგად იძულებული გახდა, მშობლიური ქვეყანა დაეტოვებინა და ევროპაში ეძებნა თავშესაფარი. სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად ალექსანდრე მანველიშვილმა 1930 წელს ფრანგული გემით „ანგკორ“ აიღო გეზი ევროპისკენ და პარიზში ჩასვლისთანავე რამდენიმე მიმართულებით გააჩაღა აქტიური მოღვაწეობა. მისი ინტერესების სფერო იყო როგორც პოლიტიკა, ისე ჟურნალისტიკა, საქართველოს ისტორია და ლიტერატურა.

მოხსენებაში განხილულია ალექსანდრე მანველიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ერთი კონკრეტული მიმართულება – რუსთველოლოგია. „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებით იგი 30-იან წლებშივე დაინტერესებულა, როდესაც პარიზში ჩასულს გაუცნია ქართული ემიგრაციის ე.წ. პირველი ტალღის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ასირიოლოგი მიხაკო წერეთელი (შემდგომში 'ვეფხისტყაოსნის' გამომცემელი და მისი გერმანულ ენაზე მთარგმნელი), იურისტი, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე ზურაბ ავალიშვილი (ავტორი მონოგრაფიისა „ვეფხისტყაოსნის საკითხები“) და ლიტერატურათმცოდნე შალვა ბერიძე (მომავალში „ვეფხისტყაოსნის“ იტალიურ ენაზე მთარგმნელი).

ალექსანდრე მანველიშვილის პირველი მეცნიერული ნარკვევი რუსთველოლოგიაში „ვეფხისტყაოსანი“ და რუსთაველის ზნეობრივი იდეოლოგია“ 1933 წელს დაიბეჭდა სტამბოლში მღვდელ შალვა ვარდიძის ხელშეწყობით. ნაშრომი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებთან ერთად ავტორი „ვეფხისტყაოსანს“ მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილავს, კერძოდ, გოეთეს, ჰომეროსის, დანტესა და შექსპირის თხზულებებთან შედარებით-ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე.

მანველიშვილის ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების მიმართ არც 1950-1960-იან წლებში წლებში ჩამცხრალა. ამას მოწმობს მისი პუბლიკაციები ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებში „თეთრი გიორგი“, „მომავალი“, „კავკასიონი“ და სხვ. საყურადღებოა, რომ ემიგრაციაში მყოფი მეცნიერი იცნობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან გამოკვლევას ამ სფეროში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და აქვეყნებდა კრიტიკული წერილებს ცნობილ რუსთველოლოგთა (მაგ. პავლე ინგოროყვას, ვიკტორ ნოზაძის) ნაშრომებზე.

ალექსანდრე მანველიშვილს რუსთველოლოგიური კვლევა არ შეუწყვეტია არც ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასვლის შემდგომ. ის განაგრძობდა აქტიურ თანამშრომლობას ჟურნალ „კავკასიონთან“, სიცოცხლის მიწურულს კი, 90 წელს მიღწეულმა მკვლევრმა ოთხასგვერდიანი წიგ-

ნი მიუძღვნა ძველ ქართულ მწერლობას (სან-ფრანცისკო, 1989), რომლის მეცხრე თავი საგანგებოდ „ვეფხისტყაოსანს“ მიუძღვნა.

**Maria Filina**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **"Political Emigrants" – Creators of Georgian – Polish Literary Relations**

The emergence of multi-dimensional Georgian-Polish literary relationships refers to the first half of the XIX century. The most significant period of the emergence and development of mutual interest among writers is connected with the significant wave of young educated Poles in the 1830s.

Tsarist authorities pursued the goal of punishing "political criminals", the result turned out to be directly opposite – a spiritual union of exiles and the elite of the Georgian intelligentsia arose. Adoption of the wealth of contacts geographically so far located to other countries is generally accepted, however, the phenomenon of emergence and development of the tradition is not studied.

The national uprising of 1830-31 determined another peculiar division of Poland – into those who remained in their homeland and those who emigrated. As is known, in the 1830s-1850s of the 19th century, in the Caucasus, primarily in Tbilisi, as the center of the cultural life of Transcaucasia, a kind of small branch of Polish literature functioned – the literature of the Caucasian exile.

The tsarist authorities were intended to punish "political criminals", the result was just the opposite – there was exiled spiritual union and the elite of the Georgian intelligentsia. In a very difficult situation created an entire system of relations – mutual translations, studying Polish historians and ethnographers Caucasus, particularly Georgia, in the midst of the Caucasian War. In Tbilisi, for two decades was operated a kind of "branch" of Polish romanticism – a group of Polish "Caucasian" poets. Specific individuals rather intensively created body relationships, the intensity of which is unique. During the life of Adam Mickiewicz, in 1838, by George Eristavi were translated "Crimean Sonnets". Mitskievitch presents in the first issue of "Tsiskari", despite the fact that in a related literature, he began to translate later. One of the first articles in Europe about Rustaveli was written by Polish orientalist Constantine Rdultovski. Despite the double censorship – military and civil works of Polish "Caucasians" about Georgia almost simultaneously with the creation of a leading Polish published almanacs.

Polish exiles expanded presentation of his countrymen of the Caucasus in 1830-1840 years of the Caucasus was no longer just an exotic edge romantic inspiration, and went into the reading interests of the Poles. Later, there were different in intensity periods of mutual translations but it is in the initial period were spontaneously incorporated all further forms of literary contacts. And this literature, created by "political emigrants" in the Caucasus, primarily in Georgia, has a unique significance both for the study of the Caucasus and for expanding knowledge about this part of the world among Europeans and occupies a special place in Polish romanticism.



**მარიამ ფილინა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი*

## **„პოლიტიკური ემიგრანტები“ – ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების შექმნელები**

მრავალმხრივი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების გაჩენა XIX საუკუნის პირველ ნახევარს უკავშირდება. ზოგადად მიღებულია მტკიცება ერთმანეთისგან გეოგრაფიულად ასე შორს მდებარე ორ ქვეყანას კონტაქტების სიმდიდრის შესახებ, თუმცა ტრადიციის გაჩენისა და განვითარების ფენომენი ჯერ კიდევ ღრმად არ არის შესწავლილი. ორ ხალხს შორის ლიტერატურული ურთიერთობების ყველა დონის განსაზღვრული ტრადიციის გაჩენა დაკავშირებულია ემიგრაციის განსაკუთრებულ სახეობასთან – პოლონელების მასობრივ გადასახლებასთან – პოლონეთის ეროვნული აჯანყებებისა და ანტიცარისტული შეთქმულებების მონაწილეობით. რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ „პოლიტიკური დამნაშავეების“ დასჯის მიზანი განახორციელა, შედეგი კი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა – წარმოიშვა გადასახლებულთა სულიერი კავშირი და ქართული ინტელიგენციის ელიტა. ურთულეს ვითარებაში შეიქმნა კავშირების მთელი სისტემა – ურთიერთთარგმანები, კავკასიის შესწავლა პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ, კერძოდ, კავკასიური ომის კულმინაციის პერიოდში.

1830-31 წწ. აჯანყებამ განსაზღვრა კიდევ ერთი თავისებური დაყოფა პოლონეთისა – სამშობლოში დარჩენილებად და ემიგრანტებად. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 1830-1850-იან წლებში კავკასიაში, პირველ რიგში თბილისში, როგორც ამიერკავკასიის კულტურული ცხოვრების ცენტრში, ფუნქციონირებდა პოლონური ლიტერატურის ერთგვარი მცირე ფილიალი – კავკასიური განდევნილობის ლიტერატურისა.

კონკრეტულმა პიროვნებებმა ძალიან ინტენსიურად შექმნეს ურთიერთკავშირების მთელი ორგანიზმი, რომლის ინტენსივობაც უნიკალურია. ადამ მიცკევიჩის სიცოცხლეში, 1838 წელს, გიორგი ერისთავმა თარგმნა „ყირიმის სონეტები“. მიცკევიჩი ჟურნალ „ცისკარის“ პირველივე ნომერში ფიგურირებს, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მონათესავე ლიტერატურებში მისი თარგმნა მოგვიანებით დაიწყეს. ერთ-ერთი პირველი ევროპული სტატია რუსთველის შესახებ პოლონელი ორიენტალისტის, კონსტანტინ რდულტოვსკის კალამს ეკუთვნის. ორმაგი ცენზურის – სამხედრო და სამოქალაქო – მიუხედავად, პოლონელი „კავკასიელების“ ნაშრომები საქართველოს შესახებ თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა წამყვან პოლონურ აღმანახებში მათი შექმნისთანავე.

გადასახლებულმა პოლონელებმა გააფართოვეს თანამემამულეების წარმოდგენები კავკასიის შესახებ; 1830-იან და 1840-იან წლებში კავკასია აღარ იყო მხოლოდ ეგზოტიკური რომანტიკული შთაგონების რეგიონი და მკითხველი პოლონელების ინტერესის საგანი გახდა. მოგვიანებით, სხვადასხვა ინტენსივობის ურთიერთთარგმანების პერიოდები აღინიშნა; თუმცა, სწორედ საწყის პერიოდში, სწორედ „პოლიტიკური ემიგრანტების“ მიერ, სპონტანურად ჩამოყალიბდა ლიტერატურული კონტაქტების ყველა შემდგომი ფორმა.

და ამ ლიტერატურას, რომელიც კავკასიაში, პირველ რიგში საქართველოში, „პოლიტიკური ემიგრანტების“ მიერ არის შექმნილი, უნიკალური მნიშვნელობა აქვს როგორც კავკასიის შესწავლისთვის, ასევე ევროპელებში მსოფლიოს ამ ნაწილის შესახებ ცოდნის გაფართოებისთვის და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პოლონურ რომანტიზმში.

**Julietta Gabodze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **From Anarchist to Assyriologist: The Path of Mikheil (Mikhako) Tsereteli**

*(Based on Archival Materials)*

The biography of Mikhako Tsereteli is rich and varied, while his intellectual legacy is even more multifaceted. A distinguished professor at the universities of Tbilisi, Brussels, and Berlin, he was a renowned expert in Assyriology and the history of the Ancient Near East. Between 1914 and 1918, he played a leading role in the "Georgian Independence Committee" abroad and later served as the representative of the Democratic Republic of Georgia to the Scandinavian countries. As a political émigré, he became one of the prominent figures of the political organization "White George." Tsereteli authored numerous scholarly works, took part in dozens of international conferences, and contributed to various émigré publications as both editor and writer. His publicistic and academic writings appeared in the Georgian press as well as in leading scholarly journals around the world.

Comprehensive information about this prominent figure became available in Georgia only after a large part of the émigré heritage and his personal archive were brought back to the country.

Mikhako Tsereteli's personal archive, preserved at the National Centre of Manuscripts and the Museum of Georgian Emigration, contains fascinating materials.

It is astonishing how the academic and public career of a former anarchist and revolutionary began and developed. Initially, under the guidance of Ekvtime Takaishvili, he changed his political orientation and decided to continue his studies at European universities. Later, with the support and recommendation of Ivane Javakhishvili, he was awarded the David Sarajishvili scholarship and earned a doctorate in Assyriology from the University of Heidelberg.

Apparently convinced of Tsereteli's dedication and talent, Javakhishvili even recommended him as a candidate for a lecturer position to Oliver Wardrop, who, in memory of his sister Marjory, was planning to establish a Georgian language chair at the University of Oxford. At the same time, he was preparing a chrestomathy of Georgian literature for publication. In 1912, Oliver eventually published *The Knight in the Panther's Skin*, translated by Marjory. Mikhako was actively involved in the publication of the book.

M. Tsereteli's archive and memoirs contain intriguing information about a lesser-known polemic between Ivane Javakhishvili and Iakob Gogebashvili.

The immense sorrow caused by the loss of his homeland is palpable in Mikhako Tsereteli's Georgian and cuneiform writings, found in the guestbook of impressions kept at the children's sanatorium "Patara Tsemi" (Little Tsemi), founded by Vakhtang Ghambashidze.

**Keywords:** émigré, Assyriologist, memoirs, publicistic, epistolary, Javakhishvili, Wardrop, Akaki.

## **ჯულიეტა გაბოძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი*

### **მიხეილ(მიხაკო) წერეთლის გზა ანარქისტობიდან ასირიოლოგიამდე (საარქივო მასალების მიხედვით)**

მრავალფეროვანია მიხაკო წერეთლის ბიოგრაფია, კიდევ უფრო მრავალმხრივია მისი მოღვაწეობა. თბილისის, ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალისტი, 1914-1918 წწ. იყო საზღვარგარეთ მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებში. პოლიტიკური ემიგრანტი და პოლიტიკური ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი. ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა. ათობით საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. ემიგრანტული პერიოდული გამოცემების რედაქტორი და ავტორ-თანამშრომელი. აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებსა და ნაშრომებს როგორც ქართულ პერიოდულ პრესაში, ისე მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო კრებულებში.

საქართველოში ამ მოღვაწის შესახებ სრული ინფორმაცია მას შემდეგ გახდა ცნობილი, როცა მოხერხდა ემიგრანტული მემკვიდრეობის დიდი ნაწილისა და მისი არქივის ჩამოტანა.

საინტერესო ცნობებს ინახავს მიხაკო წერეთლის პირადი არქივი, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

გასაოცარია, საიდან დაიწყო და როგორ განვითარდა ყოფილი ანარქისტისა და რევოლუციონერის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თავდაპირველად, ექვთიმე თაყაიშვილის შეგონებით შეიცვალა პოლიტიკური ორიენტაცია და გადაწყვიტა სწავლა განეგრძო ევროპის უნივერსიტეტებში. შემდეგ კი ივანე ჯავახიშვილის მეურვეობითა და მისივე რეკომენდაციით მოიპოვა დავით სარაჯიშვილის სტიპენდია და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დაიცვა დოქტორის ხარისხი ასირიოლოგიაში. როგორც ჩანს, მიხაკო წერეთლის მონდომებასა და ნიჭიერებაში დარწმუნებულმა ჯავახიშვილმა მისი კანდიდატურა ლექტორის პოზიციაზეც კი შესთავაზა ოლივერ უორდროპს, რომელიც დის, მარჯორის, ხსოვნის პატივსაცემად ოქსფორდის უნივერსიტეტში აპირებდა ქართული ენის კათედრის გახსნას და ამავე დროს გამოსაცემად ამზადებდა ქართული ლიტერატურის ქრესტომათიას, საბოლოოდ, 1912 წელს ოლივერმა მარჯორის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა. მიხაკო აქტიურად ყოფილა ჩართული წიგნის გამოცემაში.

მიხაკო წერეთლის არქივი და მოგონებები საინტერესო ინფორმაციას ინახავს ივანე ჯავახიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის ნაკლებად ცნობილი პოლემიკის შესახებ.

სამშობლოს დაკარგვით გამოწვეულ უზომო სევდა იკითხება მიხაკოს ქართულ და ლურსმულ ჩანაწერებში, რომელიც შეუსრულებია ვახტანგ დამბაშიძის მიერ დაარსებულ ბავშვთა სანატორიუმ „პატარა ცემის“ დამსვენებელთა შთაბეჭდილებების წიგნში.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრანტი, ასირიოლოგი, მოგონებები, პუბლიცისტური, ეპისტოლური, ჯავახიშვილი, უორდროპი, აკაკი.

## The Problem of Language and Identity in the Works of Giwi Margwelaschwili and Herta Müller

Autobiographical elements, emigration, totalitarian regimes, and many other factors have shaped a subjective concept of language and identity, which found an extraordinary embodiment in the literary-aesthetic views and artistic texts of Giwi Margwelaschwili (1927-2020) and Herta Müller (1953\*).

After World War II, the mixing of languages and themes in Western and Eastern Europe led to the formation of a new cultural-identity order.

Giwi Margwelaschwili, born in Germany to Georgian émigré parents, considered German his native language. After being forcibly relocated to Georgia, he carefully preserved the language, writing both his academic works and literary texts in German. In doing so, he found himself in his “house of being.”

The theme of expulsion from the universal home of the native language is directly tied to the issue of identity. According to Margwelaschwili, for an emigrant who is cut off from the natural environment of his native language, language ceases to be the defining factor of identity. This idea is the product of the writer's broad life experience and can be generalized as an alternative model for understanding the modern world.

In this context, the German writer Herta Müller, born in Romania, is of particular interest. Like Margwelaschwili, she lived and was educated in various linguistic and cultural environments. The sociolinguistic background characteristic of her experience – where Upper German, Romanian, Serbian, and Hungarian coexisted – intensified the question of identity. Added to this was her belonging to a so-called “national minority.” Living in a multilingual and multicultural environment also led to a blending of themes, making the word “identity” lose its meaning for the author. Yet for her, too, the German language remained her “house of being.”

**Keywords:** Language, identity, emigration, “house of being”.

### ნუგეშა გაგნიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, ქუთაისი

## ენისა და იდენტობის პრობლემა გივი მარგველაშვილისა და ჰერტა მიულერის შემოქმედებაში

ავტობიოგრაფიულმა ელემენტებმა, ემიგრაციამ, ტოტალიტარულმა რეჟიმებმა და სხვა ბევრმა ფაქტორმა განაპირობა ენისა და იდენტობის სუბიექტური კონცეფცია, რომელმაც არაორდინარული განსხეულება იპოვა გივი მარგველაშვილისა (1927-2020) და ჰერტა მიულერის (1953\*) ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებებსა და მხატვრულ ტექსტებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში ენათა და თემათა აღრევამ განაპირობა ახალი კულტურულ-იდენტობრივი წესრიგის ჩამოყალიბება.

გერმანიაში დაბადებული გივი მარგველაშვილი, ქართველი ემიგრანტების შვილი, გერმანულს მშობლიურ ენად მიიჩნევს. იძულებით საქართველოში ემიგრირებული, სათუთად უვლის მას: როგორც სამეცნიერო ნაშრომებს, ასევე მხატვრულ ტექსტებს, გერმანულად ქმნის. ამგვარად, ის თავის „ყოფიერების სახლშია“.

მშობლიური ენის საყოველთაო სახლიდან გაძევების თემა პირდაპირ კავშირშია იდენტობის საკითხთან. მარგველაშვილის აზრით, ემიგრანტისთვის, რომელიც მოცილებულია მშობლიური ენის ბუნებრივ გარემოს, იდენტობის განმსაზღვრელი უკვე აღარ არის ენა. ეს მოსაზრება მწერლის ფართო ცხოვრებისეული გამოცდილების ნაყოფია და შეიძლება განზოგადდეს როგორც თანამედროვე სამყაროს აღქმის ალტერნატიული მოდელი. ამ კონტექსტში საინტერესოა რუმინეთში დაბადებული გერმანელი მწერალი ჰერტა მიულერი, რომელიც, მარგველაშვილის მსგავსად, სხვადასხვა ენასა და კულტურულ გარემოში ცხოვრობდა და იღებდა განათლებას. მისთვის დამახასიათებელი სოციოლინგვისტური ფონი – ზემოგერმანულის, რუმინულის, სერბულისა და უნგრულის თანაარსებობა – კიდევ უფრო ამძაფრებდა იდენტობის საკითხს. ამას ემატებოდა მისი კუთვნილება ე.წ. „ეროვნულ უმცირესობაში“. მრავალენოვან და მრავალკულტურულ გარემოში ცხოვრებამ თემათა აღრევაც გამოიწვია, რის შედეგადაც სიტყვა „იდენტობა“ ავტორისთვის შინაარსდაკარგული გახდა, ხოლო მის „ყოფიერების სახლადაც“ გერმანული ენა დარჩა.

*საკვანძო სიტყვები:* ენა, იდენტობა, ემიგრაცია, „ყოფიერების სახლი“.

**Rahiya Geybullayeva**

*ADA University, Baku Slavic University  
Azerbaijan, Baku*

### **From the Fall of Empires to the Collapse of the Soviet Union: Diasporic Memory in the Works of Ümmülbanu Banin and Gunel Movlut**

This research examines the diasporic writings of two Azerbaijani women authors separated by nearly a century: Ümmülbanu Banin (1905–1992) and Gunel Mevlut (b. 1980). Banin, who fled Baku after the fall of the Azerbaijan Democratic Republic in 1920 and later wrote in France, portrayed a homeland lost to Sovietization. Decades later, Mevlut, writing from Tbilisi and later Norway after the Soviet Union's collapse, reflected on life in Baku during another period of upheaval. Through comparative analysis, the study investigates how both authors articulate exile, memory, and identity in response to political disintegration. It argues that their works highlight continuities in women's diasporic narratives of belonging and displacement, while also reflecting the particularities of their historical contexts. By placing Banin and Mevlut side by side, this paper illuminates the role of women's writing in preserving cultural memory across generations of Azerbaijani diaspora.

**Levan Gelashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Georgia, Tbilisi*

### **Internal Migration and Emigration in the Proletarian Poetry of the 1920s**

The political and ideological discourses reflected in poetry constitute a field of deep intersemiotic research that remains underexplored at the scholarly level in all its complexity. The proletarian poetry of the 1920s is notably heterogeneous, reflecting not only official political directives but also the unofficial cultural and ideological undercurrents of the time. There is often a disjunction between what the author intended to convey and what ultimately emerged in the poetic text.

Particularly noteworthy are the avant-garde tendencies within proletarian poetry of this period. Avant-garde influence was prominent, especially evident in the works of Alio Mirtskhulava and Karlo Kaladze, whose poems demonstrate clear signs of avant-garde, futurist, and cinematic narratological strategies. On both the textual and visual levels, their works display avant-garde experimentation, symbolic encoding, stylization, and a conscious play with form and function – factors that frequently provoked criticism in the press of the 1920s.

These avant-garde tendencies are especially significant considering that during the 1920s, Georgian translations of European authors – who would later be deemed ideologically unacceptable – were still being circulated. Early Georgian socialist realist poetry emerged through a process of internal migration and symbolic exile from its proletarian antecedents. Before its formal ideological consolidation, this poetic discourse was characterized by a wavering nature, oscillating between phases of fetishization and repression.

This paper examines the relationship between proletarian poetry and the broader literary processes of the 1920s, enabling an evaluation of proletarian discourse in the context of literary theory and history of literature. Based on the thematic focus of this research, several categories of poems published in the press can be identified:

- Poems depicting the interim and ultimate goals of the revolutionary struggle in the formation of communist society (proletarian poetry views these as both transitional and final aims);
- Poems of warning or threat, satirical verse, and feuilleton-style poetry;
- Poems dedicated to specific political events;
- Poems glorifying industrialization;
- Memorial poems;
- Poems dedicated to working communist women;
- The use of folklore in proletarian poetry;
- Canonical/classical authors referenced in proletarian poetry;
- Intertextuality in proletarian poetry;
- Poems free from ideological constraints and those reflecting religious sentiment;
- Translations of proletarian poetry.

**Keywords:** proletarian poetry, internal migration, precursors of socialist realism, avant-gardism.

**ლევან გელაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **ოციალური წლების პროლეტარული პოეზიის შინაგანი მიგრაცია და ემიგრაცია**

პოეზიაში რეფლექსირებული პოლიტიკური და იდეოლოგიური დისკურსები ღრმა ინტერსემიოტიკური კვლევის სფეროა, რომელიც მთელი თავისი სიღრმით სამეცნიერო დონეზე ნაკლებად არის შესაწავლილი. ოციალური წლების პროლეტარული პოეზია არაერთგვაროვანია, ის ასახავს არა მხოლოდ პოლიტიკურ დირექტივებს, არამედ არსებულ არაოფიციალურ სამყაროსაც. ერთია, რისი თქმა უნდოდა ავტორს, და მეორე – რა გამოვიდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია პროლეტარული პოეზიის ავანგარდისტული ტენდენციები. ამ პერიოდში ძლიერი იყო ავანგარდისტული გავლენა. მაგალითად, ალიო მირცხულავასა და კარლო კალაძის ლექსებში აშკარად შეიმჩნევა ავანგარდიზმის გავლენა – ფუტურისტულ-ავანგარდისტული კინონარატოლოგიური სტრატეგიები. მათი შე-

მოქმედების როგორც შინაარსობრივ, ისე გრაფიკულ დონეზე ვლინდება ავანგარდისტული ექსპერიმენტი, სიმბოლო, სტილიზაცია, ფორმა და ფუნქცია, რის გამოც ეს პოეტები არაერთხელ გააკრიტიკეს იმდროინდელ პრესაში.

პროლეტარული პოეზიის ავანგარდისტული ტენდენციები განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ოციან წლებში ითარგმნებოდა ისეთი ევროპელი ავტორები, რომლებიც შემდგომ პერიოდში მიუღებლად გამოცხადდა.

ქართული სოცრეალისტური პოეზია თავის არსებობის დასაწყისში პროლეტარული პოეზიის წინამძღვრების სახით განიცდის შინაგან მიგრაციას და ემიგრაციას. სანამ ის ოფიციალურად გაფორმდებოდა, შინაგანი გადაწყვეტილების მერყევი ბუნებით, ფეტიშისა და რეპრესირებული ფაზების მონაცვლეობით გამოირჩეოდა. ნაშრომში შესწავლილია პროლეტარული პოეზიის მიმართება ოციანი წლების ლიტერატურულ პროცესებთან, რაც გვაძლევს შესაძლებლობას, შევაფასოთ პროლეტარული დისკურსის მნიშვნელობა ლიტერატურის თეორიისა და ისტორიისთვის.

ჩვენი საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, პრესაში დაბეჭდილი ლექსების რამდენიმე კატეგორიის გამოყოფა შეიძლება. ესენია:

- კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში რევოლუციური ბრძოლის შუალედური და საბოლოო მიზნების ამსახველი ლექსები (პროლეტარულ პოეზიაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე განიხილება როგორც გარდამავალი, ისე საბოლოო მიზნები);

- გაფრთხილება/მუქარის შემცველი ლექსები, გამკენწლავი ლექსები, ლექსი-ფელეტონები;

- პოლიტიკური მოვლენებისადმი მიძღვნილი ლექსები;

- ინდუსტრიალიზაციის განმადიდებელი ლექსები;

- მემორიალური ლექსები;

- მუშა კომუნისტი ქალებისადმი მიძღვნილი ლექსები;

- ფოლკლორი პროლეტარულ პოეზიაში;

- კლასიკოსი ავტორები პროლეტარულ პოეზიაში;

ინტერტექსტი პროლეტარულ პოეზიაში;

- იდეოლოგიისგან თავისუფალი ლექსები და რელიგიური გრძნობები პროლეტარულ პოეზიაში;

- პროლეტარული პოეზიის თარგმანები.

**საკვანძო სიტყვები:** პროლეტარული პოეზია, შინაგანი მიგრაცია, სოცრეალიზმის წინამძღვრები, ავანგარდიზმი.

**Manana Gelashvili**

**Tamar Gelashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Georgia, Tbilisi*

### **James Joyce: Language as a Problem**

James Joyce, who spent his entire life in voluntary exile from his native Ireland, was concerned by language throughout his lifetime. The English language in which he wrote was, in his perception, the language of the conqueror, which had deprived Ireland of its native Gaelic. For Joyce, the language also became one of the problems which revealed itself both on the thematic level (Language is one of the many themes that his characters are concerned with and which is often debated in *Dubliners*, *The Portrait of an*

*Artist* and *Ulysses*) and on the linguistic level where Joyce as a writer endeavours to push the possibilities of the language to its uttermost, so as to create a new language which is 'different from itself' (Derrida).

Despite Joyce's perception of English as a conquering language, he still rejected both the Gaelic language and the Celtic revival, seeing it as a threat to Ireland's further isolation and enslavement.

Due to such a dilemma, Joyce's whole writing carrier can be viewed as a search for language of expression. Starting from the rejection of the Irish language (*Dubliners*, *The Portrait of an Artist*) and feeling of alienation in English experienced by Stephen in the funnel/tundish episode in *The Portrait* ('[h]is language, so familiar and so foreign, will always be for me an acquired speech'), through the eclectic and allusive style drawn from many languages in *Ulysses* on to *Finnegans Wake*, where Joyce endeavours to create such a language where each signifier calls to mind numerous other connotations and gives innumerable possibilities for interpretation.

**Keywords:** Joyce, language, emigration.

მანანა გელაშვილი

თამარ გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

### ჯეიმზ ჯოისი: ენა, როგორც პრობლემა

ჯეიმზ ჯოისისთვის, რომელმაც მთელი ცხოვრება მშობლიური ირლანდიიდან მოშორებით, ნებაყოფლობით ემიგრაციაში გაატარა, სამწერლო ენა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. ინგლისური ენა, რომელზეც იგი წერდა, მის აღქმაში, დამპყრობლის ენა იყო, რომელმაც ირლანდიას მშობლიური გელური წაართვა. ამგვარი დამოკიდებულება ენის მიმართ ვლინდება როგორც თემატურ დონეზე (ენა ერთ-ერთია იმ მრავალ პრობლემათა შორის, რომელიც მის პერსონაჟებს აწუხებთ და რომელიც ხშირად განიხილება „დუბლინელებში“, „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტსა“ და „ულისეში“), ასევე ენობრივ დონეზე, სადაც ჯოისი, როგორც მწერალი, ცდილობს ენობრივი ექსპერიმენტირებით შექმნას ენა, რომელიც, როგორც დერიდა უწოდებს „განსხვავდება საკუთარი თავისგან“.

ინგლისური ენის დამპყრობლის ენად აღქმის მიუხედავად, ჯოისი უარს ამბობს გელური ენასა და კელტური აღორძინებაზე, რადგან მასში ირლანდიის შემდგომ იზოლაციისა და კარჩაკეტილობის საფრთხეს ხედავს.

ამგვარი დილემის წყალობით, ჯოისის მთელი სამწერლო კარიერა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გამოხატვის ენის ძიება, რომელიც დაიწყო ირლანდიური/გელური ენის უარყოფით („დუბლინელები“, „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტი“) და ინგლისურ ენისადმი გაუცხოებით („ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტი“). შემდგომში, „ულისეს“ ეკლექტიკურ, ალუზიური სტილში, სადაც ჯოისი სიტყვათქმნადობით და სიტყვების თამაშით უწყებს დიდ ენობრივ ექსპერიმენტს, რომელიც უფრო რადიკალური სახით ბოლო ნაწარმოებში „ლამისთევა ფინეგანისათვის“ ვლინდება, სადაც ჯოისი ცდილობს შექმნას ისეთი ენა, სადაც თითოეული აღმნიშვნელი მრავალსხვადასხვა კონოტაციას ატარებს და ინტერპრეტაციის უსასრულო შესაძლებლობებს წარმოქმნის.

**საკვანძო სიტყვები:** ჯოისი, ენა, ემიგრაცია



**Tamta Ghonghadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **The Voice of Migrants in Tamta Melashvili's Novel – "Told and Untold Stories: Germans in Georgia"**

Tamta Melashvili's book, "Told and Untold Stories: Germans in Georgia," published in 2017, belongs to the genre of documentary prose. The novel is notable from both a thematic and narratological perspective. Using the method of oral histories, the author has added a reportage novel to contemporary Georgian literature.

The most renowned and acclaimed author of novels written using the oral history method is the Nobel laureate Svetlana Alexievich. Tamta Melashvili's novel shares not only a narratological form but also a thematic connection with Alexievich's "The Unwomanly Face of War": the Belarusian writer attempts to reconstruct the traumatic experience of the Soviet Union from the memory of narrators; the Georgian novel also largely reflects this same experience: the migration of Germans to the Caucasus, followed by World War II and their forced deportation from Georgia by the Soviet government. This process was accompanied by starvation, suffering, and the death of a large portion of the deportees. It is significant that the narrators, descendants of the survivors, in Tamta Melashvili's novel, just like in Svetlana Alexievich's aforementioned book, are predominantly women.

The novel "Told and Untold Stories: Germans in Georgia" reflects the 200-year history of Georgian-German relations from the consciousness of its direct participants. In the book, people tell stories of how their German grandmothers and great-grandfathers established their communities in Bolnisi, Asureti, and Sartichala; what the coexistence of Germans and Georgians was like; How German migrants became emigrants; What remains alive today, what has been preserved in photographs and memory. A key question for research is which parts and details of history intersect in the narratives of dozens of people, and what causes their differing perceptions and perspectives, and the reasons for these differences.

**Keywords:** Migrants, Germans in Georgia, Tamta Melashvili, Oral History Method, Svetlana Alexievich.

#### **თამთა ღონღაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი*

### **მიგრანტების ხმა თამთა მელაშვილის რომანში – „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში“**

2017 წელს გამოცემული თამთა მელაშვილის წიგნი – „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში“ – დოკუმენტური პროზის ჟანრს მიეკუთვნება. რომანი საყურადღებო როგორც შინაარსობრივი, ისე – ნარატოლოგიური თვალსაზრისით. ავტორმა ზეპირი ისტორიების მეთოდის გამოყენებით რეპორტაჟული რომანი შესძინა თანამედროვე ქართულ მწერლობას.

ზეპირი ისტორიების მეთოდით დაწერილი რომანის ყველაზე ცნობილი და აღიარებული ავტორი თანამედროვე ნობელიანტი მწერალი სვეტლანა ალექსიევიჩია. მის წიგნთან – „ომს არა აქვს ქალის სახე“ – თამთა მელაშვილის რომანს აკავშირებს არამხოლოდ ნარატოლოგიური ფორმა, არამედ თემატიკაც: ბელარუსი მწერალი მთხრობელთა მეხსიერებიდან საბჭოთა კავშირის ტრავმულ-

ლი გამოცდილების რეკონსტრუქციას ცდილობს; ქართული რომანიც დიდწილად სწორედ ამ გამოცდილებას ასახავს: გერმანელების მიგრაცია კავკასიაში, შემდეგ მსოფლიო ომი და საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოდან მათი იძულებით გადასახლება. ამ პროცესს თან სდევდა გადასახლებულთა შიმშილი, ტანჯვა და დიდი ნაწილის სიკვდილი. მნიშვნელოვანია, რომ მთხრობელები, გადარჩენილთა შთამომავლები თამთა მელაშვილის რომანშიც, როგორც სვეტლანა ალექსიევიჩის ხსენებულ წიგნში, ძირითადად ქალები არიან.

რომანი – „თქმული და უთქმელი ისტორიები: გერმანელები საქართველოში“ – ქართულ-გერმანული ურთიერთობის 200-წლიან ისტორიას აღადგენს მის უშუალო მონაწილეთა ცნობიერებიდან. წიგნში ადამიანები გვიყვებიან ამბებს თუ როგორ შექმნეს მათმა გერმანელმა ბებიებმა და დიდმა ბაბუებმა ბოლნისში, ასურეთში, სართიჭალაში თავისი თემი; როგორ იყო გერმანელებისა და ქართველების თანაცხოვრება; როგორ იცნენ გერმანელი მიგრანტები ემიგრანტებად; რა დარჩა დღეს ცოცხალი, რა შემორჩა ფოტოებსა და მეხსიერებას. საკვლევი საკითხია ისტორიის რა ნაწილები და დეტალები იკვეთება ერთმანეთთან ათობით ადამიანის მონათხრობში; რას ხედავენ განსხვავებული პერსპექტივით და რა არის ამ განსხვავებათა მიზეზები.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრანტები, გერმანელები საქართველოში, თამთა მელაშვილი, ზეპირი ისტორიების მეთოდი, სვეტლანა ალექსიევიჩი.

**Nino Giorgadze**

*Iakob Gogebashvili Telavi State University*

*Georgia, Telavi*

### **The Primary Lines of Evaluation of Grigol Robakidze in Enver Nizharadze's Research**

Georgian émigré literature made a particularly significant contribution to preserving national consciousness and presenting Georgian culture abroad. Writers and intellectuals who chose the path of emigration continued to protect the Georgian spirit and word on foreign soil instead of returning to their homeland. Grigol Robakidze – a Georgian writer, critic, and thinker – is one of the most prominent figures in this process.

In emigration, Robakidze devoted great creative energy to reflecting on national issues. His works thematically address Georgian tradition and dialogue with contemporary European culture, a kind of synthesis of Eastern and Western consciousness, and the tragic experiences of an émigré. This period elevated Robakidze from a nationally significant author to the status of an intellectual of global importance.

Enver Nizharadze – a writer, philologist, and publicist – studied Grigol Robakidze's life and work with particular interest. Nizharadze regarded Robakidze not only as a Georgian classic, but also as an intellectual figure of European caliber. His research illuminates how precisely the Georgian spirit is manifested in Robakidze's writings and actions.

Nizharadze emphatically noted the universality of Robakidze's language, his mastery of style, and the diversity of his content layers. For him, Robakidze was a symbol of émigré spirituality – a man who managed to maintain the high standards of Georgian literature even while abroad and to unfold Georgia's profound cultural content before a European audience.

The émigré activities of Robakidze and Nizharadze clearly demonstrated that their creative work was not merely a chronicle of personal experiences, but a reliable, truth-based solid weapon for protecting national identity.

Enver Nizharadze's book "Grigol AVALON Robakidze and the One Mystery of Two 'Booklets'" is valuable for its scholarly and in-depth analysis, its academic and scrupulous approach to the subject, and the reliability and richness of the presented material.

**Keywords:** national, emigration, Grigol Robakidze, Enver Nizharadze, Georgian spiri.

## ნინო გიორგაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თელავი

### გრიგოლ რობაქიძის შეფასების ძირითადი ხაზები ენვერ ნიჟარაძის კვლევებში

ქართულმა ემიგრანტულმა ლიტერატურამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებასა და უცხოეთში ქართული კულტურის წარდგენაში. ემიგრაციის გზას დაადგნენ ისეთი მწერლები და ინტელექტუალები, რომელთაც სამშობლოში დაბრუნების ნაცვლად უცხო მიწაზე გააგრძელეს ქართული სულისა და სიტყვის დაცვა. გრიგოლ რობაქიძე-ქართველი მწერალი, კრიტიკოსი და მოაზროვნე-ამ პროცესის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა.

რობაქიძემ ემიგრაციაში დიდი შემოქმედებითი ენერგია მოახმარა ეროვნულ საკითხებზე ფიქრს. მისი ნაწარმოებები თემატურად ეხება ქართულ ტრადიციასა და თანამედროვე ევროპულ კულტურასთან დიალოგს, აღმოსავლური და დასავლური ცნობიერების ერთგვარ სინთეზსა და ემიგრანტის ტრაგიკულ განცდებს. ამ პერიოდმა რობაქიძე აიყვანა ეროვნული დონის ავტორიდან მსოფლიო მნიშვნელობის ინტელექტუალის სტატუსამდე.

ენვერ ნიჟარაძე-მწერალი, ფილოლოგი და პუბლიცისტი-განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ნიჟარაძე რობაქიძეს არა მხოლოდ ქართველ კლასიკოსად, არამედ ევროპული დონის ინტელექტუალურ ფიგურად მოიაზრებდა. მისი კვლევები ნათელს ხდის, რაოდენ ზუსტად იკვეთება ქართული სული რობაქიძის ნაწერებსა და ქმედებებში.

ნიჟარაძე ხაზგასმით შენიშნავდა რობაქიძის ენის უნივერსალობას, სტილის ოსტატობას და შინაარსობრივი შრეების მრავალფეროვნებას. მისთვის რობაქიძე იყო ემიგრანტული სულიერების სიმბოლო-ადამიანი, რომელმაც შეძლო უცხოეთში ყოფნის პირობებშიც კი ქართული სიტყვის მაღალი სტანდარტების შენარჩუნება და ევროპული აუდიტორიის წინაშე საქართველოს ღრმა კულტურული შინაარსის გაშლა.

რობაქიძისა და ნიჟარაძის ემიგრანტულმა მოღვაწეობამ ნათლად წარმოაჩინა, რომ მათი შემოქმედება არა მხოლოდ პირად განცდათა მატანია, არამედ ეროვნული იდენტობის დაცვის საიმედო, ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული მყარი იარაღია.

ენვერ ნიჟარაძის წიგნი „გრიგოლ AVALON რობაქიძე და ორი „წიგნაკის“ ერთი საიდუმლოება“ ღირებულია მეცნიერული და სიღრმისეული ანალიზით, საკითხისადმი აკადემიური და სკრუპულოზური მიდგომით, წარმოდგენილი მასალის სანდოობითა და სიუხვით.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული, ემიგრაცია, გრიგოლ რობაქიძე, ენვერ ნიჟარაძე, ქართული სული.

Nino Gogiashvili  
Ilia State University  
Georgia, Tbilisi

### The Main Character's Inner Emigration in Kote Jandieri's Short Story *Invitation to the Cinema*

Contemporary Georgian writer **Kote Jandieri** explores the most complex, eternal and pressing themes in his short stories. In his texts, what appear at first glance to be superficial, everyday events actually convey the **deep traumas of the characters**.

In this report, I will analyze Kote Jandieri's short story *Invitation to the Cinema* in which, with **naturalistic precision** are portrayed the passions and pains of the main character – a young man gifted with the ability to write. The environment and its accompanying sense of alienation are so oppressive for the protagonist that he chooses **inner emigration, detachment, and deviance**; he is a writer but does not write, he is in love but does not confess it, he is traumatized but does not protest.

From a linguistic standpoint, the author's style is shaped by the markers of **traditional Georgian literature**. Jandieri's use of **self-irony**, his declaration of the idea of freedom and the inert existence within a given reality are reminiscent of the themes and stylistic approaches found in the writing style of the **mid-20<sup>th</sup> century European and American writers**.

A **striking literary parallel** can be observed between this short story and **Françoise Sagan's novel *Sunlight on Cold Water***: in both texts, **the women who fall in love become sacrificial lambs**, and following their deaths, the protagonists undergo **purification and catharsis**. In both cases, the central figure is a disillusioned, snobbish, emotionally unstable hero who has retreated into **inner emigration** and cannot bear the weight of love, hiding instead behind a façade of carefree indifference and apathy.

The author contrasts the quote from Emperor Tiberius, placed at the beginning of the story as a kind of preface – “**I die every day**” – with his own, **eleventh commandment: “Do not be afraid!”**, and seeks to convince us that **God should not be traded for the “worm of doubt.”**

In working on this paper, I used **hermeneutic, comparative, and analytical research methods**.

**Keywords:** Georgian, prose, Jandieri, emigration, love.

ნინო გოგიაშვილი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

### გმირის შინაგანი ემიგრაცია კოტე ჯანდიერის მოთხრობაში „მიპატიჟება კინოში“

თანამედროვე ქართველი მწერალი – კოტე ჯანდიერი – ყველაზე რთულ, მარადიულ და საჭირობოროტო თემებს განიხილავს თავის მოთხრობებში. მის ტექსტებში აღწერილ, ერთი შეხედვით, ზედაპირულ ცხოვრებისეულ პერიპეტებში, პერსონაჟების ღრმა ტრავმები ტრანსლირდება.

მოცემულ მოხსენებაში გავაანალიზებ კოტე ჯანდიერის მოთხრობას „მიპატიჟება კინოში“, რომელშიც ნატურალისტური სიზუსტითაა აღწერილი მთავარი მოქმედი პირის – წერის უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდის – ვნებები და ტკივილები. გარემო, და მასთან დაკავშირებული მიუღებლობა, იმდენად მძიმეა მთავარი პერსონაჟისთვის, რომ იგი შინაგან ემიგრაციას, გამიჯვნას

და დევანტობას ამჯობინებს; იგი მწერალია, მაგრამ არ წერს, შეყვარებულია, მაგრამ არ ამხელს, ტრავმირებულია, მაგრამ არ აპროტესტებს.

ავტორის სტილი, ენობრივი თვალსაზრისით, ტრადიციული ქართული ლიტერატურის ნიმუშებით ფორმირდება. კოტე ჯანდიერისეული თვითთრონია, თავისუფლების იდეის დეკლარირება და არსებულ ყოფაში ინერციული არსებობა მე-20 საუკუნის შუა წლების ევროპელი და ამერიკელი მწერლების თემატიკასა და ხელწერას გვაგონებს.

მკვეთრი ლიტერატურული პარალელი ფიქსირდება მოცემულ მოთხრობასა და ფრანსუაზ საგანის რომანს „მზის ნამცვრევი ცივ წყალში“ შორის: ორივე ტექსტში, შეყვარებული ქალები ხდებიან ტარიგები, და, მათი სიკვდილის შემდეგ, იწყება მთავარი გმირის განწმენდა და კათარზისი. ორივე შემთხვევაში, მთავარი პერსონაჟი ყოფიერებისადმი განხილული, სნობი და შინაგან ემიგრაციაში გადასახლებული ლაბილური ფსიქიკის გმირია, რომელიც ვერ ზიდავს სიყვარულის ტვირთს, და მოჩვენებით უდარდებლობასა და ინდიფერენტობას აფარებს თავს.

მოთხრობის წინასიტყვაობად წამმდგარებულ ტიბერიუს კეისრის ფრაზას – „ყოველდღე ვკვდები“, საკუთარ – მეთერთმეტე მცნებას უპირისპირებს ავტორი: „არ შეგეშინდეს!“ და გვარწმუნებს, რომ ღმერთი „ექვსის ჭიაზე“ არ უნდა გავცვალოთ.

მოხსენებაზე მუშაობისას, გამოვიყენე კვლევის ჰერმენევტიკული, კომპარატიული და ანალიტიკური მეთოდები.

*საკვანძო სიტყვები:* ქართული, პროზა, ჯანდიერი, ემიგრაცია, სიყვარული.

**Nana Gonjilashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **From the Archives of Viktor Nozadze – The Social Norms in The Knight in the Panther's Skin (Unpublished manuscript)**

The unpublished manuscript of V. Nozadze, titled “The Social Norms in The Knight in the Panther's Skin” is in three envelopes. The first envelope is labeled “Life”, “Death”, and moral feelings; the second – “Face” and “Faceless”. The third envelope contains a list of words.

One should note that this manuscript is unfinished, without an introduction or a conclusion.

The review of the materials clearly indicates that V. Nozadze has done an immense work. The first envelope addresses the lexeme “life” and its derived lexical units. The manuscript explores its etymology in detail, provides definitions from various dictionaries, presents their semantics, meanings, and corresponding forms in foreign languages.

V. Nozadze discusses various meanings of “life” as found in “The Knight in the Panther's Skin”. The scholar also discusses related issues. Despite the fact that the first envelope is labeled “death” along with “life”, the latter is not discussed in the manuscript.

The second section of the manuscript is devoted to the analysis of the lexical units “face” and “faceless”, along with exploration of their meanings. V. Nozadze provides abundant examples from “The Knight in the Panther's Skin”. The section ends with interesting observations.

In the third envelope, V. Nozadze tries to explain various lexical units. It should be said that the third part, unlike the first and second parts, is not processed in depth. Nevertheless, V. Nozadze's

manuscript is very noteworthy and valuable for researchers of “The Knight in the Panther’s Skin”, also for readers interested in Georgian culture and literature in particular.

**Keywords:** Viktor Nozadze, „The Knight in the Panther’s Skin“, autograph, unpublished.

### **ნანა გონჯილაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **ვიკტორ ნოზაძის არქივიდან – „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებრივი ზნენი“ (გამოუქვეყნებელი ნაშრომი)**

ვიკტორ ნოზაძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ვეფხისტყაოსანის საზოგადოებრივი ზნენი“ (ავტოგრაფი) სამ კონვერტშია მოთავსებული. პირველ კონვერტის სახელწოდებაა „სიცოცხლე“, „სიკვდილი“, ზნეობრივი გრძნობანი; მეორის – სახე, უსახო, ხოლო მესამე კონვერტზე გამოტანილია სიტყვების ჩამონათვალი. არსად არაა მითითებული, თუ რომელ წლებში მუშაობდა ვ. ნოზაძე ამ ნაშრომზე.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიკტორ ნოზაძის ეს შრომა არ არის დასრულებული, მას არც შესავალი აქვს და არც დასკვნები. მასალების განხილვიდან ცხადად ჩანს, რომ ვ. ნოზაძეს ძალზე დიდი სამუშაო ჩაუტარებია. პირველ კონვერტში წარმოდგენილია ლექსემა „სიცოცხლე“ და მისგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები. დაწვრილებითაა განხილული მისი ეტიმოლოგია, განმარტებები სხვადასხვა ლექსიკონის მიხედვით, მათი სემანტიკა, მნიშვნელობები და უცხო ენებზე.

ვ. ნოზაძეს განმარტებული აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“ „სიცოცხლის“ მნიშვნელობები. საკითხთან დაკავშირებით განხილულია სხვა პრობლემატიკაც. მიუხედავად იმისა, რომ პირველ კონვერტს „სიცოცხლესთან“ ერთად „სიკვდილიც“ აწერია, ეს უკანასკნელი არაა განხილული.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა ლექსიკურ ერთეულთა „სახისა“ და „უსახოს“ განმარტებას, მათს მნიშვნელობათა ჩვენებას. ვ. ნოზაძეს მოაქვს საკმაოდ უხვი მასალა „ვეფხისტყაოსნიდან“. გამოტანილია საინტერესო დასკვნები.

მესამე კონვერტში ვ. ნოზაძე ცდილობს განმარტოს სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები. უნდა ითქვას, რომ მესამე ნაწილი, განსხვავებით პირველი და მეორე ნაწილისაგან, სიღრმისეულად არაა დამუშავებული. მიუხედავად ამისა, ვ. ნოზაძის ნაშრომი მეტად საყურადღებო და ძვირფასია „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევართათვის, ზოგადად, ქართული კულტურითა და, კერძოდ, ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ვიკტორ ნოზაძე, „ვეფხისტყაოსანი“, ავტოგრაფი, გამოუქვეყნებელი.

**Maia Jaliashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

## **Literary Metamorphosis: The Cult of the Reader and Authorial Identity**

**(Givi Margvelashvili's Miniatures)**

In his collection of miniatures, „I Am a Book Hero“, Givi Margvelashvili profoundly contemplates existence and authorship. Drawing from Borges, he connects human identity to the artistic text, declaring, "I am a book hero... Every time the book is read, I am reborn." This radical claim makes the text a realm of immortality, where the author, through the reader, transcends mortality and relives life's mysteries. The article examines how Margvelashvili blurs reality and character by presenting himself as a literary creation. He redefines author and reader roles, fostering a „cult of the reader“ where individuals not only read texts but also "read themselves" into life's grand narrative. This creates a „secondary life“ in the imagination, echoing Wilde, Hesse, and Proust's emphasis on the imagined over reality. The author seemingly disappears into his texts, enhancing character reality.

Margvelashvili's postmodernist view challenges the text's untouchable authority. He devises new reading strategies for readers to intervene in established narratives, especially biblical ones. The paper shows how readers become active participants, altering character fates and disrupting canonical plots. This is radical re-creation, transforming the text into a dynamic space where the reader becomes a co-author, even a „god“, breathing life into characters. Givi Margvelashvili's work proposes a new chronotope and a universal model where real and fictional, literary and documentary, merge, echoing the postmodernist idea: „The world is a text“. This unique approach empowers the reader, offering an escape from mundane existence and a deep intellectual journey into literature's boundless realm of literature.

**Keywords:** Keywords: Margvelashvili, Reader, Text, Postmodernism, Immortality.

**მაია ჯალიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

## **ლიტერატურული მეტამორფოზა: მკითხველის კულტი და ავტორის იდენტობა**

**(გივი მარგველაშვილის მინიატურები)**

გივი მარგველაშვილი მინიატურათა კრებულში „მე წიგნის გმირი ვარ“ ფილოსოფიურად გაიაზრებს მხატვრული ტექსტისა და ავტორობის ბუნებას. ხორხე ლუის ბორხესის შთაგონებით, მარგველაშვილი მწერლის იდენტობის ცნებას ტექსტთან აკავშირებს, როდესაც წერს: „მე წიგნის გმირი ვარ. იქ ზუსტად მიწერია ჩემი ბედისწერა. წიგნის ყოველი წაკითხვისას მე ხელახლა აღვდგები“. ეს რადიკალური მტკიცება ტექსტს უკვდავების არეალად აქცევს, სადაც ავტორი მკითხველის ჩართულობით სძლევს მოკვდავობას და ხელახლა განიცდის ცხოვრების საიდუმლოებებს. სტატიაში გაანალიზებულია, თუ როგორ აზუნდოვანებს მარგველაშვილი საკუთარი თავის ლიტერატურულ ქმნილებად წარმოჩენით პერსონაჟსა და რეალობას შორის ზღვარს. იგი როგორც ავტორის, ისე მკითხველის როლს განმარტავს. ეს მიდგომა ქმნის „მკითხველის კულტს“, როდესაც ინდივიდები არა მხოლოდ კითხულობენ ტექსტებს, არამედ „კითხულობენ საკუთარ თავსაც“ ცხოვ-

რების დიდ ნარატივში. ეს ჩართულობა ხელს უწყობს „მეორეული ცხოვრების“ შექმნას წარმოსახვით სივრცეში, რაც ეხმიანება ოსკარ უაილდის, ჰერმან ჰესესა და მარსელ პრუსტის იდეებს, რომლებიც წარმოსახულ სამყაროს რეალობაზე აღმატებულად მიიჩნევდნენ. ავტორი სიტყვების მაგივრად თითქმის უჩინარდება შექმნილ ტექსტებში, რათა პერსონაჟთა რეალურობაში უფრო მეტად დაგვარწმუნოს.

მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული ხედვა ეჭვქვეშ აყენებს ტექსტის, როგორც ხელშეუხებელი ავტორიტეტის, ცნებას. ის იგონებს კითხვის ახალ სტრატეგიებს, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევს, ჩაერიოს დამკვიდრებულ ნარატივებში, მათ შორის, ბიბლიურ ამბებში. წერილში გამოკვეთილია, თუ როგორ ხდება მკითხველი აქტიური მონაწილე, რომელიც ცვლის პერსონაჟთა ბედს და არღვევს კანონიკურ სიუჟეტებს. ეს არ არის უბრალო ინტერპრეტაცია, არამედ რადიკალური ხელახალი შექმნა, რაც ტექსტს დინამიკურ სივრცედ აქცევს, სადაც მკითხველი ხდება თანაავტორი და „ღმერთიც“ კი, რომელიც პერსონაჟებს სულს უბერავს. მარგველაშვილის შემოქმედება გვთავაზობს ახალ ქრონოტოპს და სამყაროს ახლებურ მოდელს, სადაც რეალურსა და ფიქტიურს, ლიტერატურულსა და დოკუმენტურს შორის ზღვარი იშლება, რაც პოსტმოდერნისტულ დებულებას „სამყარო ტექსტია“ ეხმიანება. კითხვა/წერასთან ეს უნიკალური დამოკიდებულება აძლიერებს მკითხველს, სთავაზობს რა მას გაქცევას ყოველდღიური არსებობიდან და ლიტერატურის უსაზღვრო სივრცეში ღრმა ინტელექტუალურ მოგზაურობას.

*საკვანძო სიტყვები:* მარგველაშვილი, მკითხველი, ტექსტი, პოსტმოდერნიზმი, უკვდავება.

**Mzia Jamagidze**

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Sulkhan-Saba Orbeliani University*

*Georgia, Tbilisi*

### **Postcolonial Utopia and Hope in Grigol Robakidze's Novel, *The Guardians of the Grail***

In the formation of national narratives and the conceptualization of the homeland, migrant literature holds a particularly significant function. Writing from the so-called “third space” (Bhabha, 1994), migrant authors can re-perceive and reinterpret national memory and narrative from a position of displacement.

In this regard, early twentieth-century Georgian migrant literature presents notable examples, with the works of Grigol Robakidze standing out in particular. This presentation examines his novel, *The Guardians of the Grail* (1937), through the lens of postcolonial theory. Within Georgian literary studies, the novel has been interpreted as a formative text in the national collective memory through the remythologization of the present (Tsagareli, 2019; Jaliashvili, 2018).

We suppose that this novel can also be understood as a postcolonial utopia (Ashcroft, 2017). Through this interpretation, the central symbol of the novel – the Grail – emerges as an image filled with postcolonial utopianism. Against the backdrop of Soviet occupation and the brutal repressions of the 1930s, Robakidze assigns the Grail the function of preserving hope and belief in the future in the Society and nation.

**Keywords:** Postcolonial utopia, Hope, Emigrant literature, National future.



**მზია ჯამაგიძე**

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი*

### **პოსტკოლონიური უტოპია და იმედი გრიგოლ რობაქიძის რომანში „მცველნი გრაალისა“**

ნაციონალური ნარატივის ფორმირებისა და სამშობლოს შესახებ წარმოდგენების განსაზღვრაში ემიგრანტულ ლიტერატურას განსაკუთრებული ფუნქცია და მნიშვნელობა ენიჭება. ემიგრანტული მწერლობას შესაძლებლობა აქვს ე.წ. „მესამე სივრცეიდან“ (ბჰაბჰა 1994) მოახდინოს ნაციონალური მეხსიერებისა და ნარატივის ხელახლა აღქმა და რეინტერპრეტაცია. ამ თვალსაზრისით, გასული საუკუნის დასაწყისის ქართული ემიგრანტული მწერლობიდან განსაკუთრებით საინტერესოა გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება. მოხსენებაში, პოსტკოლონიალური თეორიის პერსპექტივიდან, განხილული იქნება მისი რომანი *მცველნი გრაალისა* (1937). ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ეს რომანი ინტერპრეტირებულია როგორც ნაციონალური კოლექტიური მეხსიერების მაფორმირებელი ტექსტი, რომელიც აწმყოს რემითოლოგიზაციის გზით აგებს ნაციონალურ ნარატივს (ცაგარელი 2019; ჯალიაშვილი 2018). ვფიქრობთ რომანის შინაარსი ამავდროულად შესაძლებლობას იძლევა წაიკითხოთ ის როგორც პოსტკოლონიურ უტოპია (ემჰროფტი 2017). ამ ინტერპრეტაციით, რომანის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო, გრაალის თასი წარმოჩნდება პოსტკოლონიური უტოპიანიზმით აღვსილ სიმბოლოდ, რომელსაც საბჭოთა ოკუპაციისა და 30-იანი წლების სასტიკი რეპრესიების ფონზე, ავტორი იმედისა და ნაციონალური მომავლის რწმენის შენარჩუნების ფუნქციას აკისრებს.

**საკვანძო სიტყვები:** პოსტკოლონიური უტოპია, იმედი, ემიგრანტული მწერლობა, ნაციონალური მომავალი.

**Nino Jikia**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **Ghassan Kanafani. About the Writer's Style Formation**

The life of a well-known Palestinian writer Ghassan Kanafani is very similar to many Palestinian intellectuals' life. He became a refugee in his childhood and bore a heavy burden of it for the rest of his life. Taking into account his life, Ghassan Kanafani's works are focused on one topic – Palestinian conflict and Palestinian people's tragedy. Edward Said, an acclaimed American writer and Professor of Palestinian origin, writes that national self-consciousness is a claim to belong to a nation and some culture, have a right to feel somewhere “as between friends”. Strong sense of ethnic and national identity is evident in Ghassan Kanafani's stories and poems. An acclaimed cornerstone of a conflict in Middle East is connected with the territory. His monothematic works create his characters – common Palestinians with tragic stories trying to find themselves and looking for their own place. Critics talk about Folkner's influence on Kanafani's narration in his novel *All That's Left to You*. In my presentation using Ghassan Kanafani's other works I will try to show that Folkner's influence and the usage of elements of stream of consciousness in Ghassan Kanafani's works is not the only act, isn't restricted by only one work and is his manner of narration, that

make it possible to express everything he intended to show – emotional imbalance, feeling of constant despair, loneliness and tragedy, constant return to the past, constant moves in time and space and monologues – everything that is very typical for Ghassan Kanafani.

**Keywords:** Identity problem, Folkner's influence on Ghassan Kanafani's narration, Edward Said, Palestinian conflict, Palestinian people's tragedy.

## ნინო ჯიქია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

### დასან ქანაფანის მწერლური სტილის ფორმირებისთვის

აღიარებული პალესტინელი მწერლის დასან ფაიზ ქანაფანის ცხოვრების გზა ბევრ შემთხვევაში თანხვედრა მრავალი პალესტინელი ინტელექტუალის ცხოვრებას. მან ბავშვობიდან გაიზიარა ლტოლვილთა ბედი და მთელი დარჩენილი ცხოვრება ატარა ლტოლვილობის მძიმე ტვირთით. მისი ცხოვრებიდან გამომდინარე, დასან ქანაფანის შემოქმედება მთლიანად ფოკუსირებულია ერთ თემაზე – ესაა პალესტინის კონფლიქტი და პალესტინელი ხალხის ტრაგედია. როგორც პალესტინური წარმოშობის, წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტებში აღიარებული მკვლევარი და მოაზროვნე ედვარდ საიდი წერს: ნაციონალური თვითშეგნება ესაა განაცხადი, ეკუთვნოდე რომელიმე ხალხს და რომელიმე კულტურას, გქონდეს უფლება, სადაც „თავისიანად“ იგრძნო თავი (გარდავაძე 2013: 305). ქანაფანის მოთხრობებში და რომანებში მკითხველისთვის თვალშისაცემია სწორედ ეთნიკური და ეროვნული იდენტობის გამძაფრებული გრძნობა. ლიტერატურის კრიტიკოსები საუბრობენ ქანაფანის თხრობის ტექნიკაზე ფოლკნერისეულ გავლენებზე მის რომანში „ის, რაც თქვენ დაგრჩათ“.

დასან ქანაფანისთვის პალესტინური იდენტობის საფუძველი პალესტინის მიწაა. მისი მონო-თემატური მხატვრული შემოქმედება განაპირობებს ქანაფანის მოთხრობებისა და რომანების სიუჟეტებსა და გმირების ხასიათებსაც – უბრალო პალესტინელების, მათი ოჯახების ტრაგიკულ ისტორიებს, მათ მიერ საკუთარი თავის, საკუთარი ადგილის ძიებას უცხო გარემოში.

დასან ქანაფანის სხვა ნაწარმოებებიც ცხადად აჩვენებს, რომ ფოლკნერის გავლენა და ცნობიერების ნაკადის ელემენტების შემოტანა ქანაფანის შემოქმედებაში არაა ერთჯერადი აქტი, არ შემოიფარგლება მისი ერთი ნაწარმოებით და არ არის განპირობებული მხოლოდ ფოლკნერით, მისი მწერლური ფასეულობებით ქანაფანის აღფრთოვანებით, არამედ ესაა ის გადმოცემის მანერა, რომელიც დასან ქანაფანის მწერლურ სათქმელსაც საოცრად კარგად მოერგო – დარღვეული სულიერი მყუდროება, მიუსაფრობის, სასოწარკვეთის გამძაფრებული გრძნობა, მარტოსულობის, ტრაგიკულობის მუდმივი განცდა, მუდმივად დაბრუნება წარსულში, მუდმივი გადასვლები მოქმედების დროსა და სივრცეში და მონოლოგური ჩანარები – ეს ყველაფერი დასან ქანაფანის შემოქმედებისთვის ძალიან სახასიათო შტრიხებია.

**საკვანძო სიტყვები:** იდენტობის პრობლემა, ფოლკნერის გავლენა დასან ქანაფანის შემოქმედებაში, პალესტინის კონფლიქტი, ედვარდ საიდი, პალესტინელი ხალხის ტრაგედია.

**Grigol Jokhadze**  
*Ilia State University*  
*Georgia, Tbilisi*

### **Osip Mandelstam appeals to “Caesars' Europe”**

(To the issue of Grigol Robakidze's personal and creative attitude to Mandelstam and his poetry)

In general, the paper discusses that well-known neurosis in the history of literature, when great authors sometimes do not understand each other, criticize each other's work and, accordingly, do not stand each other personally. In particular, such an attitude is observed in the case of Robakidze. Moreover: we deal with Robakidze's unilateral antipathy. Mandelstam never estimated Robakidze and perhaps did not even remember him. In the case of Robakidze, we observe another exception too: sometimes great authors compete with each other at the so-called chronotope distance, not knowing each other personally, but after meeting even become friends. What is more, they themselves recognize the role and significance of each other and even explain to others (like T.S. Eliot and James Joyce).

As the research (Titsian Tabidze's and Grigol Robakidze's not much-talked-of texts) has shown, Grigol Robakidze, to put it mildly, did not like Mandelstam's poetry since 1914, and in 1920-1921, during the visits of the Russian poet to Georgia, when he personally made the acquaintance of Mandelstam and clearly learned his unbearable character, Robakidze stopped communicating with him altogether.

***Kew words:*** Mandelstam, Robakidze, creative and personal antipathy, Grigol Robakidze's review, Titsian Tabidze's critical essay

#### **გრიგოლ ჯოხაძე**

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*საქართველო, თბილისი*

### **ოსიპ მანდელშტამი მიმართავს „ცეზართა ევროპას“**

(გრიგოლ რობაქიძის პიროვნულ-შემოქმედებითი დამოკიდებულების საკითხისათვის  
ოსიპ მანდელშტამისადმი)

მოხსენება, ზოგადად, ეხება ლიტერატურის ისტორიის იმ ცნობილ ნევროზს, როცა დიდი შემოქმედები ზოგჯერ ერთმანეთს ვერ უგებენ, ერთმანეთის შემოქმედებას აკრიტიკებენ და, შესაბამისად, ვერც პიროვნულად იტანენ ერთიმეორეს. სწორედ ასეთ ვითარებას ვაწყდებით რობაქიძისა და მანდელშტამის ურთიერთობისას. თანაც ჩვენ წინაშე ცალმხრივი, რობაქიძის მიერ გამოვლენილი ანტიპათიაა: მანდელშტამს რობაქიძე არც შეუფასებია და მგონი არც დამახსოვრებია! რობაქიძის შემთხვევაში კიდევ ერთ გამონაკლისს ვჭკვრეტ: ხანდახან დიდი შემოქმედები ერთმანეთს, ასე ვთქვათ, ქრონოტოპოსური დისტანციიდან, ერთურობის გაუცნობლად, ექიშპებიან, მაგრამ გაცნობის შემდეგ ზოგჯერ მეგობრდებიან და მეტიც: ერთმანეთის როლსა და მნიშვნელობას თვითონაც აღიარებენ და სხვასაც უხსნიან (მაგ., ელიოტი და ჯოისი).

როგორც კვლევამ ცხადყო (გრიგოლ რობაქიძისა და ტიციან ტაბიძის გაუხმაურებელი ტექსტები), გრიგოლ რობაქიძეს მანდელშტამის პოეზია, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ 1914 წლიდან აღიზიანებდა, 1920-21 წლებში კი, თბილისში რუსი პოეტის ვიზიტებისას, როცა პირადად გაუცნია და მისი უხიაგი ხასიათიც შეუცნია, საერთოდ შეუწყვეტია მასთან კომუნიკაცია.

***საკვანძო სიტყვები:*** მანდელშტამი, რობაქიძე, ანტიპათია, გრიგოლ რობაქიძის რეცენზია, ტიციან ტაბიძის კრიტიკული წერილი

**Maka Jokhadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Satire Written in Internal Emigration**

**(Levan Bolkvadze's „The Story of a Boy Who Found Himself in a Fairy Tale“)**

Despite being listed in Wikipedia as a writer, philologist, and translator, Levan Bolkvadze remains largely unknown to contemporary readers. However, certain circles recognized him as an erudite scholar of encyclopedic knowledge. He worked at the Georgian Encyclopedia until his death. This multifaceted individual possessed remarkable humor and distinctive vocal timbre. He was imprisoned at age 21 on political charges, spending eight years in the Gulag where he met Solzhenitsyn, followed by three years in exile before his 1956 rehabilitation. Bolkvadze authored a single work, „The Story of a Boy Who Found Himself in a Fairy Tale“, a political pamphlet against the Soviet totalitarian regime. This book simultaneously functions as performance, written with extraordinary light humor. The circumstances surrounding its composition and publication are particularly fascinating, demonstrating that time remains the most objective evaluator of literary processes.

Through temporal perspective, characters emerge in sharp relief. The author's portraits remain permanently memorable – Senior Chigidi, who cunningly betrayed his loyal friend to save his career, or the mummified Sen-Sen-Wei with his encyclopedic yet useless knowledge. Time serves as the primary symbolic-allegorical character, depicted as captured and bound. The work presents with rare eloquence the "celebrations" of ignorance in King Chigidi's state, paradoxical figures born from fear, idyllic traps set by officials for citizens, and courses for studying goodness and „shame-honor restoration“. All characters and problems converge into one extraordinary idea, executed with brilliant artistic mastery. This book represents not merely a metaphorical portrayal of the Soviet regime, but of today's distorted world as well.

**Keywords:** Internal emigration, Levan Bolkvadze, literary fairy tale

**მაკა ჯოხაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **შიდაემიგრაციაში დაწერილი სატირა**

**(ლევან ბოლქვაძის „ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი“)**

მიუხედავად იმისა, რომ ვიკიპედიაში ლევან ბოლქვაძე მოხსენიებულია, როგორც მწერალი, ფილოლოგი, მთარგმნელი და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელი და გვარი დღევანდელი ფართო მკითხველისთვის უცნობია. სამაგიეროდ, საზოგადოების გარკვეული წრე მას იცნობდა, როგორც ენციკლოპედიური განათლების ერუდიტს. სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ენციკლოპედიაში მუშაობდა, სადაც დღეს მისი სახელობის კაბინეტი და ბიბლიოთეკა გახსნილი. მრავალმხრივი ადამიანი იყო, იუმორით სავსე, იშვიათი ხმის ტემბრით. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 21 წლისა პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს, რვა წელი გულაგში გაატარა, სადაც სოლჟენიცინი გაიცნო. შემდეგი სამი წელიც გადასახლებაში იყო. 1956 წ. მოხდა მისი რეაბილიტაცია. ლევან ბოლქვაძეს ერთადერთი წიგნი აქვს დაწერილი – „ზღაპარში მოხვედრილი

ბიჭის ამბავი“, რომელიც საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმის მწვავე პოლიტიკურ პამფლეტს წარმოადგენს. ესაა წიგნი – სპექტაკლი, წიგნი – მუსიკა, წიგნი – ნახატი, წიგნი – ზეიმი, საოცარი ლაღი იუმორით დაწერილი. როგორც ადამიანს, ისე წიგნსაც, თავისი ბედი აქვს. საინტერესოა ის მომენტები, თუ სად, როდის, რა პირობებში დაიწერა და გამოიცა ეს წიგნი. ამ წიგნმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ლიტერატურული პროცესებისა და მოვლენების ყველაზე ობიექტურ შემფასებლად დრო რჩება.

დროის მეშვეობით რელიეფურად იკვეთებიან სახეები, გმირები, პერსონაჟები. სამუდამოდ გვამახსოვრდებიან მწერლის მიერ დახატული პორტრეტები – იქნება ეს სენიორ ჩიგედი, საკუთარი კარიერის გადასარჩენად ერთ წამში რომ მზაკვრულად გაიმეტა უერთგულესი მეგობარი, ანდა მუმიად ქცეული სენ-სენ-ვეის ენციკლოპედიური, გამოუსადეგარი ცოდნა. წიგნში დრო მთავარი სიმბოლურ-ალეგორიული პერსონაჟია, რომელიც დაატყვევებს, ხელ-ფეხი შეუკრეს. წიგნში იშვიათი სილაღითაა წარმოდგენილი მეფე ჩიგედის სახელმწიფოში უგუნურების „დღესასწაულები“, შიშით გაჩენილი პარადოქსული სახეები. ჩინოვნიკთა მიერ მოქალაქეებისთვის დაყრილი იდილიური საკენკები, სიკეთის შემსწავლელი და „სირცხვილ-ნამუსის“ სარესტავრაციოდ გახსნილი კურსები და სხვა. ყველა სახე და პრობლემა ერთ არაჩვეულებრივ იდეაში იყრის თავს და მხატვრულად ბრწყინვალედ ხორციელდება. ეს წიგნი არის არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის რეჟიმის, არამედ დღევანდელი შეშლილი სამყაროს მეტაფორული გადმოცემა.

*საკვანძო სიტყვები:* შიდაემიგრაცია, ლევან ბოლქვაძე, ლიტერატურული ზღაპარი.

**Manana Kajaia**

*Georgian Technical University*

*Georgia, Tbilisi*

### **Simonika Dadiani – Literary Aspects of the Painting of the “Georgian Modigliani”**

**(Cultural Environment of Georgian Emigration in the 1920s-30s)**

The paper presents the literary aspects of the art of the émigré artist Simon Dadiani, who is still unstudied by Georgian society. The paper is based on the painter's notes and letters, which are still partially hidden from the public.

Simonika Dadiani was born on July 23, 1916, in the village of Tsirkoli, Imereti. Due to his aristocratic background, his family was persecuted under the Soviet regime, which forced them to seek refuge in France. In the late 1930s, Dadiani was in Europe, specifically in Paris, where he likely began studying at the École des Beaux-Arts. From that time on, he became actively fascinated by modernism.

With sad faces and melancholic expressions, his works create a direct association with the style of Amedeo Modigliani. Since the 1950s, in exhibition catalogs, Dadiani has been called the “Georgian Modigliani.”

Some of his works were (and are) kept in private collections in San Francisco and Paris. The family archive – including letters, sketches, and photo albums – is still unprocessed and awaits research. Our work is devoted to several of them.

Simonika Dadiani's legacy has only become available to the Georgian public since the 2010s, namely after about 30 of the author's canvases were donated to the Palace of Arts in 2018.

Simonika Dadiani's work is a clear example of how national identity and cultural identity can merge in such a way that it does not lose its roots and at the same time acquires a new form.

**Keywords:** Dadiani, Emigration, Art, Modernism, Modigliani,

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

სიმონიკა დადიანი –

**„ქართველი მოდილიანის“ ფერწერის ლიტერატურული ასპექტები  
(1920-30-იანი წლების ქართული ემიგრაციის კულტურული გარემო)**

ნაშრომში მოცემულია ემიგრანტი ხელოვანის, ქართული საზოგადოებისთვის დღემდე ჯერ კიდევ შეუსწავლელი, სიმონ დადიანის ხელოვნების ლიტერატურული ასპექტები. ნაშრომი დაფუძნებულია ფერწერის პირად ჩანაწერებსა და წერილებზე, რომელიც დღემდე ნაწილობრივ დაფარულია საზოგადოებისთვის.

სიმონიკა პეტრეს ძე დადიანი დაიბადა 1916 წლის 23 ივლისს იმერეთში, სოფელ წირქოლში. არისტოკრატიული წარმომავლობის გამო, საბჭოთა რეჟიმის პირობებში მისი ოჯახი იძევნებოდა, რამაც, აიძულა, საფრანგეთისთვის შეეფარებინათ თავი. 1930-იანი წლების ბოლოს დადიანი ევროპაში – პარიზშია, სადაც სავარაუდოდ, *École des Beaux-Arts*-ში იწყებს სწავლას და ამ დროიდან მოყოლებული, აქტიურად არის გატაცებული მოდერნიზმით.

სევდიანი სახეებითა და მელანქოლიური გამომეტყველებით, მის ნამუშევრები პირდაპირ ასოციაციას ქმნის ამაღეო მოდილიანის სტილთან და უკვე 1950-იანი წლებიდან მოყოლებული, გამოფენების კატალოგებში, დადიანს “Georgian Modigliani”-ს უწოდებენ.

მისი ნამუშევრები ნაწილობრივ ინახებოდა (და ინახება) სან-ფრანცისკოსა და პარიზის კერძო კოლექციებში. ოჯახური არქივი – მათ შორის წერილები, ჩანახატები და ფოტოალბომები – დღემდე დაუმუშავებელია და კვლევას ელის. ჩვენი ნაშრომიც სწორედ რამდენიმე მათგანს ეთმობა.

სიმონიკა დადიანის მემკვიდრეობა მხოლოდ 2010-იანი წლებიდან გახდა ხელმისაწვდომი ქართული საზოგადოებისთვის, კერძოდ, მას შემდეგ, რაც 2018 წელს, ხელოვნების სასახლეს ავტორის 30-მდე ტილო გადმოეცა.

სიმონ დადიანის შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება, ეროვნული თვითმყოფადობა და კულტურული იდენტობა ისე შეერწყას ერთმანეთს, რომ არ დაკარგოს ფესვები და ამავედროულად, შეიძინოს ახალი ფორმა.

**საკვანძო სიტყვები:** დადიანი, ემიგრაცია, ხელოვნება, მოდერნიზმი, მოდილიანი.

**Lia Karichashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

**Several Variant Lines in Mikhako Tsereteli’s Edition of “The Knight in the Panther’s Skin”**

The Rustvelological reflections of Mikhako Tsereteli – a scholar of diverse interests and a prominent figure among Georgian émigrés – continue to command the attention of researchers today. His individual works, the text of “The Knight in the Panther’s Skin” as established by him (Paris, 1962; second edition prepared by Nino Salia in 1977), as well as his prose translation of the poem into German (1975), were all landmarks in their time.

In this paper, I discuss several variant lines and substantiate the validity of those readings that Mikhako Tsereteli favored in his edition.

One such line is: “I sit nursing the love You planted” (201, 4). The variant reading is: “I sit nursing the love I planted” (1274) (translated by Marjory Scott Wardrop, 1912). which appears in the majority of editions. Lexical, poetic, and contextual analysis of the line reveals that the correct reading is „...which was planted by you”. For it metaphorically reflects the lovers as a pair: the “nurturer” (Nestan-Darejan) and the “planter” (Tariel) of love, which is not evident in the variant reading. This, in our view, correct version of the line is found in only two editions prior to Mikhako Tsereteli’s (David Karichashvili, 1920; Sargis Kakabadze, 1927), and is supported by ten manuscripts of the poem.

Another variant line of “The Knight in the Panther’s Skin” is: “Waking I thought of her, when I fell asleep (I thought of her) in my drowsiness” (1193) (by Marjory Scott Wardrop, 1912). (alternative readings: „... რა მიმეძინის ლულითა“; which means the following „...How I fell asleep, my eyes softly lidded“. „... რა მიმელულის ლულითა“, which approximately means the following „...How lidded, my eyes softly lidded“.)

Semantic and contextual analysis of the alternating lexical units in the line demonstrates that the correct reading is: “I thought of her while awake, and when I fell asleep, in my drowsiness,” which is the version chosen by Mikhako Tsereteli. “Fell asleep” (მიმეძინის) is attested in the majority of manuscripts and appears in all editions from 1712 up to and including 1966. Since then, it has only been adopted in the editions of P. Ingorokva, M. Tsereteli, and N. Natadze. “Drowsiness” (რულითა), attested in four manuscripts, is preserved in only three editions aside from M. Tsereteli’s: G. Kartvelishvili (1888), D. Karichashvili (1903, 1920).

The resolution of these and other variant lines once again attests to the editor’s profound knowledge of Rustaveli’s artistic language, his textual sensibility, and the most delicate capacity for discerning nuances.

**Keywords:** Mikhako Tsereteli, „The Knight in the Panther’s Skin“, line, variant.

**ლია კარიჭაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **რამდენიმე ვარიანტული ტაეპი „ვეფხისტყაოსნის“ მიხაკო წერეთლისეულ გამოცემაში**

მრავალმხრივი მეცნიერისა და ქართველ ემიგრანტთა თვალსაჩინო წარმომადგენლის მიხაკო წერეთლის რუსთველოლოგიური ნააზრევი დღესაც იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. მისი ცალკეული შრომები, „ვეფხისტყაოსნის“ მის მიერ დადგენილი ტექსტი (პარიზი, 1962; მეორე გამოცემა ნინო სალიას მიერ 1977), აგრეთვე პოემის პროზაული თარგმანი გერმანულ ენაზე (1975) თავის დროზე საეტაპო მნიშვნელობის იყო. ნაშრომში განვიხილავთ რამდენიმე ვარიანტულ ტაეპს და დავასაბუთებთ იმ წაკითხვის საფუძვლიანობას, რომელთაც მიხაკო წერეთელმა მიანიჭა უპირატესობა თავის გამოცემაში.

ერთ-ერთი ასეთი ტაეპია „ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, შენგან დანერგულისად“ (201, 4). ვარიანტული წაკითხვაა: „ვზი მზრდელად სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“, რომელიც გამოცემათა უმრავლესობაში გვხვდება. ტაეპის ლექსიკური, პოეტიკური და კონტექსტური ანალიზი ცხადყოფს, რომ წაკითხვის სწორი ვარიანტია „...მის შენგან დანერგულისად“, რადგანაც

იგი მეტაფორულად ასახავს მიჯნურთა წყვილს: „მზრდელი“ (ნესტან-დარეჯანი) და „დამწერგავი“ (ტარიელი) სიყვარულისა, რაც ვარიანტულ წაკითხვაში არ ჩანს.

ტაეპის ეს, ჩვენი აზრით, სწორი ვერსია მიხაკო წერეთლის გამოცემამდე გვხვდება პოემის მხოლოდ 2 გამოცემაში (დავით კარიჭაშვილი, 1920; სარგის კაკაბაძე, 1927); მას საფუძველს აძლევს პოემის 10 ხელნაწერი.

ვარიანტულია აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი: „მას ვიგონებდი მღვიმარე, რა მიმეძინის რულითა“ (// „... რა მიმეძინის ლულითა“; „... რა მიმელულის ლულითა“).

ტაეპში მონაცვლე ლექსიკურ ერთეულთა სემანტიკური და კონტექსტური განხილვა ცხადყოფს, რომ წაკითხვის მართებული ვარიანტია: „მას ვიგონებდი მღვიმარე, რა მიმეძინის რულითა“, რომელსაც ირჩევს მიხაკო წერეთელი.

„მიმეძინის“ მომდინარეობს ხელნაწერთა უმრავლესობიდან, იკითხება ყველა გამოცემაში 1712 წლიდან 1966 წლის გამოცემების ჩათვლით. მას შემდეგ კი გაზიარებულია მხოლოდ პ. ინგოროვას, მ. წერეთლის და ნ. ნათაძის გამოცემებში. „რულითა“ (მომდინარეობს 4 ხელნაწერიდან), გარდა მ. წერეთლისა, დაცულია მხოლოდ 3 გამოცემაში (გ. ქართველიშვილი, 1888, დ. კარიჭაშვილი, 1903, 1920).

ამ და სხვა ვარიანტულ ტაეპთა გადაწყვეტა კიდევ ერთხელ ცხადყოფს რედაქტორის მიერ რუსთაველის მხატვრული ენის სიღრმისეულ ცოდნას, ტექსტოლოგიურ ალღოსა და ნიუანსების წვდომის უფაქიზეს უნარს.

*საკვანძო სიტყვები:* მიხაკო წერეთელი, ვეფხისტყაოსანი, ტაეპი, ვარიანტი.

**Ketevan Khitarishvili**

*K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts  
Georgia, Tbilisi*

### **Letters of Kalistrate and Nino Salia – A Source Reflecting the 800th Anniversary of Shota Rustaveli**

The Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts preserves letters written by Kalistrate and Nino Salia to the Georgian public figure and poet Irakli Abashidze (approximately 10 letters). These letters are found in the personal archives of both Kalistrate and Nino Salia, as well as in the archive of Irakli Abashidze.

As is known, it was through the initiative of Irakli Abashidze that an anniversary event commemorating the 800th anniversary of Shota Rustaveli was organized in 1966. This celebration played a significant role in popularizing Georgian culture internationally. Therefore, studying the archival materials that reflect this collaboration is particularly valuable.

The letters of Kalistrate Salia are especially noteworthy as an important source for understanding the involvement of the Georgian emigration in the anniversary planning. In his correspondence, Kalistrate Salia advises Irakli Abashidze on which foreign scholars should be invited to the event. He often acts as an intermediary to ensure that these scholars receive their visas on time and that no obstacles hinder their visit to Georgia. The letters contain detailed information about the scientists and Kartvelologists who were invited to the celebration. Among the invitees were: Gertrude Pech, Karl Schmidt, William Allen, Gerald Genta, René Lafon, Max Paul Fouché, Hans Vogt, Armand Lanoux, Robert Stevenson, and others.

The correspondence of Nino and Kalistrate Salia also conveys the impressions of the foreign scholars and Kartvelologists who attended the 800th anniversary of Shota Rustaveli. It highlights their positive



responses and reflections on Rustaveli, which they later shared through radio broadcasts and academic platforms abroad. Although Kalistrate and Nino Salia were invited to the anniversary, they did not attend – likely due to the Soviet Union’s restrictive attitude toward Regarding immigrants at the time.

The magazine “Bedi Kartlisa” also contributed to the celebration by publishing poems by Irakli Abashidze and materials related to the Rustaveli anniversary. Moreover, initiated by the Georgian emigrants, a parallel Rustaveli anniversary event was organized in Paris. Information about this celebration is also found in the letters of Kalistrate and Nino Salia.

**Keywords:** Shota Rustaveli’s anniversary, letters emigrants.

### ქეთევან ხითარიშვილი

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

საქართველო, თბილისი

## კალისტრატე და ნინოს სალიების წერილები – შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ამსახველი წყარო

კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია კალისტრატე და ნინო სალიების წერილები, რომელთა ადრესატია ქართველი საზოგადო მოღვაწე და პოეტი ირაკლი აბაშიძე (დაახლოებით 10-მდე წერილი). აღნიშნული მასალა გვხვდება კალისტრატე და ნინო სალიებისა და ირაკლი აბაშიძის პირად არქივებში. როგორც ცნობილია, ირაკლი აბაშიძის ინიციატივით 1966 წელს მოეწყო რუსთაველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე, რომელმაც მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი საქართველოს კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. შესაბამისად, ძალზე საინტერესოა მასთან ურთიერთობის ამსახველი საარქივო მასალის შესწავლა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. სალიას წერილები, როგორც მნიშვნელოვანი წყარო საიუბილეო ღონისძიებაში ემიგრაციის ჩართულობისა. წერილებიდან ჩანს, რომ კალისტრატე სალია ურჩევს ადრესატს, თუ რომელი უცხოელი მეცნიერი მიიწვიონ იუბილეზე; ხშირად შუამავალი რგოლის ფუნქციასაც კისრულობს, რათა მათ დროულად მიიღონ ვიზები და მათ საქართველოში ვიზიტს არაფერმა შეუშალოს ხელი. გვხვდება დაწვრილებით ინფორმაცია იმ მეცნიერთა და ქართველოლოგთა შესახებ, რომლებიც მიიწვიეს ღონისძიებაზე დასასწრებად. მიწვეულთა შორის არიან: გერტრუდა პეჩი, კარლ შმიდტი, იულიამ ალენი, ჯერალდ ჯენტა, რენე ლაფონი, მაქს პოლ ფუშე, ჰანს ფოგტი, არმან ლანუ, რობერტ სტივენსონი და სხვები. ნინო და კალისტრატე სალიების წერილებში გადმოცემულია შთაბეჭდილებები იმ უცხოელ მეცნიერთა და ქართველოლოგთა, რომლებიც შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს დაესწრნენ. ასევე ჩანს მათი გამოხმაურებები საზღვარგარეთ რადიოსა და საუნივერსიტეტო სივრცეებში შოთა რუსთაველის შესახებ. აღნიშნულ იუბილეზე მოწვეული იყვნენ კალისტრატე და ნინო სალიებიც, რომლებიც არ ჩამოსულან ღონისძიებაზე, რაც, შესაძლოა, განპირობებული ყოფილიყო იმდროინდელი საბჭოთა კავშირის განწყობებით ემიგრანტებთან მიმართებით. რაც შეეხება ჟურნალ „ბედი ქართლისას“, მასში იბეჭდება ირაკლი აბაშიძის ლექსები და მასალები რუსთაველის 800 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ამასთანავე, ემიგრანტთა ინიციატივით პარიზში ჩატარდა რუსთაველის იუბილე, რომლის შესახებაც გვხვდება ცნობები კალისტრატე და ნინო სალიების წერილებში.

**საკვანძო სიტყვები:** შოთა რუსთაველის იუბილე, ემიგრანტთა წერილები.

**Mary Khukhunaishvili-Tsiklauri**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

Member of GECLA and British Folklore Society

*Georgia, Tbilisi*

## **Mytho-Folklore Motifs in the Novel "The Cry of the Goddess" by Grigol Robakidze**

Grigol Robakidze's Life (1880-1962) was inseparable with the world's tumultuous social-political life of his time. He as a writer was presented in the center of literary-cultural world of Europe and Georgia and took part in its modernization as a public figure, publicist, philosopher, poet and prose writer. Born and brought up in Georgia, young Robakidze boldly invaded European cultural life preserving his Georgianness and tried to cast the native theme into European mould. He is considered to be one of the founders of the modern psychological novel where the theme of a strong, mighty woman is dominant. The novel "The Cry of the Goddess" is its example. Grigol Robakidze as a famous mythmaker was motivated by the Georgian hunting myths on Goddess of hunt Dali by nature split in, being connected to love and hatred. The novel is based on tragic love story of Svan hunter Tanbi and princess Ivlite Dadiani, childless wife of Lechkhum prince Yulion Gelovani.

**Key words:** Robakidze, Tanbi, Ivlite, Goddess Dali.

### **მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*ლიტერატურათმცოდნეობის ქართული ასოციაციის (GCLA) და ბრიტანეთის ფოლკლორული საზოგადოების წევრი*

*საქართველო, თბილისი*

## **მითო-ფოლკლორული მოტივები გრიგოლ რობაქიძის რომანში „ქალღმერთის ძახილი“**

გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და მოღვაწეობა (1880-1962) ისეთივე მშფოთვარე და მრავალ-წახნაგოვანი იყო, როგორც მისი ეპოქის მსოფლიოს ისტორია. იგი განცალკევებულად არ მდგარა იმ დროის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან, რაც შეეხება ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას, შუაგულში იმყოფებოდა და მისი მოდერნისტული ტრანსფორმაციისთვის სიტყვითა და კალმით იღწვოდა, როგორც საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი-პოეტი. საქართველოს კოლორიტულ კუთხეში – იმერეთში გაზრდილი, გაბედულად შეიჭრა იმდროინდელი ევროპის კულტურულ ცხოვრებაში, პატრიოტ ქართველად დარჩა, ქართული თემატიკა დასავლურ ყალიბში მოაქცია, რითაც უძველესი ქართული კულტურის ევროპულ სარბიელზე წარმოჩენას ცდილობდა.

გრიგოლ რობაქიძემ ხელი შეუწყო ქართული მწერლობის განახლებას. იგი თანამედროვე ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელია, სადაც ძლიერი ქალის თემა წინა პლანზეა წამოწეული. მწერალი მითმთქმელობის უბადლო ოსტატია, როგორც თავად აღნიშნავდა: „ვისაც სიმბოლო და მითოსი არ ესმის, ჩემს შემოქმედებას ვერ გაიგებს“. მისი რომანი „ქალღმერთის

მახილი“ ნადირთლვთაება დალისთან დაკავშირებული მითოლოგიური წარმოდგენების პოეტურ ემანაციას წარმოადგენს, სადაც მითო-ფოლკლორული მოტივები რეალურ სამყაროს ერწყმის და წარმოდგენილია დადიანების ასულის, ლეჩუმის თავადის – იულიონ გელოვანის მეუღლის – ივლიტესა და ახალგაზრდა სვანი მონადირის – თანზის სიყვარულის ტრაგიკული ისტორიის ფონზე.

*საკვანძო სიტყვები:* რობაქიძე, ქალღმერთის მახილი, ივლიტე, თანზი.

**Gocha Kuchukhidze**

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **One “Traveling Copy” by Geronti Kikodze’s Book**

This report deals with the book maintained at the personal library of emigrant writer, residing in the Europe after World War II, doctor of philosophy, Ilia Kuchukhidze, in particular, “The National Energy” by Geronti Kikodze. Desire to make this report was caused by the fact that it contains the notes of young people living in 20s of the 20<sup>th</sup> century (after Sovietization of the country), many of which deserve particular attention, as they reveal worldview of these young people. The book contains Simon Chikovani’s inscription, stating that he had gifted this work by Geronti Kikodze to Ilia Kuchukhidze; on one of the pages, Ambrosi Makharadze (future famous lawyer) has written “this is a good book”; on the other page, he has written: “Amb. Makharadze – to Sharashenidze” (i.e., we can see that he has gave this book to their friend); the inscriptions demonstrate that this book achieved Alexander Sharashenidze and the latter, as a sign of his appreciation, has underlined one of the paragraphs of Kikodze’s article (“Fight and Agreement”), mentioning that the nations have no permanent friends or enemies and he has made his signature there: “Sharashenidze Alexandre”. There are in this book notes by others...

In relation with Geronti Kikodze’s article about Vazha-Pshavela, Ilia Kuchukhidze wrote: “Vazha was not a contemporary symbolist”; and on the letter, where Geronti Kikodze discussed heavy condition of his contemporary Georgian national architecture, Ilia Kuchukhidze wrote: “We are on the way of degradation”. Mentioned writer, in exile, fought for strengthening of the national awareness for entire his life and his inscriptions on Geronti Kikodze’s book show that similar to his friends, he supported in Soviet Georgia the national liberation movement and served to these ideas since he was young.

“The National Energy” by Geronti Kikodze was unacceptable for the USSR in 20s (it was regarded as a nationalist work). We can see one of the examples of how this banned book travelled between young people of that period and this shows one of the small but interesting episodes of the history of 20s.

**Key Words:** Geronti Kikodze, library of Ilia Kuchukhidze.

## გოჩა კუჭუხიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### გერონტი ქიქოძის წიგნის ერთი „მოგზაური ეგზემპლარი“

მოხსენება ეხება გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მწერლის, ფილოსოფიის დოქტორის – ილია კუჭუხიძის პირად ბიბლიოთეკაში შემონახულ წიგნს, კერძოდ, გერონტი ქიქოძის „ეროვნულ ენერგიას“. წიგნის ამ ეგზემპლარის შესახებ მოხსენების გაკეთების სურვილი იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ მას ახლავს 20-იანი წლების საქართველოში (ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ) მცხოვრები ახალგაზრდების მინაწერები, რომელთაგან არაერთი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივ, რომ ამ ახალგაზრდების მსოფლმხედველობა მჟღავნდება მათში. წიგნს ახლავს სიმონ ჩიქოვანის წარწერა, რომლიდანაც ჩანს, რომ ილია კუჭუხიძისთვის უჩუქებია მას გერონტი ქიქოძის ეს ნაშრომი; ამბროსი მახარაძეს (შემდგომში ცნობილი იურისტს) ერთ-ერთ ფურცელზე აღუნიშნავს: „კარგი წიგნია“, სხვა გვერდზე დაუწერია: „ამბ. მახარაძე – შარაშენიძეს“ (ე. ი. წიგნი თავიანთი მეგობრისთვის გადაუცია), მინაწერებიდან ჩანს, რომ ხსენებული წიგნი მისულა ალექსანდრე შარაშენიძესთან, რომელსაც მოწონების ნიშნად ხაზი გაუსვია ქიქოძის წერილის („ბრძოლა და შეთანხმება“) ერთ-ერთი იმ აზრისთვის, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერებს არ ჰყავთ მუდმივი მეგობრები ან მტრები, და იქვე ხელიც მოუწერია: „შარაშენიძე ალექსანდრე“. წიგნში სხვათა მინაწერებიცაა...

გერონტი ქიქოძის მიერ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ წერილზე ილია კუჭუხიძე წერს: „ვაჟა არ იყო თანამედროვე სიმბოლისტი“; ხოლო წერილზე, რომელშიც თავის თანამედროვე ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მძიმე მდგომარეობის შესახებ საუბრობს გერონტი ქიქოძე, მიუწერია: „გადაგვარების გზაზე ვდგავართ“... ხსენებული მწერალი ემიგრაციაში ცხოვრებისას ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისთვის იბრძოდა მთელი თავისი არსებით და გერონტი ქიქოძის ნაშრომზე გაკეთებული მინაწერებიდანაც ჩანს, მეგობრებთან ერთად, საბჭოთა საქართველოშიც ეროვნულ იდეათა მხარეს რომ იდგა და ახალგაზრდობიდანვე რომ ემსახურებოდა ამ იდეებს.

გერონტი ქიქოძის „ეროვნული ენერგია“ 20-იან წლებში მიუღებელი იყო სსრკ-სთვის (ნაციონალისტურად იქნა მიჩნეული), ჩვენ ვხედავთ ერთ მაგალითს იმისა, თუ როგორ გადადიოდა იმდროინდელი ახალგაზრდების ხელიდან ხელში ეს აკრძალული წიგნი, რაც 20-იანი წლების ისტორიის ერთ მცირე, მაგრამ საინტერესო, ფურცელს წარმოაჩენს ჩვენ წინაშე.

*საკვანძო სიტყვები:* გერონტი ქიქოძე, ილია კუჭუხიძის პირადი ბიბლიოთეკა.

Nestan Kutivadze

Akaki Tsereteli State University  
Georgia, Kutaisi

### Artistic Reception of Soviet Repressions in the Émigré Publication “The Homeland” – “La Patria” (1951-1953)

“The Homeland” – “La Patria” – a Georgian émigré periodical based in Buenos Aires, Argentina, was published from 1951 to 1953 under the editorship of Viktor Nozadze. The magazine clearly demonstrates the spirit of Georgian émigrés in the first half of the 20<sup>th</sup> century and their dedication to serving their homeland. The publications of “La Patria” address, on the one hand, Georgia's aspiration toward Europe and

the efforts of the Georgian kings in this regard, and, on the other hand, they analyze the historical, legal, and diplomatic aspects of Russian-Georgian relations. Based on this analysis, they emphasize that Russia conquered Georgia, an independent kingdom it had recognized, first in 1801, and then again in 1921, after having also recognized the Republic of Georgia.

It is noteworthy that “La Patria” offers a vivid reflection of the lives of Georgian émigrés and communities in America and Europe during the 1950s. It highlights their cultural activities, commemorates historical dates and significant events, and provides information about current affairs in Argentina.

In addition to historical articles, cultural chronicles, and informational content, the magazine also featured literary works. It published poetry by Giorgi Gamkrelidze, Akaki Papava, Evtikhi Abuladze, and other authors, as well as prose works, most notably, a series of stories published under the pseudonym of Mikhako Tbiliseli. These include: “The Great Man” (No. 2, 1951), “The Story of Geurka” (No. 3, 1951), and memoirs: “Cell Number 19” (No. 4, 1951; No. 5, 1952; No. 6, 1953).

The works by Mikhako Tbiliseli depict the Bolshevik terror and Soviet repressions of the 1920s and 1930s, exposing their ruthless and brutal nature. His memoirs vividly reconstruct the grim reality of Cheka dungeons and the tragic fate of those sent into exile – sometimes using their real names to enhance the authenticity of these events.

Through these texts, the magazine openly depicted Soviet reality, aiming to draw the attention of the international community to the occupied country, which was patiently awaiting the right moment to renew its struggle for freedom.

**Keywords:** Soviet Repressions, Artistic Reception, Bolshevik terror, Georgian émigrés, Georgian communities.

## ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

### საბჭოთა რეპრესიების მხატვრული რეცეფცია ემიგრანტულ გამოცემა „მამულში“ – “La Patria” (1951-1953)

„მამული“ – “La Patria” – ქართველ ემიგრანტთა პერიოდული ორგანო არგენტინაში, ბუენოს-აირესში, 1951-1953 წლებში გამოიცემოდა ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით. ჟურნალი ნათლად წარმოაჩენს XX საუკუნის I ნახევრის ქართული ემიგრაციის სულისკვეთებას, სამსახური გაუწიონ საკუთარ სამშობლოს. „მამულის“ პუბლიკაციები შეეხება, ერთი მხრივ, საქართველოს სწრაფვას ევროპისაკენ და ქართველ მეფეთა ძალისხმევას ამ თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, აანალიზებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიულ, იურიდიულ, დიპლომატიურ ასპექტებს და ამის საფუძველზე გამოკვეთს, რომ რუსეთმა საქართველო დაიპყრო, როგორც მის მიერვე აღიარებული დამოუკიდებელი სამეფო პირველად 1801 წელს, ხოლო მეორედ 1921 წელს, ასევე, საქართველოს რესპუბლიკის ცნობის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ „მამული“ შთამბეჭდავად ასახავს 1950-იანი წლების ამერიკასა თუ ევროპაში განფენილი ქართული ემიგრაციის, ქართული სათვისტომოების ცხოვრებას, მათ კულტურულ საქმიანობას, ეხმაურება ისტორიულ თარიღებსა და მნიშვნელოვან ფაქტებს, აქვეყნებს ინფორმაციას არგენტინაში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ჟურნალი ისტორიულ წერილებთან, კულტურულ ქრონიკებსა და ინფორმაციული ხასიათის მასალებთან ერთად ბეჭდავდა მხატვრულ ტექსტებსაც. გიორგი გამყრელიძის, აკაკი პაპავას,

ევტიხი აბულაძის და სხვა ავტორების პოეტურ ნაწარმოებებს, ასევე, პროზაულ თხზულებებს, რომელთაგან საგანგებოდ უნდა გამოიყოს მიხაკო თბილისელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მოთხრობები: „დიდი კაცი“ (N2, 1951), „გეურქას ამბავი“ (N3, 1951), მოგონებები: „საკანი ნომერი 19“ (N4, 1951; N5, 1952; N6, 1953).

მიხაკო თბილისელის თხზულებებში რეპრეზენტირებულია ბოლშევიკური ტერორი, 1920–30-იანი წლების საბჭოთა რეპრესიები, მისი დაუნდობელი და ველური ხასიათი. მოგონებებში ძალზე კონკრეტულად, ზოგჯერ რეალური გვარებით აღდგება ჩეკას ჯურღმულებში არსებული უმძიმესი ვითარება, გადასახლებაში მყოფი ადამიანების ტრაგიკულ ხვედრი.

ამ ტექსტებით ჟურნალი დაუფარავად აღწერდა საბჭოთა სინამდვილეს, ცდილობდა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიეპყრო დაპყრობილი ქვეყნისკენ, რომელიც მხოლოდ დროს ელოდა, რომ კვლავ დაეწყო ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად.

**საკვანძო სიტყვები:** საბჭოთა რეპრესიები, მხატვრული რეცეფცია, ბოლშევიკური ტერორი, ქართული ემიგრაცია, ქართული სათვისტომო.

**Manana Kvataia**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Emigrant Markers of Historical Space – Text and Context**

In his *Truth and Method*, Hans-Georg Gadamer points out that the meaning of a text always goes beyond the author's original intention. When a literary work is interpreted within a different cultural and historical space, new meanings emerge, making all kinds of interpretations contextual. According to Gadamer, hermeneutics – when focused on the essence of the subject matter – should reflect historical reality, which he refers to as “the history of influence” (Wirkungsgeschichte).

Georgian émigré literature holds significant value for the reconstruction, study and evaluation of 20<sup>th</sup>-century historical events. It brought new themes, genres, literary forms, etc. The dominant anti-Soviet narrative fostered the mode of independent thinking in exile, most fully expressed in journalistic writing. The sentiments of émigré authors were reflected in multiple forms across poetry and in prose there were created both biographical and memoir writings – non-fiction literature, as well as valuable fiction or documentary fiction works.

In their works, Georgian émigré prose writers offered an objective reflection of the historical events of the 1920s and 1930s. They critically assessed the significance of the 1924 uprising, exposed the brutal aspects of Soviet reality and created vivid literary portraits of notable contemporaries for future generations. In this regard, the well-known texts of Grigol Robakidze, the writings of Nikolo Mitsishvili such as *February*, *Thoughts on Georgia*, *Georgian Chronicle from the Time of the Revolution* – as well as the literary and documentary prose of Stephane Kasradze, and the novel *The Shadow of a Truth* by Indo Inasari (Nikoloz Inasaridze), etc. are of exceptional value. A different literary reception of the reality of that time is found in the works of George and Helen Papashvily, who lived and worked in the US. Their widely acclaimed novel *Anything Can Happen* (1938) portrays both the positive and negative aspects of American life during that period.

When discussing the nature of literature, theorists often emphasize its contrast with the idealized language of science, which is purely denotative and unambiguous. In contrast, literary language embraces

ambiguity and expressiveness, aiming not merely to convey information but shape perception and reframe attitudes toward events. This expressive power is strikingly evident in the outstanding works of twentieth-century Georgian émigré literature. These works often challenge and transform the official narratives of "institutional memory," providing future generations with a deeper, more critical understanding of historical events.

**Keywords:** Historical events, émigré literature, Text and Context.

## მანანა კვატაია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### ისტორიული სივრცის ემიგრანტული მარკერები – ტექსტი და კონტექსტი

ნაშრომში „ქემმარიტება და მეთოდი“ ჰანს-გეორგ გადამერი მიუთითებს, რომ ტექსტის მნიშვნელობა ავტორისეული ინტენციით არასოდეს ამოიწურება. ერთი კულტურულ-ისტორიული სივრციდან მეორეში აღმოჩენისას იბადება ნაწარმოების ახალი ინტენციები, ხოლო ყოველგვარი განმარტება კონტექსტისმიერია. თეორეტიკოსის მოსაზრებით, საგანთა არსზე/საგანზე ორიენტირებულმა ჰერმენევტიკამ ისტორიის რეალობა უნდა წარმოაჩინოს, რასაც გადამერი ზემოქმედების ისტორიას (Wirkungsgeschichte) უწოდებს.

გასული საუკუნის ისტორიული მოვლენების აღდგენის, კვლევისა და შეფასებისათვის გამორჩეული ღირებულებისაა ქართული ემიგრანტული მწერლობა, რომელმაც შემოიტანა ახალი თემატიკა, ჟანრები, მხატვრული ფორმები და ა.შ. ანტისაბჭოთა ნარატივის პრევალირებამ ხელი შეუწყო ემიგრაციაში კონიუნქტურისაგან თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც სრულყოფილად გამოვლინდა პუბლიცისტიკაში. ემიგრანტი ავტორების განწყობილებანი მრავალფეროვნად ასახა პოეზიამ, პროზაში კი შეიქმნა როგორც ბიოგრაფიულ-მემუარული ტექსტები – non-fiction-ის ლიტერატურა, ასევე ღირებული მხატვრული თუ მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოებები.

ემიგრანტმა პროზაიკოსებმა თავიანთ თხზულებებში ობიექტურად ასახეს 1920-1930-იანი წლების ისტორიული მოვლენები, შეაფასეს 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობა, წარმოადგინეს საბჭოთა სინამდვილის მანკიერი მხარეები, შექმნეს და მომავალ თაობებს დაუტოვეს თავიანთი ცნობილი თანამედროვეების ორიგინალური პორტრეტები. ამ მხრივ ფასდაუდებელია გრიგოლ რობაქიძის ცნობილი ტექსტები, ნიკოლო მიწიშვილის თხზულებები („თებერვალი“, „ფიქრები საქართველოზე“, „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“), სტეფანე კასრაძის მხატვრულ-დოკუმენტური პროზა, ინდო ინასარის (ნიკოლოზ ინასარიძის) რომანი „ჩრდილი ერთი სინამდვილისა“ (პარიზი, 1936) და სხვ. იმჟამინდელი რეალობის განსხვავებული მხატვრული რეცეფცია წარმოადგინეს ამერიკაში მოღვაწე გიორგი და ჰელენ პაპაშვილებმა გახმაურებულ რომანში „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ („Anything Can Happen“, 1938), სადაც ასახულია იმავე პერიოდის ამერიკული ცხოვრების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ლიტერატურის ბუნებაზე მსჯელობისას თეორეტიკოსები აღნიშნავენ მეცნიერების იდეალური ენის „დეტონატურობას“ (ე.ი. ის მთლიანად „აღმნიშვნელია“). მისგან განსხვავებით, ლიტერატურის ენა, მართალია, საკვია ორაზროვნებით, მაგრამ მას აქვს ექსპრესიული მხარე და ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს ჩვენზე, შეცვალოს ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი, რასაც, ვფიქრობთ, მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის გამორჩეული ნიმუშები

შესანიშნავად ახერხებენ. ისინი ხშირად რადიკალურად ცვლიან ოფიციალის მიერ დამკვიდრებულ „ინსტიტუციური მეხსიერების“ ნარატივს და მომავალ თაობებს ისტორიული მოვლენების მართებულ ანალიზსა და რეცეფციაში ეხმარებიან.

**საკვანძო სიტყვები:** ისტორიული მოვლენები, ემიგრანტული მწერლობა, ტექსტი და კონტექსტი.

**Nino Kvirikadze**

*Akaki Tsereteli State University*

*Georgia, Kutaisi*

### **Thomas Mann in Exile: The Phenomenon of the German Nation in Thomas Mann's Essay "Germany and the Germans"**

The subject of the research is Thomas Mann's essay "Germany and the Germans" ("Deutschland und die Deutschen"), written by him in 1945 – during his emigration to the United States. A significant part of T. Mann's journalism, as well as his fiction, was written in emigration. In general, he is to a large extent an emigrant writer, and this circumstance should not be underestimated.

The purpose of this work is to introduce this essay into the modern literary-critical discourse, which faces certain difficulties. On the one hand, judgments are expressed that classical literature has been sufficiently studied and is of interest to critics only as a monument to the history of literature. Another approach is also possible, which we operate with: even a small essay by the classic of German literature Thomas Mann is projected onto today's time and contributes to the formation of the phenomenon of borders, history, nation; It is so symbolic that the titled work "Germany and the Germans" appeared in one of the most difficult moments in German history – 1945.

Deideologization of modern literary criticism as a whole makes it possible to consider the critical legacy of Thomas Mann in the context of the modern dialogue of literatures and cultures. The essay "Germany and the Germans" is devoted to identifying the archetype of the German nation in the synthesis of historical time, philosophical, socio-political searches up to the events of the national catastrophe – the war of 1939-1945. The stereotype of German thinking is derived by the author not so much by critical as by artistic vision. This character trait of Thomas Mann was once noted by the critic N. Vilmont, who characterized his critical legacy with the symptomatic phrase: "An artist as a critic". T. Mann traces the genesis of the German archetype from its formation to the present day. The contradictory psychology of the German nation, a special phenomenon of thinking, behavior are determined by the writer from the point of view of a differentiated approach to other national cultures. The historical and cultural approach to understanding the essay involves a comprehensive research method, i.e. consideration of the work in sociological, psychological, and cultural terms, which will allow us to identify the author's creative behavior and determine new facets of his thinking.

**Key words:** Thomas Mann, essay "Germany and the Germans", phenomenon of the German nation, deideologization, comprehensive approach.



ნინო კვირიკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

### თომას მანი ემიგრაციაში: გერმანელი ერის ფენომენი

#### თ. მანის ესეში „გერმანია და გერმანელები“

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს თომას მანის ესე „გერმანია და გერმანელები“ („Deutschland und die Deutschen“), რომელიც მწერალმა 1945 წელს დაწერა – ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციაში ყოფნის დროს. თ.მანის პუბლიცისტის დიდმალი ნაწილი, ისევე როგორც, სხვათა შორის, მისი მხატვრული პროზისა, ემიგრაციაშია შექმნილი. საერთოდ კი თომას მანი დიდწილად ‘ემიგრანტული’ მწერალია.

კვლევის მიზანია დასახელებული ესეს შეყვანა თანამედროვე ლიტერატურულ-კრიტიკულ დისკურსში, რაც დიდწილად გარკვეულ სირთულეებს აწყდება. ერთი მხრივ, არსებობს მოსაზრებები, რომ კლასიკური ლიტერატურა საკმარისად არის შესწავლილი და კრიტიკოსებისთვის საინტერესოა მხოლოდ როგორც ლიტერატურის ისტორიის ძეგლი. შესაძლებელია სხვა მიდგომაც, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ: კლასიკური გერმანული ლიტერატურის კლასიკოსის თომას მანის პატარა ესეც კი დღევანდელ დროზეა პროვოცირებული და ხელს უწყობს საზღვრების, ისტორიის, ერის ფენომენის ჩამოყალიბებას; ესოდენ სიმბოლურია დასახელებული ნაწარმოების „გერმანია და გერმანელები“ გამოჩენა გერმანიის ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს მომენტში – ეს არის 1945 წელი.

საერთოდ, თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკის დეიდეოლოგიზაცია შესაძლებელს ხდის თომას მანის კრიტიკული მემკვიდრეობის განხილვას ლიტერატურებისა და კულტურების თანამედროვე დიალოგის კონტექსტში. ესე „გერმანია და გერმანელები“ ეძღვნება გერმანელი ერის არქეტიპის იდენტიფიცირებას ისტორიული დროის, ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების სინთეზში – ეროვნული კატასტროფის (1939-1945 წლების ომის მოვლენების) ჩათვლით. გერმანული აზროვნების სტერეოტიპი ავტორს არა იმდენად კრიტიკული, რამდენადაც მხატვრული ხედვით აქვს მიღებული. თომას მანის ხასიათის ეს თვისება თავის დროზე აღნიშნა კრიტიკოსმა ნ. ვილმონტმა, რომელმაც მისი კრიტიკული მემკვიდრეობა ნიშანდობლივი ფრაზით დაახასიათა: „მხატვარი, როგორც კრიტიკოსი“.

მწერალი თვალს ადევნებს გერმანული არქეტიპის გენეზისს მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე.

გერმანელი ერის ფსიქოლოგიის წინააღმდეგობრივ ბუნებას, აზროვნებისა და ქცევის განსაკუთრებულ ფენომენს ის განსაზღვრავს სხვა ეროვნული კულტურებისადმი დიფერენცირებული მიდგომის თვალსაზრისით. ესეს გაგების ისტორიული და კულტურული მიდგომა გულისხმობს კვლევისადმი კომპლექსურ მიდგომას, ანუ ნაწარმოების სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და კულტურული თვალსაზრისით განხილვას, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვავლინოთ ავტორის შემოქმედებითი ქცევა და განვსაზღვროთ მისი აზროვნების ახალი ასპექტები.

**საკვანძო სიტყვები:** თომას მანი, „გერმანია და გერმანელები“, გერმანელი ერის ფენომენი, დეიდეოლოგიზაცია, კომპლექსური მიდგომა.

**Jurate Landsbergyte-Becher**

*Lithuanian Culture Research Institute*

*Scientist researcher in Department of Music and Theatre History*

*Doctor of Music Arts*

*Lithuania, Vilnius*

### **Lithuanian Statemen in America:writings and fates**

After occupation of Lithuania by Soviet Russia in 1940 Lithuanian Statemen like president Antanas Smetona (1874-1944) left the country just in time (another statemens, who didn't make it, were arrested and killed by KGB) and emigrated to U.S.A. He was then one very important witness of illegal occupation before he was killed in so called "occasional death" in 1944 before the Yalta conference. His writings-memoirs in America are very important helping to solve the truth of history for literature and freedom fight later in modern Lithuania. The next two Lithuanian Presidents coming from U.S.A. are different in fates: Diplomat Stasys Lozoraitis (1924-1994) was called "President of the hope" took part in president's election 1992-1993 in again Independent Lithuania and was poisoned at the time of election campaign and died soon after. He was the one, who held legal Lithuanian Embassy in U.S.A., while unknowingly occupied, 50 years till Independence in 1990. The last is the one successful American Lithuanian President Valdas Adamkus (\*1926), elected in 1999 and 2004. They all wrote important books for nowadays literature regarding free democratic State of Lithuania.

**Keywords:** presidents, Lithuania, occupation, statehood, literature

**Salome Lomouri**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **The Poetics of Shalva Amirejibi's Dedicatory Poems**

Most of the dedicatory poems by Shalva Amirejibi, the renowned Georgian émigré poet, are composed using well-established European and Eastern poetic forms. The poems from Amirejibi's celebrated collection *Enamels* – titled *Blue Enamels* – are dedicated to his muse and wife, Veriko Anjaparidze.

Amirejibi also dedicated to Anjaparidze a poem titled *Hazal* (ghazal), consisting of seven stanzas and written in high *shairi* meter (4/4, 2/4/2).

The sonnet *Manana Orbeliani*, composed in the classical *Besiki* meter (5/4/5) and utilizing varying rhyme schemes – *abab* (first and second quatrains) and *abba* (third quatrain) – concludes with a sonnet key that once again references Veriko. It seems likely that the pairing of the names Manana Orbeliani and Veriko Anjaparidze in Lado Asatiani's poetry may be a response to this very sonnet by Amirejibi. Particularly noteworthy in the third quatrain are the five-syllable dactylic rhymes such as *mukhambazebe* – *vejambasabi* and *qaznagebad* – *atasnatebad*. In doing so, Amirejibi develops a distinctive variation of the Georgian sonnet, where the final couplet rhymes "women" and "eyes" – again drawing attention to his muse, Veriko Anjaparidze.

The poem *Miqvarda Tkveni Shleipi* (*I Loved Your Train*), written in low *shairi* meter (5/3), consists of four quatrains. Its final stanza features a rare six-syllable rhyme pair: *titon gtsodavdit – zhindagitsotavdit*. Such six-syllable rhyme units are uncommon in Georgian poetry (cf. Shota Rustaveli's *chavakharabake*).

In the dedicatory poem *To N. Amirejibi's Daughter*, composed in high *shairi*, the rhyme *zhaluizebs – iluziiebs* appears in both the first and fourth quatrains.

Amirejibi's sonnet *On the Death of Kote Afkhazi* also represents a variation of the sonnet form, consisting of three quatrains followed by a three-line sonnet key.

In 1909, the poet published a poem titled *Robaiebi* in the magazine *Chveni Eri*. Although traditional rubai rhyme schemes follow *aaba* or *aaaa*, Amirejibi's *Robaiebi* diverges from these conventions, employing low *shairi* (5/3).

Amirejibi's use of solid European and Eastern poetic forms affirms both his literary talent and his active participation in the reformatory processes of modern Georgian poetry.

**Keywords:** Shalva Amirejibi, dedicatory poems, sonnet, ghazal, rubai.

### სალომე ლომოური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### შალვა ამირეჯიბის მიმდევნითი ხასიათის ლექსების პოეტიკა

შალვა ამირეჯიბის, ცნობილი ქართველი ემიგრანტი პოეტის, მიმდევნითი ხასიათის ლექსების უმრავლესობა ევროპულ და აღმოსავლურ მყარ სალექსო ფორმებს განეკუთვნება. პოეტის მუზას, ვერიკო ანჯაფარიძეს, ეძღვნება შალვა ამირეჯიბის ცნობილი პოეტური კრებულის „მინანქარების“ ლექსები – „ლურჯი მინანქარები“.

შალვა ამირეჯიბმა ვერიკო ანჯაფარიძეს მიუძღვნა „ჰაზალი“ (ღაზალი, ყაზალი, გაზელა), რომელიც შვიდი მონაკვეთისაგან შედგება და დაწერილია მაღალი შაირით (4/4, 2/4/2).

ცნობილი ბესიკური მეტრით – 5/4/5-თა და გარიტმის სხვადასხვა სისტემით – abab (პირველი და მეორე კატრენები) და abba (მესამე კატრენი) არის შესრულებული სონეტი „მანანა ორბელიანი“, რომელიც სონეტის გასაღებით მთავრდება. ლექსის უკანასკნელ სტრიქონში პოეტი კვლავ ახსენებს ვერიკოს. ვფიქრობთ, ლადო ასათიანის პოეზიაში მანანა ორბელიანისა და ვერიკო ანჯაფარიძის სახელების დაწყვილება შალვა ამირეჯიბის ამ სონეტის გამომავალი უნდა იყოს. ამავე სონეტში ყურადღებას იქცევს მესამე კატრენის ხუთმარცვლიანი ზედაქტილური რითმები – „მუხამბაზები – ვეჯამბასები“, „ყაიხნაღებად – ათასნათებად“. პოეტი ქართული სონეტის ნაირსახეობას ქმნის: იგი სონეტის გასაღებში რითმის გამო აწყვილებს „ქალებს“ და „თვალებს“, ამასთანავე, ყურადღება მიემართება პოეტის მუზას – ვერიკო ანჯაფარიძეს.

დაბალი შაირით (5/3) არის გამართული „მიყვარდა თქვენი შლიფი“. ამ ოთხკატრენიანი ლექსის ბოლო სტროფის რითმა – „თითონ გცოდავდით – ჟინდაგიცოტავდით“, რომელიც ყურადღებას იქცევს ექვსმარცვლიანი კომპოზიციით. ექვსმარცვლიანი სარიტმო ერთეული იშვიათია ქართულ ლექსში (მაგ. შოთა რუსთაველის „ჩავაქარაბაკე“).

მაღალი შაირით დაწერილ მიმდევნითი ხასიათის ლექსში „ნ. ამირეჯიბის ასულს“ რითმა მეორდება პირველ და მეოთხე კატრენებში: „ქალუიზებს – ილუზიებს“.

სონეტის სახესხვაობათა რიგს უნდა მივაკუთვნოთ შალვა ამირეჯიბის სონეტიც – „კოტე აფხაზის სიკვდილზე“, რომელიც სამი კატრენისა და სონეტის სამტაეპიანი გასაღებისაგან შედგება.

პოეტმა 1909 წელს ჟურნალ „ჩვენ ერში“ გამოაქვეყნა „რობაიები“. რობაის გარიტმვის სქემაა aaba ან aaaa, თუმცა შალვა ამირეჯიბის „რობაიები“ არ მიჰყვება ტრადიციულ გარიტმვის სქემას, ის დაწერილია დაბალი შაირით (5/3).

შალვა ამირეჯიბის ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ადასტურებს ემიგრანტი პოეტის ნიჭიერებასა და მის ჩართულობას უახლესი ქართული პოეზიის რეფორმაციის პროცესში.

*საკვანძო სიტყვები:* შალვა ამირეჯიბი, მიძღვნილი ლექსები, სონეტი, ყაზალი, რობაი

**Kakhaber Loria**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **America and Knut Hamsun**

The great Norwegian writer, Nobel Prize laureate Knut Hamsun (1859-1952) is not only one of the fathers of world modernist prose, a prominent representative of world literature of the late 19th and first half of the 20th centuries, and still a very popular writer on an international scale, but also a highly distinguished figure in terms of his long and contradictory life path. Hamsun's life turned out to be so dramatic and turbulent that it is still a field of great interest for researchers. Accordingly, many literary biographies of Hamsun and scientific essays studying his biography have been written and continue to be written. Of course, the issue of Hamsun's relationship with Nazism occupies a leading place in these works, but other aspects of the great writer's biography are also noteworthy. One of them is the issue of Hamsun's problematic attitude towards America and Anglo-Saxon culture.

In several waves of emigration from a small Norway to America, up to 800 thousand (!) people left between 1825 and 1920. Knut Hamsun himself visited America twice for the purpose of emigration: the first time, from February 1882 to the fall of 1884 (when he became so seriously ill that he thought he had tuberculosis and returned to Norway), and the second time – from the fall of 1886 to the summer of 1888. Hamsun did not shy away from any work in America: he worked as a farm laborer, a pig herder, a tram conductor, etc. However, he also tried his hand at journalism and public speaking. Overall, Hamsun's attempts to gain a foothold in America were unsuccessful, which probably contributed to the development of anti-American sentiments in his mind. The latter is more or less clearly present throughout his (creative) biography, but was especially strongly reflected in Hamsun's book published in 1889 – "From the Spiritual Life of Modern America" ("Fra det moderne Amerikas Aandsliv"). The work was written in a few months, as it was based on the speeches that Hamsun gave in America. The book, which is quite skillfully written from a stylistic point of view, is at the same time distinguished by its harsh, but not infrequently, overtly tendentious criticism of American lifestyle, politics, and art.

**Keywords:** emigration; America; Norway; Nobel Prize; literary biography.

## კახაბერ ლორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

### ამერიკა და კნუტ ჰამსუნი

დიდი ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი კნუტ ჰამსუნი (1859-1952) არა მხოლოდ მსოფლიო მოდერნისტული პროზის ერთერთი მამამთავარი, მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის მსოფლიო ლიტერატურის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი და დღესაც საერთაშორისო მასშტაბით ძალზე პოპულარული მწერალია, არამედ უაღრესად გამორჩეული ფიგურაა თავისი ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრებისეული გზის თვალსაზრისითაც. ჰამსუნის ცხოვრება იმდენად დრამატული და შფოთიანი აღმოჩნდა, რომ დღესაც მკვლევართა დიდი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. შესაბამისად, დაიწერა და კვლავაც იწერება ჰამსუნის არაერთი ლიტერატურული ბიოგრაფია თუ ბიოგრაფიის შემსწავლელი სამეცნიერო ნარკვევი. ცხადია, ჰამსუნისა და ნაციზმის მიმართების საკითხს ამ ნაშრომებში წამყვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ ასევე საყურადღებოა დიდი მწერლის ბიოგრაფიის სხვა ასპექტებიც. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ჰამსუნის პრობლემატური დამოკიდებულების საკითხი ამერიკასა და ანგლო-საქსურ კულტურასთან.

მცირერიცხოვანი ნორვეგიიდან ამერიკაში ემიგრაციის რამდენიმე ტალღისას 1825 – 1920 წლებში 800 ათასამდე (!) ადამიანი გაემგზავრა. თავად კნუტ ჰამსუნი ემიგრირების მიზნით ამერიკაში იმყოფებოდა ორჯერ: პირველად, 1882 წლის თებერვლიდან 1884 წლის შემოდგომამდე (როცა ისე სერიოზულად დაავადდა, ტუბერკულოზი ეგონა, და ნორვეგიაში დაბრუნდა), მეორეჯერ კი – 1886 წლის შემოდგომიდან 1888 წლის ზაფხულამდე. ჰამსუნი ამერიკაში არანაირ შრომას არ თაკილობდა: მუშაობდა მიწის მუშად, ღორების მწყემსად, ტრამვაის კონდუქტორად და ა.შ. თუმცა, ასევე სცადა ჟურნალისტობაც და საჯარო მოხსენებათა წაკითხვაც. მთლიანობაში, ჰამსუნის მცდელობა ამერიკაში ფეხი მოეკიდებინა რაიმე მისთვის შესაფერის პოზიციაზე, წარუმატებელი აღმოჩნდა, რამაც, სავარაუდოდ, ხელი შეუწყო მის ცნობიერებაში ანტიამერიკული განწყობების გაღვივებას. ეს უკანასკნელი მეტნაკლებად მკაფიოდ გასდევს მთელს მის (შემოქმედებით) ბიოგრაფიას, მაგრამ განსაკუთრებით მძაფრად აისახა ჰამსუნის 1889 წელს გამოცემულ წიგნში – „თანამედროვე ამერიკის სულიერი ცხოვრებიდან“ („Fra det moderne Amerikas Aandsliv“). თხზულება რამდენიმე თვეში დაიწერა, ვინაიდან დაეყრდნო იმ მოხსენებებს, რომლითაც ჰამსუნი ამერიკაში გამოდიოდა. წიგნი, რომელიც, სტილისტური თვალსაზრისით, საკმაოდ ოსტატურადაა დაწერილი, იმავდროულად, გამოირჩევა ამერიკული ცხოვრების წესის, პოლიტიკისა და ხელოვნების მკაცრი, მაგრამ, არცთუ იშვიათად, აშკარად ტენდენციური კრიტიკით.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია; ამერიკა; ნორვეგია; ნობელის პრემია; ლიტერატურული ბიოგრაფია.

**Yordan Lyutskanov**  
*Institute for Literature*  
*Bulgarian Academy of Sciences*  
*Bulgaria, Sofia*

### **Typology of Exilic Experience Betwixt and Between the Ottoman Empire and the Soviet Union**

I would depart from the conceptualisation that emigration is not only a distinct modern phenomenon but also a sub-species within a family of related existential conditions, which have been designated as 'somewhere-else-ness' or 'altrove'. 'Altrove' includes also exile, inner emigration, camp incarceration, quarantine... I would argue that within all these sub-species two archetypal space-forms and three archetypal 'life-scenarios' can be discerned. These are the space-forms of a threshold and of an island (idyll), and the scenarios of resilience, of triumph and of (self)-sacrifice (going back, respectively, to Greco-Roman, Muslim but also Hebraic, and Christian inaugurating events). I would show specimens of these forms and scenarios by analysing works of particular poets from the Black Sea region (Konstantin Velichkov, 1855-1907, Daniel Varuzhan, 1884-1915, Alexander Feodorov, 1868-1949, and Titsian Tabidze, 1895-1937) only one of which was an émigré proper (Feodorov), giving preference to works imaging/imagining sea.

**Esma Mania**  
*Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts*  
*Georgia, Tbilisi*

### **Personal Archives and the Resonance of Emigrant Trauma**

The personal archives of twentieth-century public figures emerge as an irreplaceable source of their inter- and, even more so, intrapersonal communication. It is precisely this segment of the intellectual life of public individuals – which offers the possibility of reconstructing both the individual's portrait and the contemporaneous socio-political and cultural environment – that almost always remains beyond the scope of publication. It is within these very sources that, in an indirect form, the resonance of emigration – both as a mental and as a socio-political phenomenon – is actualized. This effect is primarily manifested as trauma, since both voluntary and forced emigration are invariably accompanied by trauma, which is then transformed either into intensified motivation or, conversely, into highly pronounced indifference.

Within the framework of this presentation, we have the opportunity to observe how the trauma of emigration is manifested in the personal archival materials of Archil Jorjadze, Andria and Giorgi Dekanozishvili, Nino and Barbare Kipiani, Grigol Peradze, Ekvtime Takaishvili, Grigol Robakidze... The focus is placed both on unconscious slips and on non-verbal, codicological markers; on the sharpening or atrophying of the feeling of homeland; on modifications in the mode of viewing "from the outside"; on the thresholds of memory's erosion and the phases of identity crisis. Attention is drawn to their individual strategies for managing stress, to newly adopted cultural codes, to transformations within the systems of values and moral obligations, to the rise – or, conversely, decline – of risk and daring, and to the pathways of separation or marginalization. Particularly significant is the altered perception of homeland – as a source of emotional security – following Soviet occupation and the Great Terror, and the alternation between rational and naïve means of overcoming this crisis.

In the twentieth century, emigration was treated with notable delicacy. Bureaucratic tendencies often obscured the true nature of archival materials, rendering much of their content subdued or inaccessible. As a result, these themes must now be traced within the indirect layers of personal archives – private notes, and documents frequently categorized as “personal in nature”, whose scholarly and practical potential was deliberately limited. The re-examination and reintegration of such materials into academic circulation, therefore, stands as a necessary and meaningful undertaking.

**Keywords:** Personal archive; Emigrant trauma; Intrapersonal communication; Memory; Perception of homeland.

## ესმა მანია

*კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი  
საქართველო, თბილისი*

### პირადი არქივები და ემიგრანტული ტრავმის რეზონანსი

მეოცე საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები გვევლინება მათი მფლობელების ინტერდა, მით უფრო, ინტრაპერსონალური კომუნიკაციის შეუცვლელ წყაროდ. საჯარო მოღვაწეების ინტელექტუალური ცხოვრების სწორედ ეს სეგმენტი, რომელიც პიროვნების პორტრეტის, ამავე დროს, თანადროული სოციო-პოლიტიკური და კულტურული გარემოს რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა, თითქმის ყოველთვის რჩება პუბლიკაციის მიღმა. სწორედ ამ წყაროებში არაპირდაპირი სახით აქტუალიზდება ემიგრაციის როგორც მენტალური, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეზონანსი, ეფექტი, რაც, ძირითადად, გამოიხატება ტრავმაში, რადგან როგორც ნებაყოფლობით, ისე იძულებით ემიგრაციას ყოველთვის ახლავს ტრავმა, რომელიც ტრანსფორმირდება ან გაძლიერებულ მოტივაციად ან, პირიქით, მაღალ ხარისხში გამოვლენილ ინდიფერენტულობად.

მოხსენების ფარგლებში გვაქვს შესაძლებლობა, დავაკვირდეთ, როგორი გამოხატულება აქვს არჩილ ჯორჯაძის, ანდრია და გიორგი დეკანოზიშვილების, ნინო და ბარბარე ყიფიანების, გრიგოლ ფერაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, გრიგოლ რობაქიძის... პირად საარქივო მასალაში ემიგრანტის ტრავმას; აქცენტი დავსვათ როგორც არაცნობიერ წამოცდენებზე, ისე არავერბალურ, კოდიკოლოგიურ მარკერებზე; სამშობლოს განცდის სიმახვილე-ატროფიაზე; „გარედან“ ხედვის მოდიფიკაციებზე; მეხსიერების განლევის ნიშნულებსა და იდენტობის კრიზისის ფაზებზე; ყურადღება გავამახვილოთ სტრესის მართვის მათეულ ფორმებზე; ახალ კულტურულ კოდებზე; ცვლილებებზე ფასეულობების, მორალური ვალდებულებების სისტემაში; რისკებისა და გაბედვის ხარისხის ზრდაზე ან პირიქით; სეპარაციისა თუ მარგინალიზაციის გზებზე... განსაკუთრებით საყურადღებოა საბჭოთა ოკუპაციისა და დიდი ტერორის შედეგად მნიშვნელოვნად გარდაქმნილი სამშობლოს, როგორც ემოციური უსაფრთხოების წყაროს, აღქმა და ამ კრიზისის დაძლევის რაციონალური და ნაივური გზების მონაცვლეობის ანალიზი.

ემიგრაციის საკითხებს მეოცე საუკუნეში საკმაოდ დელიკატურად ეკიდებოდნენ. გარკვეული ბიუროკრატიული ტენდენციებით, ერთგვარად იჩქმალეზოდა საარქივო მასალის ნამდვილი რაობები. შესაბამისად, დღეს ეს თემები მოსაძიებელია პირადი არქივების არაპირდაპირ შრეებში – პირად ჩანაწერებში, ხშირად „კერძო ხასიათის“ დოკუმენტებად იდენტიფიცირებულ საარქივო ერთეულებში, რომელთა გამოყენებითი-სამეცნიერო პოტენციალი, საგანგებოდ იყო შეზღუდული. ამიტომ მათი აქტუალიზაცია, სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა, ვფიქრობთ, საგულისხმო საქმეა.

**საკვანძო სიტყვები:** პირადი არქივი; ემიგრანტის ტრავმა; ინტრაპერსონალური კომუნიკაცია; მეხსიერება; სამშობლოს აღქმა.

**Mariam Marjanishvili**  
*Kutaisi State Historical Museu*  
*Georgia, Kutaisi*

### **Giorgi Kereselidze's Epistolary Legacy**

In the early XX century, Giorgi Machabeli, Mikhako Tsereteli, brothers Leo and Giorgi Kereselidze played a certain role in presenting Georgia, which was occupied by Russia, to Europeans.

Brothers Kereselidze established a "Group of separatists" and "Liberation committee of Georgia", later they established "White Giorgi"; these were active party organizations, which did their best to liberate Georgia from Russia.

After the Second World War, Leo Kereselidze was killed during bombing of Berlin, which made Giorgi Kereselidze abandon political activity and he fully dedicated himself to literature.

Since 1956, in his letters addressed to his sister, Elenie Glurjidge, who lived in Tbilisi, Giorgi Kereselidze expressed his ideas and opinions about culture, art and writing, which contributes to the Georgian emigrational literature.

**Keywords:** émigré literature, epistolary heritage, Georgian Liberation Committee, Georgian newspaper, separatist group.

**მარიამ მარჯანიშვილი**  
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი*  
*საქართველო, ქუთაისი*

### **გიორგი კერესელიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა**

XX საუკუნის ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოღვაწეობაზე ისტორიული ხასიათის წყაროებიდან ყურადღებას იპყობს პოლიტიკური ემიგრანტის გიორგი კერესელიძის დღემდე უცნობი პირადი წერილები, რომელსაც ავტორი 1956 წლიდან თბილისში უზავნიდა დას – ელენე გლურჯიძეს: „შენი სიტყვები, კვლავ მიბრუნებენ ბავშვობისას განცდილ გრძნობებსა და სურათებს. რამდენი ტკბილი და რამდენი მწარე მოგონებანი აღსდგებიან ხოლმე ჩემ თვალთა წინაშე და ჩემი გულის სიღრმეში. ხო, ჩემო ელენე, 13 აპრილს შესრულდება 51 წელი, რაც მე უცხოეთში დავხეტებოდა ქვეყნიდან ქვეყანაში. მაგრამ განა უკეთესთა უკეთესი ქვეყანა სამშობლოს ადგილს დაიჭერს?!...“

ნახევარ საუკუნეზე მეტი წლების გასვლისა, გიორგი კერესელიძე, როგორც ყველა ემიგრანტი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად მაინც ღრმა ფესვებით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან. ბუნებრივია, რომ მათ ყოფასაც თან სდევდა სევდა, ტკივილი და მონატრება.

ცნობილი დუშეთის საქმის გამო რუსეთის მთავრობა მძებ კერესელიძეებს სდევნიდა. შვეიცარიის მთავრობამ ისინი დააპატიმრა, რომელთა საქმეს სასამართლოზე მოწვეულმა საერთაშორისო სამართლის ბელგიელმა მეცნიერმა ერნესტ ნისსმა შემდეგი მსჯავრი დასდო: „რუსეთი მოტყუებით დადებული და დამტკიცებული 1783 წლის ხელშეკრულების დარღვევით გაბატონდა საქართველოში. მისი ბატონობა უკანონოა და წინააღმდეგობა საერთაშორისო სამართლისა...“

საერთაშორისო სამართლის ძალით განთავისუფლებული მძებ კერესელიძეები ჟენევაში დამკვიდრდნენ და პეტრე სურგულაძესთან ერთად „სეპარატისტთა ჯგუფი“ დაარსეს, რომლის ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ იყო. თანამშრომლებად და ავტორებად ლეო და გიორგი კერესელიძეები, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი და ნესტორ მაღალაშვილი გახლდნენ.



1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მათ სეპარატისტთა ჯგუფი „საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტად“ გადააკეთეს და ბერლინში დაარსებულ „ქართული გაზეთი“ 1917-18 წლებში გიორგი კერესელიძე რედაქტორობდა. 1918-19 წლებში იგი ბერლინში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოში მუშაობდა და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აქტიურ პარტიულ საქმიანობას ჩამოშორებული გიორგი კერესელიძე საბოლოოდ საფრანგეთში დამკვიდრდა და ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა გააგრძელა.

გიორგი კერესელიძის წერილები, როგორც შინაარსით ასევე თავისი უნიკალური დოკუმენტური მასალებით ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ეპისტოლური მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრანტული ლიტერატურა, ეპისტოლური მემკვიდრეობა, საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი, ქართული გაზეთი, სეპარატისტთა ჯგუფი.

**Ivane Mchedeladze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Georgia, Tbilisi*

### **Unknown Translations of Georgian Poetry and Ukrainian Literary Discourse in Emigration: Volodymyr Derzhavin's "Georgian Anthology"**

In the history of Georgian-Ukrainian literary relations, artistic translation and the scientific literature created about it have a special function. The tradition of researching literary relations that was formed during the Soviet period reflected the specificity of the discourse characteristic of that era – **canonicity**. Those authors whose name and oeuvre were recognised, that is, were deemed “canonical”, fell within the research perspective.

For obvious reasons, facts and authors expelled or concealed from the ideologised Soviet literary field remained outside the researchers' interest. Thus, within Georgian literary scholarship in Ukrainistics, the twentieth-century literary process in emigration – the history of literary contacts – has been studied the least. The presentation will be an attempt to fill this lacuna.

“Georgian Anthology” is a provisional designation that denotes the nineteenth- and twentieth-century Georgian poetry translated into Ukrainian by the well-known Ukrainian scholar and translator **Volodymyr Derzhavin**. These unknown materials were scattered across Ukrainian émigré periodicals. Volodymyr Derzhavin's translations of Georgian poetry were printed in the 1940s in London, in the Ukrainian émigré publication **“The Liberation Path.”**

These little-known translations form the primary sources for this research. These materials were collected within the framework of scholarly trips with the assistance and consultation of the Ukrainian Kartvelologist, Prof. Liudmyla Hrytsyk.

This will be the first side-by-side analysis with the originals.

The research will devote special attention to the translator's role, to his cultural competence; to translational transformations and to the strategies for overcoming the barriers between the semiospheres of the “own” and the “foreign/other” culture, and so forth.

The study of these sources is based both on the leading theoretical concepts in translatology and on the latest Ukrainian scientific literature concerning anti-Soviet emigration.

**Keywords:** Emigration, Ukrainian Literature, Georgian poetry, translation, Volodymyr Derzhavin

ივანე მჭედელაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

## ქართული პოეზიის უცნობი თარგმანები და უკრაინული ლიტერატურული პროცესი ემიგრაციაში: ვოლოდიმირ დერჟავინის „ქართული ანთოლოგია“

ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში მხატვრულ თარგმანი და მის შესახებ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ტრადიციაში აირეკლა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი დისკურსის სპეციფიკა – **კანონიკურობა**. კვლევის რაკურსში ექცეოდნენ ის ავტორები, რომელთა სახელი და შემოქმედება აღიარებული იყო, ანუ „კანონიკურად“ მიიჩნეოდა.

გასაგები მიზეზების გამო მკვლევართა ინტერესის მიღმა რჩებოდა საბჭოთა იდეოლოგიზირებული ლიტერატურული ველიდან გამეფებული ან მიჩქმალული ფაქტები, ავტორები. XX საუკუნის ლიტერატურული პროცესი ემიგრაციაში და ამ კონტექსტში ლიტერატურული კონტაქტების მოდელები ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით უკრაინისტიკაში ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია. მოხსენება ამ ლაკუნის შევსების მცდელობა იქნება.

„**ქართული ანთოლოგია**“ პირობითი დეფინიციაა, რომელიც გულისხმობს ცნობილი უკრაინელი მეცნიერისა და მთარგმნელის, **ვოლოდიმირ დერჟავინის**, მიერ უკრაინულად თარგმნილ XIX და XX საუკუნეების ქართული პოეზიას. ეს უცნობი მასალები გაზნეული იყო უკრაინულ ემიგრანტულ პერიოდიკაში. ქართული პოეზიის ვოლოდიმირ დერჟავინის მიერ შესრულებული თარგმანები იბეჭდებოდა 1940-იან წლებში ლონდონში, უკრაინელი ემიგრანტების გამოცემაში „**განმათავისუფლებელი გზა**“.

საკვლევ წყაროებს წარმოადგენს სწორედ ეს უცნობი თარგმანები. აღნიშნული მასალა სამეცნიერო მივლინებების ფარგლებში გროვდებოდა უკრაინელი ქართველოლოგის, პროფ. ლუდმილა ჰრიციკის, დახმარებითა და კონსულტაციებით.

მოხსენებაში პირველად გაანალიზდება თარგმანები დედანთან შეპირისპირების საფუძველზე. კვლევაში საგანგებო ყურადღება დაეთმობა მთარგმნელის ფაქტორს, მის კულტურულ კომპეტენციას; მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების, „საკუთარი“ და „უცხო/სხვა“ კულტურის სემიოსფეროებს შორის წარმოქმნილი ბარიერების დაძლევის სტრატეგიებს და სხვ.

ამ წყაროების შესწავლა ეფუძნება როგორც ტრანსლატოლოგიის წამყვან თეორიულ კონცეფციებს, ისე ანტისაბჭოთა ემიგრაციის შესახებ უახლეს უკრაინულ სამეცნიერო ლიტერატურას.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, უკრაინული ლიტერატურა, ქართული პოეზია, თარგმანი, ვოლოდიმირ დერჟავინი.

**Tatiana Megrelishvili**  
*Georgian Technical University*  
*Georgia, Tbilisi*

## **The Concept of the National in the Artistic Work of the "First Wave"** **Russian Émigrés in Paris**

An overview of the literary landscape from 1920 to 1939 reveals that one of the cornerstones of Russian émigré literature of the “first wave” in Paris was the artistic and intellectual exploration of national self-identification under the unique conditions of émigré existence.

This presentation offers an analysis of the dominant worldview features in the authors’ representations of key images related to national self-identification – images that are characteristic of the entire body of lyrical and prose works produced by Russian émigré authors in Paris.

The study focuses on traditional themes, motifs, and images deeply rooted in Russian literature, particularly those formed during the historical-literary period of the Petersburg Empire (from the 18th century to the early 20th century). It investigates the origins and specific modes of functioning of these elements within a foreign cultural environment and a distinct socio-cultural context.

**ტატიანა მეგრელიშვილი**  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*  
*საქართველო, თბილისი*

## **ნაციონალურის კონცეფცია პარიზში რუსული ემიგრაციის „პირველი ტალღის“ წარმომადგენელთა მხატვრულ შემოქმედებაში**

1920-1930 წწ. ლიტერატურული სიტუაციის მიმოხილვა გვიჩვენებს: პარიზში რუსული ემიგრაციის „პირველი ტალღის“ ლიტერატურაში ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა ეროვნული თვით-იდენტიფიკაციის მხატვრული და ინტელექტუალური გააზრება ემიგრანტული ყოფის განსაკუთრებულ პირობებში. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სამყაროს ეროვნული სურათის თვით-იდენტიფიკაციისთვის საკვანძო სახეთა ასახვის იმ საავტორო მსოფლმხედველობითი დომინანტების თავისებურებათა ანალიზი, რომლებიც ტიპობრივია პარიზში რუსული ემიგრაციის ავტორთა ლირიკისა და პროზის მთელი კორპუსისათვის. ანალიზის საგანს წარმოადგენს რუსული ლიტერატურისთვის ტრადიციული თემები, მოტივები და სახეები, რომლებიც ჩამოყალიბდა პეტერბურგის იმპერიის (XVIII-XX საუკუნის დასაწყისი) ისტორიულ-ლიტერატურულ პერიოდში, მათი ფესვები და ფუნქციონირების თავისებურებანი უცხო კულტურული გარემოსა და განსხვავებული სოციალურ-კულტურული სიტუაციის პირობებში.

**Darejan Menabde**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Publications of Ekvtime Taqaishvili in Georgian Émigré Press**

Great Georgian scholar and public figure Ekvtime Taqaishvili was in France in 1921-1945 together with the members of the government emigrated from Georgia. Upon his arrival in France, in 1922, he was elected a member of the Paris Numismatic Society, and from 1925 – a member of the Paris Asiatic Society. Despite the most important mission which implied protection and preservation of the national treasury, he was constantly engaged in scholarly work, searched for Georgian manuscripts kept in French repositories, tried to obtain from his colleagues living in Georgia scholarly literature and new materials for his works, published articles and research in magazines and newspapers abroad in the Georgian, French and English languages, Ekvtime Taqaishvili's four monographs in the Georgian language (1933-1939) were also published in Paris.

The paper deals with articles of Ekvtime Taqaishvili published in the Georgian language in the émigré press (*Damoukidebeli sakartvelo, Sakartvelo, Kavkasioni, Kartlosi*) on the topics of the history, archeology and literature of Georgia, the advantages and disadvantages of life in emigration, essays and obituaries on Georgian scholars, detailed reports of the Foundation of Georgian Cultural and Archaeological Materials Publishing (which headed in 1937-1939), etc. These publications are noteworthy not only for their scholarly significance, but also from the viewpoint of demonstration of the worldview values, which is one more feature for representation of the civic portrait of this great figure.

**Key words:** Ekvtime Taqaishvili, articles, émigré press.

#### **დარეჯან მენაბდე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში**

დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი 1921-1945 წლებში იმყოფებოდა საფრანგეთში საქართველოდან ემიგრირებული ხელისუფლების წევრებთან ერთად. საფრანგეთში ჩასვლისთანავე, 1922 წელს, ის აირჩიეს პარიზის ნუმისმატთა საზოგადოების წევრად, 1925 წლიდან კი – პარიზის „სააზიო საზოგადოების“ წევრად. მიუხედავად უმნიშვნელოვანესი მისიისა, რაც ეროვნული საგანძურის დაცვასა და შენარჩუნებას გულისხმობდა, იგი გამუდმებით ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას, ეძიებდა საფრანგეთის საცავებში შემონახულ ქართულ ხელნაწერებს, ცდილობდა საქართველოში მცხოვრები კოლეგებისაგან მიეღო სამეცნიერო ლიტერატურა და ახალი მასალები თავისი ნაშრომებისათვის, აქვეყნებდა სტატიებსა და გამოკვლევებს საზღვარგარეთ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, პარიზშივე დაიბეჭდა (1933-1939 წწ.) ექვთიმე თაყაიშვილის ოთხი მონოგრაფია ქართულ ენაზე.

მოხსენებაში წარმოდგენილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ქართულ ემიგრანტულ პრესაში („დამოუკიდებელი საქართველო“, „საქართველო“, „კავკასიონი“, „ქართლოსი“) ქართულ ენაზე

გამოქვეყნებული სტატიები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ლიტერატურის თემებზე, ემიგრაციის ცხოვრების ავ-კარზე, წერილები და ნეკროლოგები ქართველ მეცნიერებზე, „ქართული კულტურული და საარქეოლოგიო მასალების გამოცემის ფონდის“ (ხელმძღვანელობდა 1937-1939 წწ.) დაწვრილებითი ანგარიშები და სხვ. აღნიშნული პუბლიკაციები საყურადღებოა არამართო თავისი სამეცნიერო მნიშვნელობით, არამედ იმ მსოფლმხედველობითი ღირებულებების წარმოჩენის თვალსაზრისითაც, რაც კიდევ ერთი შტრიხია ამ დიდი მოღვაწის მოქალაქეობრივი პორტრეტის შესაქმნელად.

**საკვანძო სიტყვები:** ექვთიმე თაყაიშვილი, სტატიები, ემიგრანტული პრესა.

**Lili Metreveli**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Caucasus International University*

*Georgia, Tbilisi*

### **The Internal Emigration of Female Characters in the Homeland („Home“) and Migration („Outside“) – Perspectives of Two Texts (Tamta Melashvili „Letter to Lia“ and Ninia Sadghobelashvili „Pine Grove“)**

The main character of Tamta Melashvili's story „A Letter to Lia“ is a Georgian housewife who writes a melancholic letter to her friend living abroad, Lia. Ninia Sadghobelashvili's „The Pine Grove“ is a text written from the perspective of a migrant woman, Dali, and her husband's lover living in Georgia, Diana.

All three female characters are alienated from both their environment (society, family members) and themselves. They play lonely, sad characters who have given up their dreams and goals in order to become „servants“ who fulfill strictly defined gender functions (having children, taking care of the family), obedient to social and cultural norms. The absurdity of this unconditional sacrifice is seen in the broken emotional bonds between the women's family members, in their spiritual emptiness, in their constant melancholy mood and in their feeling of infertility. Tamta Melashvili's text, a letter to a long-lost friend, and Ninia Sadghobelashvili's „Pine Grove“ (which recalls Dali's innocent love with Muro during his childhood) should be considered „projections of an alternative reality“ and a kind of metaphor for „a missed life.“

In the texts, the family is perceived not as a structure that promotes women's self-realization and personal development, at the same time as an opportunity to overcome loneliness, receive love, warmth and care, but as an instrument of repression of women's inner freedom and aspirations, which appears only as a brutal means of gaining a solid social status.

Within the framework of the report, we will try to study the named texts from the perspective of feminist criticism. We will observe the causes of internal emigration of female characters in the homeland („home“) and migration („Outside“), we will present a comparative analysis, we will investigate to what extent migration can be an additional factor of women's internal alienation or should we consider it as one of the levers of their discrimination and instrumentalization on the basis of gender.

**Keywords:** Migrant Women, Internal Emigration, Gender

## ლილი მეტრეველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

### ქალი პერსონაჟების შინაგანი ემიგრაცია სამშობლოსა („შინ“) და მიგრაციაში („გარეთ“) – ორი ტექსტის პერსპექტივა (თამთა მელაშვილი „წერილი ლიას“ და ნინია სადღობელაშვილი „ფიჭვის კევი“)

თამთა მელაშვილის მოთხრობის „წერილი ლიას“ მთავარი პერსონაჟი ქართველი დიასახლისია, რომელიც მელანქოლიურ წერილს სწერს უცხოეთში მცხოვრებ მეგობარ – ლიას. ნინია სადღობელაშვილის „ფიჭვის კევი“ კი მიგრანტი ქალის – დალისა და საქართველოში მცხოვრები მისი ქმრის საყვარლის – დიანას – პერსპექტივიდან დაწერილი ტექსტია.

სამივე ქალი პერსონაჟი გაუცხოებულია როგორც გარემოსთან (სოციალური, ოჯახის წევრები), ისე საკუთარ თავთან. ისინი მარტოსულ, სევდიან გმირებს განასახიარებენ, რომლებმაც უარი თქვეს ოცნებებსა და მიზნებზე, რათა მკაცრად განსაზღვრული გენდერული ფუნქციების (შვილების გაჩენა, ოჯახზე ზრუნვა) შემსრულებელ, სოციალური და კულტურული ნორმის მორჩილ „მსახურებად“ ქცეულიყვნენ. ამ უაპელაციო მსხვერპლშეწირვის აბსურდულობა ჩანს ქალების ოჯახის წევრებს შორის დარღვეულ ემოციურ კავშირებში, მათ სულიერ სიცარიელეში, მუდმივ მელანქოლიურ განწყობილებასა და უნაყოფობის განცდაში. თამთა მელაშვილის ტექსტში დიდი ხნის უნახავ მეგობართან მიწერილი წერილი, ხოლო ნინია სადღობელაშვილის „ფიჭვის კევი“ (რომელიც დალის ბავშვობის პერიოდში მუროსთან უმანკო სიყვარულს ახსენებს) „ალტერნატიული რეალობის პროექციებად“ და „გამოტოვებული ცხოვრების“ ერთგვარ მეტაფორებად უნდა მივიჩნიოთ.

ოჯახი ტექსტებში აღიქმება არა ქალის თვითრეალიზაციისა და პიროვნული განვითარების ხელშემწყობ სტრუქტურად, ამავე დროს მარტოობის დამღევის, სიყვარულის, სიბოძისა და ზრუნვის მიღების შესაძლებლობად, არამედ – ქალების შინაგანი თავისუფლების, მათი მისწრაფებების რეპრესირების ინსტრუმენტად, რომელიც მხოლოდ მყარი სოციალური სტატუსის მოპოვების ბრუტალურ საშუალებად გვევლინება.

მოხსენების ფარგლებში შევეცდებით ფემინისტური კრიტიკის პერსპექტივიდან შევისწავლოთ დასახელებული ტექსტები. დავაკვირდებით ქალი პერსონაჟების შინაგანი ემიგრაციის გამოწვევ მიზეზებს სამშობლოსა („შინ“) და მიგრაციაში („გარეთ“), წარმოვადგენთ შედარებით ანალიზს, გამოვიკვლიოთ, რამდენად შეიძლება მიგრაცია აღმოჩნდეს ქალების შინაგანი გაუცხოების დამატებითი ფაქტორი თუ ის გენდერული ნიშნით მათი დისკრიმინაციისა და ინსტრუმენტალიზაციის ერთ-ერთ ბერკეტად უნდა მივიჩნიოთ.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრანტი ქალები, შინაგანი ემიგრაცია, გენდერი

**Irine Modebadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Grigol Robakidze's essay «Мережковский» ("Merezhkovsky"), 1909**

In 1923 in his letter "Pro domo sua", Grigol Robakidze noted the great importance of symbolism for his work of the 1910s-20s; while in a letter to Stefan Zweig (September 9, 1927) he wrote: "My aesthetic line was (and remains): Charles Baudelaire, Arthur Rimbaud, Paul Claudel, Rainer Maria Rilke, Stefan Zweig, Dostoevsky, Nietzsche, Rozanov, Merezhkovsky, V. Ivanov, A. Blok, Andrei Bely". Today, the focus of our attention is on Robakidze's opinion of the philosophical-aesthetic concept of Dmitry Merezhkovsky.

Robakidze met D. Merezhkovsky and Z. Gippius in early 1907 and soon (within two years) published an critical letter-essay "Merezhkovsky", which was printed (in Russian) in two issues of the newspaper „Закавказье“ ("Zakavkaz'ye") in 1909 (№ 65, April 25 and № 66, April 26). The letter is dedicated to Merezhkovsky's trilogy "Christ and the Antichrist," but for Robakidze these texts became an excuse to talk about Merezhkovsky's symbolic vision of history and the probable future of humanity.

The essay consists of five parts, each of which reflects Robakidze's point of view on various aspects of Merezhkovsky's philosophical-aesthetic principles. The first part discusses the scheme of artistic symbols of the trilogy; the second discusses the "mysticism" of the trilogy's artistic style against the backdrop of Henrik Ibsen's drama "Caesar and the Galilean"; the third part discusses the symbolic perception of history and the "sense of infinity"; the fourth part substantiates Merezhkov's vision of the crisis of consciousness and spiritual duality; and the fifth part discusses the prophetic talent of the Russian thinker.

#### **ირინე მოდებაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **გრიგოლ რობაქიძის ესე «Мережковский», 1909**

1923 წელს წერილში „Pro domo sua“ გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიმბოლიზმს მისი 1910-20-იანი წლების შემოქმედებისათვის; ხოლო 1927 წლის 9 სექტემბერს სტეფან ცვაიგისათვის მიწერილ წერილში წერდა: „ჩემი ესთეტიკური ხაზი იყო (და რჩება): შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, პოლ კლოდელი, რაინერ მარია რილკე, სტეფან ცვაიგი, დოსტოევსკი, ნიცშე, როზანოვი, მერეჟკოვსკი, ვ. ივანოვი, ალ. ბლოკი, ანდრეი ბელი“.

ბოლო წლებში საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში შეინიშნება გრიგოლ რობაქიძის, ვიაჩესლავ ივანოვისა და დიმიტრი მერეჟკოვსკის ურთიერთობისადმი ინტერესის ზრდა, მაგრამ მათი მსოფლმხედველობის თანხედრის/სხვაობისა და მხატვრულ შემოქმედებაში არსებული/არარსებული პარალელების საკითხი ჯერ შეუსწავლელად რჩება. დღეს ჩვენი ყურადღების ცენტრშია რობაქიძესული შეხედულება დიმიტრი მერეჟკოვსკის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ კონცეპციაზე.

რობაქიძემ 1907 წლის დასაწყისში გაიცნო დ. მერეჟკოვსკი და ზ. გიპიუსი და მალევე (ორ წელიწადში) გამოაქვეყნა ვრცელი კრიტიკული წერილი-ესე «Мережковский», რომელიც დაიბეჭდა (რუსულ ენაზე) 1909 წელს გაზეთ „Закавказье“ - ს ორ ნომერში (№ 65, 25 აპრილი და № 66, 26 აპრილი). წერილი ეძღვნება მერეჟკოვსკის ტრილოგიას „ქრისტე და ანტიქრისტე“, მაგრამ რობაქი-

მისათვის ეს ტექსტები იქცა ისტორიის მერეჟოვსკისეული სიმბოლური ხედვისა და კაცობრიობის სავარაუდო მომავალზე საუბრის საბაზად.

ესე შედგება ხუთი ნაწილისაგან, რომელთაგან თითოეული ასახავს რობაქიძისეულ თვალსაზრისს მერეჟოვსკის შემოქმედებითი და ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრინციპების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. პირველ ნაწილში განიხილება ტრილოგიის მხატვრული სიმბოლოების სქემა; მეორეში „ნორვეგიულ შექსპირად“ წოდებული ჰენრიკ იბსენის დრამის „კეისარი და გალილეელი“ ფონზე განიხილება ტრილოგიის მხატვრულობის „მისტიციზმი“; მესამეში - ისტორიის სიმბოლური აღქმა და „უსასრულობის შეგრძნება“; მეოთხე ნაწილში დასაბუთებულია ცნობიერების კრიზისისა და სულიერი გაორების მერეჟოვსკისეული ხედვა; ხოლო მეხუთე ნაწილში საუბარია რუსი მოაზროვნის წინასწარმეტყველურ ნიჭზე.

წერილის ტექსტიდან ნათლად ვლინდება რობაქიძისეული შეფასებების თავისებურებანი. მოხსენებაში ვეცდებით განვიხილოთ მერეჟოვსკის ტრილოგიის რობაქიძისეული ხედვა ზოგადლიტერატურათმცოდნეობით კონტექსტში.

**Tinatin Moseshvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **The Novel ‘A Hand Full of Stars’ by Syrian-German Author Rafik Schami as an Anti-Authoritarian Text**

The novel *A Hand Full of Stars* (*Eine Hand voller Sterne*, 1987) by Rafik Schami, a Syrian-born author who later emigrated to Germany, is set in Damascus in 1968. Written in the form of a diary, the novel conveys the everyday life, inner world, experiences, and challenges of an adolescent living under an authoritarian regime, while simultaneously depicting the formation of personal identity in such a context.

This paper will examine the novel as a transcultural text that integrates Eastern traditions and Western values, illustrating a dialogue between diverse cultural spheres. This intercultural depth is precisely what underpins the text’s relevance and significance in the contemporary multicultural context.

The paper will devote particular attention to the young protagonist’s aspiration for freedom and justice, as well as his protest and resistance against censorship and authoritarian rule. In this struggle, the diary becomes his primary tool. It functions not only as a means of self-expression but also as a symbol of both political and internal resistance. In a country plagued by censorship, where expressing one’s thoughts is dangerous, the diary emerges as the sole space for free expression. In the novel, writing becomes a weapon through which the young individual confronts a repressive system.

**Keywords:** Rafik Schami, authoritarian regime, transcultural, diary, resistance.



თინათინ მოსეშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

### სირიელ-გერმანელი ავტორის რაფიკ შამის რომანი „ერთი მუჰა ვარსკვლავები“ როგორც ანტი-ავტორიტარული ტექსტი

სირიაში დაბადებული და გერმანიაში ემიგრირებული ავტორის, რაფიკ შამის რომანის *ერთი მუჰა ვარსკვლავები* (*Eine Hand voller Sterne*, 1987) მოქმედება ვითარდება 1968 წლის დამასკოში. რომანი დაწერილია დღიურის ფორმით, რომელიც გადმოსცემს ავტორიტარულ რეჟიმში მცხოვრები მოზარდის ყოველდღიურობას, მის შინაგან სამყაროს, გამოცდილებებსა თუ გამოწვევებს და ამის ფონზე, პიროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პროცესს.

მოხსენებაში რომანი განხილული იქნება როგორც ტრანსკულტურული ტექსტი, რომელიც აერთიანებს აღმოსავლურ ტრადიციებსა და დასავლურ ღირებულებებს და წარმოაჩენს დიალოგს სხვადასხვა კულტურულ სივრცეს შორის. სწორედ აღნიშნული ინტერკულტურული სიღრმე განაპირობებს ტექსტის რელევანტურობასა და აქტუალობას თანამედროვე მულტიკულტურულ კონტექსტში.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდა პროტაგონისტის სწრაფვას თავისუფლებისა და სამართლიანობისკენ, აგრეთვე, მის პროტესტსა და ბრძოლას ცენზურისა და ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კი დღიური მისი ძირითადი იარაღია. დღიური არის არა მხოლოდ თვითგამოხატვის ფორმა, არამედ პოლიტიკური და შინაგანი წინააღმდეგობის სიმბოლო. ქვეყანაში, სადაც ცენზურა მძვინვარებს და გამოთქმული აზრი შეიძლება საფრთხის მომტანი იყოს, დღიური ხდება თავისუფალი აზრის ერთადერთი სივრცე. რომანში წერა ხდება იარაღი, რომლითაც ახალგაზრდა ადამიანი უპირისპირდება რეპრესიულ სისტემას.

**საკვანძო სიტყვები:** რაფიკ შამი, ავტორიტარული რეჟიმი, ტრანსკულტურული, დღიური, წინააღმდეგობა

**Fidana Musayeva**

*Moscow State University, Baku branch  
Baku Slavic University  
Azerbaijan, Baku*

### Visions of a Lost Homeland: Azerbaijani Immigration Writing in French and German after Empire

This research compares the writings of two Azerbaijani émigré authors, Ümmülbanu Banin (1905–1992) and Kurban Said (1905–1942), who fled their homeland after the collapse of the Russian Empire and the Azerbaijan Democratic Republic. Writing from exile in France and Austria, they used autobiography and fiction infused with nostalgia to reconstruct Baku and Azerbaijani society during a time of upheaval. Banin's French-language memoirs and Kurban Said's German-language works, most notably *Ali and Nino*, present distinct yet overlapping visions of the same historical events. By placing these authors side by side, the study highlights how emigration shapes literary memory, producing both convergences and divergences in narrative. It argues that Banin and Kurban Said offer testimonies of Azerbaijan's turbulent early

twentieth century, showing how displaced writers use literature to preserve identity, interpret history, and negotiate belonging across languages and cultures. Banin's voice is personal, aristocratic, female, rooted in memoir and sensory memory, while Kurban Said's voice is fictionalized romance, male perspective, national identity prism. Both framed Azerbaijan through nostalgia in emigration.

**Keywords:** emigration, Soviet Empire, Azerbaijan Democratic Republic, Baku, history

**Maryam Najafibabanazar**

*Haliç University*

*American Culture and Literature Department*

*Turkey, Istanbul*

### **Mapping Displacement: Emigration, Exile, and the Immigrant Consciousness in James Joyce's Literature**

This research will contribute to the understanding of Joyce not only as a modernist innovator but also as a diasporic voice who constructs a literature of exile. It challenges the national literary canon by repositioning Joyce within the transnational framework of migration, memory, and dislocation. This research explores how emigration, exile, and immigration emerge as central themes in his writings, reflecting not only Joyce's own life abroad but also the broader experience of Irish displacement during the late 19th and early 20th centuries. This research explores the interrelated themes of emigration, exile, and immigration in the literature of James Joyce, focusing particularly on how these forms of displacement shape identity, language, and narrative structure. The study also considers Joyce's protagonists as liminal figures who negotiate a hybrid existence between homeland and foreign space – between rootedness and cosmopolitanism. The focus will be on Joyce's short story collection *Dubliners* with references to *Ulysses* and *A Portrait of the Artist as a Young Man*. In *Dubliners*, Joyce presents a city locked in spiritual and political paralysis. Stories such as "Eveline" and "A Little Cloud" contrast the dream of emigration with the grim realities of domestic stagnation.

**Keywords:** James Joyce, Exile, Immigration, *Dubliners*, Displacement, Psycho-geography and liminality

**Nino Naskidashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Georgia, Tbilisi*

### **Fragments from the History of Ukrainian Literature in Emigration – Yurii Lavrinenko's "The Executed Renaissance"**

The Anthology of Ukrainian Literature from 1917 to 1933 – Yurii Lavrinenko's *The Executed Renaissance* – was published in 1959 in the Paris-based "Kultura" Library through the initiative and funding of Jerzy Giedroyc. The very metaphor "Executed Renaissance" was coined by Giedroyc himself, who first mentioned it in a letter to Lavrinenko and proposed it as the title for the anthology of Ukrainian literature, which Lavrinenko compiled at Giedroyc's request. To this day, the anthology remains one of the most significant sources for the study of Ukrainian literary history of that era.

Yurii Lavrinenko's intellectual legacy encompasses more than 300 scholarly and journalistic works. The culmination of his career was the anthology *The Executed Renaissance*, the publication of which unveiled the concealed "literary crime" that claimed the lives of the majority of Ukrainian Soviet writers during the 1930s. This period is now regarded as both a tragic and intellectually significant chapter in the history of Ukrainian literature. The rehabilitation of writers labeled as "terrorists" in the 1950s and the subsequent publication of their "selected works" did little to challenge the official Soviet narrative. Only the release of the 1959 Paris anthology – featuring the writings of executed, "re-educated," and forcibly disappeared Ukrainian authors – exposed the real cause of their persecution under Stalin's regime.

Lavrinenko's concept of the "executed writers" does not refer exclusively to those who were physically eliminated. The anthology also includes works by authors who partially survived the repressions but whose literary output was forced into the mold of party-glorifying verse. The anthology stands as a collection of the finest literary works from that era, reflecting the authors' unwavering commitment to dignity and artistic integrity – values that arguably led to their physical and spiritual eradication by the totalitarian regime. This émigré anthology of Ukrainian literature played a crucial role in preserving and restoring national literary memory.

**Keywords:** Yurii Lavrinenko, Ukrainian literature, émigré literature, anthology.

## ნინო ნასყიდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

### ფრაგმენტები უკრაინული ლიტერატურის ისტორიიდან ემიგრაციაში – იური ლავრინენკოს „დაცხრილული აღორძინება“

1917-1933 წლების უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგია – იური ლავრინენკოს „დაცხრილული აღორძინება“ იეჟი გიედროიცის ინიციატივითა და ხარჯებით გამოიცა პარიზის „კულტურის“ ბიბლიოთეკაში 1959 წელს. თავად მეტაფორა „დაცხრილული აღორძინება“ იეჟი გიედროიცის ეკუთვნის, რომელმაც იური ლავრინენკოსადმი მიწერილ წერილში ახსენა პირველად და უკრაინული ლიტერატურის ანთოლოგიის სათაურად შესთავაზა, რომელიც ლავრინენკომ გიედროიცის თხოვნით მოამზადა და დღემდე რჩება იმ პერიოდის უკრაინული ლიტერატურის ისტორიის უმნიშვნელოვანეს წყაროდ.

ლავრინენკოს შემოქმედებითი მემკვიდრეობა 300-ზე მეტ სამეცნიერო და პუბლიცისტურ ნაშრომს მოიცავს. მისი შემოქმედების კულმინაცია იყო ანთოლოგია „დაცხრილული აღორძინება“, რომლის გამოცემამ ფარდა ახადა „ლიტერატურული დანაშაულის“ საიდუმლოს, რომელმაც 1930-იანი წლების უკრაინელი საბჭოთა მწერლების უდიდესი ნაწილი შეეწირა. აღნიშნული პერიოდი უკრაინულ ლიტერატურაში მოიაზრება ტრაგიკულ და ამავდროულად ძალიან საინტერესო პერიოდად. „ტერორისტებად“ წოდებული მწერლების 1950-იანი წლების რეაბილიტაციამ და მათი „რჩეული ნაწარმოებების“ გამოქვეყნებამ თითქმის არაფერი შეცვალა, მხოლოდ 1959 წელს, პარიზში გამოცემულმა დახვერტილთა, „ხელახლა აღზრდილთა“ და უგზო-უკვლოდ დაკარგული უკრაინელი მწერლების ნაწარმოებების ანთოლოგიამ გაამჟღავნა მათი მთავარი დანაშაული სტალინური რეჟიმის წინაშე.

„დაცხრილულ მწერლებში“ იური ლავრინენკო არ გულისხმობს მხოლოდ ფიზიკურად განადგურებულ უკრაინელ პოეტებსა და მწერლებს, ანთოლოგიაში ისეთი მწერლების ნაწარმოებებიც შევიდა, რომლებიც რეპრესიებს ნაწილობრივ გადაურჩნენ, თუმცა მათი შემოქმედება პარტიის სახობტო პოეზიად გადაიქცა. ეს წიგნი იმ ეპოქის საუკეთესო ნამუშევრების კრებულია, რომელიც

მწერლების პატივისა და ღირსების შენარჩუნების სურვილს ასახავს, რაც, სავარაუდოდ, რეჟიმის მიერ მათი ფიზიკური და სულიერი ლიკვიდაციის მთავარი მიზეზი გახდა. უკრაინული ლიტერატურის ემიგრაციულმა ანთოლოგიამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ეროვნული ლიტერატურული მემკვიდრეების შენარჩუნებასა და აღდგენაში.

**საკვანძო სიტყვები:** იური ლავრინენკო, უკრაინული ლიტერატურა, ემიგრაცია, ანთოლოგია.

**Irina Natsvlishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **“Nation and History” in Another Context**

**(Alexander Manvelishvili’s “La Formation De La Nation Géorgienne”**

**[National Formation of Georgians])**

The definition of the concept *nation* as a unity that has emerged on ethnic or state grounds, appeared rather late in the history of civilization, and was likewise entered in dictionaries at the end of the 19<sup>th</sup> century. However, this does not exclude the existence of nations much earlier than this period, although the majority of theories attribute the formation of nations to the powerful political and cultural evolution in the mid-19<sup>th</sup> century. Against the background of these factors, and considering the non-existence of universally accepted scientific definition of *nation* up to present day, the literary work published in Paris in 1955, “National Formation of Georgians” by the Georgian emigrant of the soviet period, Alexander Manvelishvili, is extremely interesting.

In the first part of the book, the author provides an extended discussion of the genesis and major features of *nation* as a phenomenon, based on the European knowledge and methodology of that time, by means of which, according to the author, the primary goal of the work is attained. This goal involves the in-depth analysis of the path that Georgians went through to form themselves as a nation in a wide historical context and the establishment of the timespan of the final formation of Georgians as a nation. In this respect, the fact noted by the author himself that “nobody has approached the issue of the formation of Georgians seriously”, adds special significance to Al. Manvelishvili’s research. The weighty statements put forward in Al. Manvelishvili’s work, that present counter-arguments to the Marxist-socialist theory of the formation of the Georgian nation, which had been championed by N. Zhordania and other Georgian socialists, add further value to the work. This theory is to a certain extent reverberated in a number of modern opinions about the Georgian nation. Therefore, Al. Manvelishvili’s “National Formation of Georgians” is still topical in present time.

Al. Manvelishvili focuses on a number of important social, political, cultural and psychological factors of the “nationhood” of Georgians. Based on historical sources, the author claims that “the national formation” of Georgians was a lengthy process, the first stage of which was accomplished by the creation of the common language. The powerful movement of the nation-formation became widely spread in the 8<sup>th</sup>-10<sup>th</sup> centuries, and was completed in the 11<sup>th</sup> century. This was such a deeply thought-through and well-realized conscious action that neither the falling apart of the country, nor its annexation or occupation in the following centuries managed to distort it.

**Key words:** nation, formation, factors, Georgian, history.

## **ირინა ნაცვლიშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი*

### **„ერი და ისტორია“ სხვა კონტექსტში**

**(ალექსანდრე მანველიშვილის „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია“)**

ერის, როგორც ეთნიკურ თუ სახელმწიფოებრივ წარმოშობილი ერთობის, ცნების დეფინიცია ცივილიზებული საზოგადოების ისტორიაში საკმაოდ გვიანდელი მოვლენაა და ლექსიკონებშიც ის მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოდან ჩნდება; თუმცა ეს არ უარყოფს ერების ამ დრომდე გაცილებით ადრე არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ თეორიათა უმრავლესობა მათ ჩამოყალიბებას სწორედ XIX საუკუნის შუა წლების მძლავრ პოლიტიკურ და კულტურულ ევოლუციას უკავშირებს. ამ ფონზე და იმის გათვალისწინებით, რომ დღემდე არ არსებობს ერის საყოველთაოდ გაზიარებული მეცნიერული განმარტება, უადრესად საინტერესოა საბჭოთა ეპოქის ქართველი ემიგრანტის, ალექსანდრე მანველიშვილის, პარიზში გამოცემული (1955 წ.) ნაშრომი „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია“.

წიგნის პირველ ნაწილში ავტორი, იმდროინდელი ევროპული ცოდნისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე, ვრცლად მსჯელობს ერის, როგორც ფენომენის, გენეზისსა და მის მთავარ თვისებებზე, რაც, მისივე თქმით, უპირველეს ყოვლისა, არის საშუალება ნაშრომის ძირითადი მიზნის მისაღწევად – ფართო ისტორიულ კონტექსტში ქართველთა ერად შედგომის გზის გასააზრებლად და საბოლოო ჩამოყალიბების ეპოქის დასადგენად. ამ თვალსაზრისით, ალ. მანველიშვილის კვლევას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ის ფაქტიც, რომ, როგორც აღნიშნავს, „ქართველი ერის ფორმაციის საკითხს სერიოზულად არავინ შეხებია“. ალ. მანველიშვილის ნაშრომის მნიშვნელობას განაპირობებს ისიც, რომ მასში წარმოდგენილია წონადი არგუმენტები ქართველი ერის ჩამოყალიბების მარქსისტულ-სოციალისტური თეორიის წინააღმდეგ, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში ავითარებდნენ ნ. ჟორდანია და სხვა ქართველი სოციალისტები. ამ თეორიის გამომდინარე, გარკვეულწილად, ისახება ქართველი ერის შესახებ რიგ თანამედროვე მოსაზრებებშიც; ამდენად, ალ. მანველიშვილის „ქართული მოდგმის ეროვნული ფორმაცია“ ამ მხრივაც აქტუალურია ჩვენს დროში.

ალ. მანველიშვილი ყურადღებას ამახვილებს ქართველთა „ერობის“ არაერთ მნიშვნელოვან სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და ფსიქოლოგიურ ფაქტორზე. მკვლევარი ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ცხადყოფს, რომ ქართველი ხალხის „ეროვნული ფორმაცია“ ხანგრძლივი პროცესი იყო, რომლის პირველი ეტაპი საერთო ენის შექმნით დასრულდა, ერად ჩამოყალიბების მძლავრი მოძრაობა VIII-X საუკუნეებში გაიშალა, საბოლოოდ კი XI საუკუნეში გაფორმდა. ეს იმდენად გაცნობიერებული და შემდგარი აქტი იყო, რომ შემდგომ საუკუნეებში ვერ დაარღვია ვერც ქვეყნის დაშლამ, ვერც ანექსიამ თუ ოკუპაციამ.

**საკვანძო სიტყვები:** ერი, ფორმაცია, ფაქტორები. ქართველი, ისტორია.

**Ada Nemsadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Emigration as a Defining Factor of a Person's Ethnic and Cultural Identity**

Being born abroad, the progenies of the 1920s Georgian emigrants had to face a bitter lot, since they were brought up under the circumstances of insurmountable alienation from their native-land, language and culture. This fact brought about a number of social crises. The family of Tite Margvelashvili, a famous emigrant and the head of Georgian community, can serve as an example of this situation.

Overcoming an alienation from his native land became the life-long problem of a famous philosopher and German-medium writer Givi Margvelashvili [Givi Margwelaschwili]. He wrote about this already in his autobiographical novel "Captain Vakush" [Kapitän Wakusch], in which the native country of the main character's (whose prototype is, obviously, the author himself) parents is a totally alien, strange, and non-personal space.

Later on, in the 1980s-1990s, Givi Margvelashvili wrote documentary prose, which he titled "Perekatasroika (Notes of a Witness of Time, 1988-1993)", in which he narrated the events of the collapse of the Soviet Union and return to Europe. The paper analyzes the main foci of this documentary text; the social, political and literary views of the writer; the experience that he gained from being forcefully brought back to the native land, and thereafter, from returning back to his "real native country", Germany. The paper singles out the causes of ethnic and cultural identity crises among the generation born and brought up in emigration, that modern scientists call the hyphenated identity.

**Keywords:** Givi Margvelashvili, "Perekatasroika", emigration, ethnic identity, crisis.

**ადა ნემსაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **ემიგრაცია – პიროვნების ეთნიკური და კულტურული იდენტობის განმსაზღვრელი ფაქტორი**

20-იანი წლების ქართველ ემიგრანტთა უცხოეთში დაბადებულ შვილებს მძიმე განსაცდელი ხვდათ წილად, რადგან ისინი სამშობლოს, ენის და კულტურისადმი დაუძლეველი გაუცხოების პირობებში გაიზარდნენ, რამაც სოციალური იდენტობის მთელი რიგი კრიზისები გამოიწვია. ამის მაგალითია ცნობილი ემიგრანტის, ქართველთა სათვისტომოს მეთაურის, ტიტე მარგველაშვილის ოჯახი.

ცნობილი ფილოსოფოსისა და გერმანულენოვანი მწერლის გივი მარგველაშვილისთვის სამშობლოსთან გაუცხოების დაძლევა მთელი ცხოვრების პრობლემად იქცა. ამაზე ჯერ კიდევ ავტობიოგრაფიულ რომანში „კაპიტანი ვაკუში“ წერს – მთავარი პერსონაჟისთვის (რომლის პროტოტიპი, ცხადია, ავტორია) სრულიად უცხო, არასაკუთარი სივრცეა დედ-მამის სამშობლო.

უკვე მოგვიანებით, 80-90-იან წლებში გივი მარგველაშვილი წერს დოკუმენტურ პროზას, რომელსაც „პერეკატასტროიკა (დროის მოწმის ჩანაწერები. 1988-1993)“ უწოდა და რომელშიც საბჭოთა სახელმწიფოს ნგრევისა და ევროპაში დაბრუნების ამბები გადმოსცა. მოხსენებაში გაანალი-

ზებულება ამ დოკუმენტური ტექსტის ძირითადი აქცენტები, მწერლის სოციალური, პოლიტიკური და ლიტერატურული შეხედულებები, ის გამოცდილება, რაც მიიღო ჯერ სამშობლოში იძულებით ჩამოყვანილმა, შემდეგ კი „ნამდვილ სამშობლოში“, გერმანიაში დაბრუნებულმა; გამოკვეთილია ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ემიგრაციაში დაბადებულ და გაზრდილ თაობაში ეთნიკური და კულტურული იდენტობის კრიზისი და რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში დეფისის იდენტობას უწოდებენ.

**საკვანძო სიტყვები:** გივი მარგველაშვილი, „პერეკატასტროფა“, ემიგრაცია, ეთნიკური იდენტობა, კრიზისი.

**Avtandil Nikoleishvili**

*Akaki Tsereteli State University*

*Georgia, Kutaisi*

### **Grigol Robakidze on Russian-Georgian relations**

Grigol Robakidze (1880-1962) made a particularly significant contribution to the expression of his standpoint on the assessment and evaluation of the problems related to the relations between Russia and Georgia in two main directions: on the one hand, he critically presented the imperialist policy pursued by the Russian authorities towards Georgia and its negative consequences; On the other hand, he uncompromisingly exposed the russifying governance policy of the rulers of the Russian Empire aimed at destroying the national individuality of the Georgian nation and all non-Russian ethnic groups within its state. However, along with all of the above, it should also be noted that despite the aforementioned circumstances, Grigol Robakidze did not have an unequivocally negative attitude towards Russia. In particular, in addition to the fact that he was fascinated by the creative ideas of a number of Russian writers and thinkers, he had close personal relationships and contacts with the representatives of this nationality. Therefore, it would not be an exaggeration to say that Grigol Robakidze's attitude towards Russia is somewhat ambiguous and somewhat contradictory. In particular, on the one hand, if throughout his life he disapproved the colonial policy pursued by the Russian authorities towards Georgia, on the other hand, he expressed deep respect for the progressive thinking of individual representatives of Russian writers and thinkers from various fields. Grigol Robakidze's critical attitude towards Russia, as an aggressor state of Georgia, was most evident in the letters written during the restoration of Georgia's state independence. As for his later works, in his artistic and journalistic texts created at that time, the subject of the author's criticism was more the exposure of the negative sides of the Soviet system of government than the discriminatory national policy pursued by the leaders of the said system.

**Keywords:** Grigol Robakidze, Georgia, Russia, independence, revolution.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, ქუთაისი

## გრიგოლ რობაქიძე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ

1. როგორც გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევებიდან თვალნათლივ ჩანს, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ პრობლემათა განსჯა და შეფასება მისი შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხებისადმი გამოვლენილ ინტერესს მისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე ჰქონდა შეძენილი საკმაოდ დიდი მასშტაბები.

2. ხსენებული პრობლემის ავტორისეული გააზრება პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: რუსეთის ხელისუფლების მესვეურთა კოლონიური პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის გამტარებელების მიმართ გამოხატულ მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებად და პროგრესულად მოაზროვნე რუს მწერალთა და სწავლულთა თანამოაზრეობითა და მათ ცალკეულ წარმომადგენლებთან ახლო პიროვნული ურთიერთობათა წარმომჩენ ტექსტებად.

3. რუსეთთან დაკავშირებული მისეული დამოკიდებულების გამოხატვას გრიგოლ რობაქიძემ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები პირველ ყოვლისა იმით შესძინა, რომ კრიტიკული თვალთახედვით წარმოაჩინა რუს ხელისუფალთა მმართველობითი პოლიტიკა, რომლის უმთავრესი მიზანიც იყო ქართველი ხალხისა და მათ სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში მცხოვრები სხვა არარუსი მოსახლეობის ეროვნული თვითმყოფადობის დათრგუნვა და რუსიფიკაცია. თუმცა, ამისდა მიუხედავად, რუსეთთან მას მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება მაინც არ ჰქონია. კერძოდ, გარდა იმისა, რომ იგი რუს მწერალთა არაერთი წარმომადგენლის შემოქმედებით იყო მოხიბლული, მათ ცალკეულ წარმომადგენლებთან ის ახლო პიროვნული ურთიერთობებითაც იყო დაკავშირებული. ასე რომ, რუსეთისადმი გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება რამდენადმე გაორებული მოვლენადაც კი შეიძლება იქნეს შეფასებული.

4. რუსეთისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის აგრესორი სახელმწიფოსადმი, მისი კრიტიკულოპოზიციური დამოკიდებულება ყველაზე მეტად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში დაწერილ პუბლიცისტურ წერილებში გამოვლინდა. რაც შეეხება შემდგომი დროის შემოქმედებას, გრიგოლ რობაქიძის მიერ იმხანად შექმნილ მხატვრულ და პუბლიცისტურ ტექსტებში მწერლისეული კრიტიკის უმთავრეს საგნად პირველ ყოვლისა საბჭოთა მმართველობითი სისტემის ნეგატიურ მხარეთა მხილება და ოპოზიციური თვალთახედვით წარმოჩენა იყო ქცეული.

*საკვანძო სიტყვები:* გრიგოლ რობაქიძე, საქართველო, რუსეთი, დამოუკიდებლობა, რევოლუცია.

Khatuna Nishnianidze

Tbilisi Theological Academy and Seminary

Georgia, Tbilisi

## For the Understanding of the Stranger and Strangeness in Georgian Hagiography

The unknown, as a universal experience of human existence, is understood differently in different eras (ancient, medieval, modern), cultures (Western/Eastern) and religions (Judaism, Christianity, Islam). Based on the texts of the Old and New Testaments and their exegesis, we will outline the biblical concepts of the unknown, and identify and study examples of how its conveyed in Georgian hagiographic writing.



We will discuss the issue both from the perspective of the religious-faith worldview and artistic-aesthetic nature of the Middle Ages, and from the perspective of modern philological approaches, within the national and general literary context. This will allow us to adequately classify the images, plots, themes and motifs of the unknown, comprehensive analysis from a worldview-faith, artistic-aesthetic and lexical terminological point of view.

Based on the biblical narrative and its exegesis, we will study examples of the spiritual and physical foreignness of heroes of hagiography, their internal and external unfamiliarity, and we will show why the hero's internal unfamiliarity becomes the basis for external emigration. We will discuss the motives and effects of poverty and exile, voluntary or forced relocation, temporary or permanent departure from their homeland, and biblical paradigms.

We will determine why the physically and geographically foreign becomes spiritually close and vice versa. We will discuss the positive and negative attitudes towards the foreign/unknown in hagiographic texts ("The Life of Hilarion the Georgian", "The Life of John and Euthymius", "The Life of George the Mountaineer", etc.) and the ambivalent content of the aforementioned concept. Based on the material above, it is clear that the foreign/unknown, on one hand, is accompanied by sadness, a feeling of alienation and insecurity, an identity crisis, on the other hand, unknown is understood as a development perspective, since leaving, one's native land, according to the biblical worldview, is a metaphor for survival, searching for and finding the meaning of life, preserving one's own identity and cultural values. In this paper, we will determine how the Holy Fathers working in a foreign land will be able to preserve and reconstruct national identity and create "material and immaterial places of memory"; fulfill a national and universal mission.

**Keywords:** stranger/strangeness; Bible; hagiography; identity; place of memory.

#### **ხათუნა ნიშნიანიძე**

*თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია*

*საქართველო, თბილისი*

### **უცხოა და უცხოობის გაგებისათვის ქართულ ჰაგიოგრაფიაში**

უცხოობა, როგორც ადამიანური არსებობის უნივერსალური გამოცდილება, განსხვავებულადაა გააზრებული სხვადასხვა ეპოქაში (ანტიკური, შუა საუკუნეები, თანამედროვეობა), კულტურასა (დასავლური/აღმოსავლური) და რელიგიაში (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი). ჩვენ ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებისა და მათი ეგზეგეზის საფუძველზე გამოვკვეთთ უცხო/უცხოობის, მწირობა/ლტოლვილობის ბიბლიურ კონცეპტს, გამოვავლენთ და შევისწავლით მათი გადაცმ-ტრანსფორმაციის მაგალითებს ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში. საკითხს განვიხილავთ როგორც შუა საუკუნეების რელიგიურ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობისა და მხატვრულ-ესთეტიკური ბუნების გათვალისწინებით, ისე თანამედროვე ფილოლოგიური მიდგომების ჭრილში, ეროვნული და ზოგადლიტერატურული კონტექსტის ფარგლებში. ეს კი საშუალებას მოგვცემს უცხოობა/უსამშობლობის, მწირობა-დევილობის სახე-ხატების, სიუჟეტების, თემებისა და მოტივების ადეკვატური კლასიფიკაციისა და მათი მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი, მხატვრულ-ესთეტიკური და ლექსიკურ-ტერმინოლოგიური თვალსაზრისით სრულყოფილი ანალიზისა.

ბიბლიური მონათხრობისა და მისი ეგზეგეზის საფუძველზე შევისწავლით ჰაგიოგრაფიის გმირის სულიერი და ფიზიკური უცხოობის, მისი შინაგანი და გარეგანი ემიგრაციის მაგალითებს, წარმოვაჩენთ, თუ რატომ ხდება გმირის შინაგანი ემიგრაცია გარეგანი ემიგრაციის საფუძველი. ვისაუბრებთ გმირის მწირობისა და ლტოლვილობის, სამკვიდრო ადგილიდან/მამულიდან ნება-

ყოფლობითი და იძულებითი, დროებითი ან მუდმივი გასვლა-გადაადგილების მოტივებსა და შინაარსზე, ბიბლიურ პარადიგმებზე.

განვსაზღვრავთ, რატომ ხდება ფიზიკურად, გეოგრაფიულად უცხო სულიერად ახლობელი და პირუკუ. ვისაუბრებთ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში („ილარიონ ქართველის ცხოვრება“, „იოანესა და ექთიმეს ცხოვრება“, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ და სხვა) უცხოს/უცხოობისადმი პოეტიური და ნეგატიური მიმართებებისა და აღნიშნული ცნების ამბივალენტური შინაარსის შესახებ. აღნიშნული მასალის საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოს/უცხოობას, ერთი მხრივ, თან სდევს სევდა, გაუცხოებისა და დაუცველობის შეგრძნება, იდენტობის კრიზისი, ხოლო, მეორე მხრივ, უცხოობა გააზრებულია, როგორც განვითარების პერსპექტივა, რამდენადაც გასვლა, მშობლიური წილის დატოვება, ბიბლიური მსოფლხედვის თანახმად, გადარჩენის, ცხოვრების საზრისის ძიებისა და პოვნის, საკუთარი იდენტობისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნების მეტაფორაა.

ნაშრომში განვსაზღვრავთ, როგორ შეძლებენ უცხო მიწაზე მოღვაწე წმინდა მამები ნაციონალური იდენტობის შენარჩუნება-რეკონსტრუქციასა და „მეხსიერების მატერიალური და არამატერიალური ადგილების“ შექმნას; ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მისიის აღსრულებას.

*საკვანძო სიტყვები:* უცხო/უცხოობა; ბიბლია; ჰაგიოგრაფია; იდენტობა; მეხსიერების ადგილი.

**Tatia Oboladze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **The Cultural Context of France and the Experience of Georgian Émigré Writers (1920s–30s)**

After the Sovietization of Georgia, a significant part of the country's political and cultural elite was forced into exile. For them, Paris – which at that time still retained its status as a European cultural center – became not only a place of refuge, but also an important space for the renewal of professional activity and literary self-expression.

The Paris of the 1920s–30s, alongside political instability, was distinguished by cultural diversity and intellectual dynamism. At that time, the cultural scene of the city still reflected the experimental impulse of Dadaism (Tristan Tzara, Hans Arp, Francis Picabia), was dominated by Surrealism (André Breton, Louis Aragon), while at the same time the outlines of Existentialism (Jean-Paul Sartre, Simone de Beauvoir) were beginning to take shape. The Parisian cafés (*Café de Flore*, *Les Deux Magots*, *Closerie des Lilas*) were considered spaces of transnational cultural dialogue, where artists and intellectuals of different nationalities gathered and engaged in debate.

In this context, Georgian émigrés also began to form their own cultural space, free from Soviet ideological dictates. Several Georgian publications were established in Paris (*Kavkasioni*, *Damoukidebeli Sakartvelo* [Independent Georgia], *Brdzolis Khma* [Voice of Struggle], among others). Although these publications mainly served as political platforms, they nevertheless devoted considerable attention to critical analyses of Georgian literature and reflections on contemporary European artistic processes.

The aim of this paper is to reconstruct the cultural environment of Paris in the 1920s–30s and to shed light on the intellectual atmosphere in which Georgian émigré writers and intellectuals lived and worked. Special attention will be given to key questions such as: How open was the Parisian intellectual scene to cultural dialogue? Were Georgian émigrés able to participate actively in this dialogue, or did their activity

remain more isolated in character? What opportunities did Parisian cultural life offer to Georgian émigrés for the preservation of their identity and for intellectual integration? And finally, to what extent was the creation of an intercultural connection truly possible?

**Keywords:** Cultural Context, Émigré Writers, Georgian Literature, Intercultural Dialogue

თათია ოზოლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

### პარიზის კულტურული კონტექსტი და ქართველი ემიგრანტი მწერლების გამოცდილება (1920-30-იანი წლები)

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში აღმოჩნდა. მათთვის პარიზი -რომელიც ამ პერიოდში კვლავ ინარჩუნებდა ევროპული კულტურის ცენტრის სტატუსს – იქცა არა მხოლოდ თავშესაფრად, არამედ პროფესიული საქმიანობის განახლებისა და თვითგამოხატვის მნიშვნელოვან სივრცედ.

1920–30-იანი წლების პარიზი (პოლიტიკური არასტაბილურობის პარალელურად) კულტურული მრავალფეროვნებითა და ინტელექტუალური დინამიკით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში ქალაქის კულტურულ სცენაზე ჯერ კიდევ იგრძნობოდა დადაიზმის ექსპერიმენტული მუხტი (ტრისტან ცარა, ჰანს არპი, ფრანსის პიკაბია), დომინირებდა სიურრეალიზმი (ანდრე ბრეტონი, ლუი არაგონი), პარალელურად ისახებოდა ეგზისტენციალიზმი (ჟან-პოლ სარტრი, სიმონ დე ბოვუარი). პარიზის კაფეები (*Café de Flore*, *Les Deux Magots*, *Closerie des Lilas*) ითვლებოდა ტრანსნაციონალური კულტურული დიალოგის სივრცედ, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხელოვანები იკრიბებოდნენ და ინტელექტუალურ დებატებში ერთვებოდნენ.

ამ კონტექსტში ქართველმა ემიგრანტებმაც დაიწყეს საკუთარი, საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატისაგან თავისუფალი, კულტურული სივრცის ფორმირება. პარიზში დაარსდა რამდენიმე ქართული გამოცემა (*კავკასიონი*, *დამოუკიდებელი საქართველო*, *ბრძოლის ხმა* და სხვ.), რომლებიც, მართალია, ძირითადად პოლიტიკურ პლატფორმებს წარმოადგენდა, თუმცა მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ქართულ ლიტერატურაზე კრიტიკულ ანალიზსა და თანამედროვე ევროპულ სახელოვნებო პროცესებზე გამოხმაურებას.

ჩვენი მოხსენების მიზანია 1920–30-იანი წლების პარიზის კულტურული გარემოს რეკონსტრუქცია და იმ ინტელექტუალური ატმოსფეროს წარმოჩენა, რომელშიც ქართველ ემიგრანტ მწერლებსა და ინტელექტუალებს უწევდათ ცხოვრება და მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ საკვანძო კითხვებს, როგორიცაა: რამდენად ღია იყო პარიზის ინტელექტუალური სცენა კულტურული დიალოგისთვის? შეძლეს თუ არა ქართველმა ემიგრანტებმა აქტიურად ჩართვა ამ დიალოგში, თუ მათი მოღვაწეობა უფრო იზოლირებული სახის იყო? რა შესაძლებლობები შესთავაზა პარიზის კულტურულმა ცხოვრებამ ქართველ ემიგრანტებს საკუთარი ინტელექტუალური ინტეგრაციისათვის? და ბოლოს, რამდენად რეალური აღმოჩნდა ინტერკულტურული კავშირის ჩამოყალიბება?

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული კონტექსტი, ემიგრანტი მწერლები, ქართული ლიტერატურა, ინტერკულტურული დიალოგი.

Salome Pataridze  
Tea Talakvadze  
*Ilia State University*  
*Georgia, Tbilisi*

### **Memory as a Way of Escape from Homelessness' in the Works of Salman Rushdie and Givi Margvelashvili**

Emigration is considered a permanent loss since it creates an irreparable rupture between human existence and homeland, and between the self and its true home (Edward Said). All types of life stories that individuals tell themselves or others as part of the ongoing construction of identity are based on memories. All forms of memory are based, explicitly or implicitly, on retrospective narratives that attempt to bridge the insurmountable gap between the time of narration and the event being narrated. Hence, the self is the result of one's own story or narration. However, it is important to consider in the process of self-narration that memories are complex constructions, not records of reality. Both individual and cultural memories are imaginative reconstructions of past events. As all identities are relational (Paul Ikin), the stories told are not always self-chosen or self-selected; rather, specific cultural affiliations determine inclusion in the stories. When an individual is in exile, they imagine their homeland. However, during this process, they fall into a broken mirror (Rushdie) and lose parts of their memory forever. Nevertheless, the imagined homeland is an essential part of their self-perception and self-determination in the present. This study examines the role of remembering the homeland in constructing identity, particularly in the works of Salman Rushdie and Givi Margvelashvili. It presents the relationship between the context and content of remembrance and analyses the form and features of the representation of the imagined homeland. The theoretical approaches chosen for the study are Salman Rushdie's metaphor of memory as a mirror, Ansgar Nünning's concept of the power of memory, Nünning and Birgit Neumann's ways of self-creation in narrative, and Aleida Assmann's forms of memory stabilisation.

**Keywords:** autobiography, imagined homeland, identity, memory, homelessness.

სალომე პატარიძე  
თეა თალაკვაძე  
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*საქართველო, თბილისი*

### **მოგონება, როგორც უსახლკარობისაგან თავის დაღწევის გზა, სალმან რუშდისა და გივი მარგველაშვილის ნაწარმოებებში**

ემიგრაცია სამუდამო დანაკარგად მოიაზრება, ვინაიდან ის განუკურნებელი განხეთქილებაა ადამიანურ ყოფნასა და მშობლიურ ადგილს, თვითსა და მის ჭეშმარიტ სახლს შორის (ედვარდ საიდი). ყველა ცხოვრებისეულ ისტორიათა სახეობები, რომლებსაც ინდივიდი საკუთარ თავს ან სხვებს, როგორც ინდივიდალური იდენტობის განგრძობითი კონსტრუქციის ნაწილს, უყვება, ეფუძნება მოგონებებს. მეხსიერების ყველა ფორმა ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად ეფუძნება რეტროსპექტულ ნარატივებს, რომლებიც ცდილობენ, გადაკვეთონ გადაულახავი უფსკრული თხრობის დროსა და იმ მოვლენას შორის, რომლებზეც მოითხოვს, აქედან გამომდინარე, მე საკუთარი მოთხრობის/თხრობის რეზულტატია, თუმცა მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს თვითთხრობის პროცესში ის გარემოება, რომ მოგონებები კომპლექსური კონსტრუქციებია და

არა რეალობის ჩანაწერები-როგორც ინდივიდუალური მოგონებები, ისე კულტურული მოგონებები წარსული მოვლენების წარმოსახვითი რეკონსტრუქციებია. ვინაიდან ყველა იდენტობა ურთიერთმიმართებითაა (პოლ იკინი), მამასადამე, ამბები, რომლებსაც ყველანაირად არ არის ყოველთვის თვითარჩევანი ან თვითშერჩეული, მეტიც, კონკრეტული კულტურული მიკუთვნებულობა იქცევა ამბებში ჩართვის მიზეზად. ემიგრაციაში მყოფი ინდივიდი სამშობლოს წარმოსახვას, მართალია, წარმოსახვის დროს ის ექცევა გატეხილ სარკეში (რუშდი), მეხსიერებაში, რომლის ნაწილები სამუდამოდ დაკარგულია, თუმცა წარმოსახვითი სამშობლო აწმყოში თვითაღქმისა და თვითგანსაზღვრულობის აუცილებელი ნაწილია. წინამდებარე კვლევა შეისწავლის სამშობლოს გახსენების როლს იდენტობის კონტურიებისას სალმან რუშდისა და გივი მარგველაშვილის ნაწარმოებებში, კერძოდ, გახსენების კონტექსტისა და გახსენების შინაარსის ურთიერთმიმართების წარმოჩენა, წარმოსახული სამშობლოს რეპრეზენტაციის ფორმისა და თავისებურებების ანალიზი. კვლევის თეორიულ მიდგომებად შეირჩა სალმან რუშდის მეხსიერების, როგორც სარკის მეტაფორა, ანსგარ ნიუნინგის მეხსიერების ძალის კონცეპტი, ანსგარ ნიუნინგისა და ბირგიტ ნოიმანის თვითშექმნის გზები თხრობაში და ალეიდა ასმანის მეხსიერების სტაბილიზაციის ფორმები.

**საკვანძო სიტყვები:** თვითთხრობა, წარმოსახული სამშობლო, იდენტობა, მოგონება, უსახლკარობა.

**Nino Pirtskhalava**

*Ilia State University*

*Georgia, Tbilisi*

### **Grigol Robakidze: In Search of the Third Shore**

Grigol Robakidze's ordeal between two totalitarian regimes – Communism and National Socialism – reflects the tragic fate of the Georgian intellectual in the 20th century. Having fled the Soviet Union before the “Great Purge”, Robakidze went into exile and arrived in Germany in 1931. Hence, he experienced firsthand the dogmatic brutality of both Stalinism and Nazism.

Robakidze's confrontation with Soviet repression led to a powerful and prescient literary portrait of Stalin, revealing remarkable political insight. However, his inability to resist the ideological pressures of fascism resulted in controversial literary depictions of Hitler and Mussolini, later criticized as celebratory tributes to the dictators.

After failed attempts to navigate Stalin's regime, Robakidze found relative success in cooperating with Hitler's. His experience on both sides of totalitarianism led him to conclude that artistic success in such regimes depended heavily on party approval. In both systems, it was the ruling party that determined who could continue the creative work as a “privileged” artist, aligned with ideological expectations. In Nazi Germany Robakidze encountered the centralized cultural control that mirrored – almost symmetrically – the cultural policies of the Soviet Union from which he had fled.

Following the end of World War II, his association with Hitler's regime collapsed. Having failed to align with either dictatorship, Robakidze turned toward a utopian vision – the “third shore.” As he put it, he always stood on that third shore, which the river must also possess, allowing to observe from a distance and from there, he will subject his work to objective scrutiny, without personal bias, like a game of chess. ‘Before the judgment seat of metaphysics’ or on this ‘third shore’ stands the writer – not a combatant, but one who rejects all ideological camps.

**Keywords:** totalitarianism, intellectual, repression, ruling party, utopian.

ნინო ფირცხალავა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

### გრიგოლ რობაქიძე „მესამე ნაპირის პიეზაში“

გრიგოლ რობაქიძის მიერ განვლილი ტანჯვის გზა ორ ტოტალიტარულ რეჟიმს – კომუნიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმს – შორის ასახავს მე-20 საუკუნის ქართველი ინტელექტუალის ტრაგიკულ ბედს. საბჭოთა კავშირიდან „დიდი წმენდის“ დაწყებამდე გაქცეულმა რობაქიძემ თავი ემიგრაციას შეაფარა და 1931 წელს გერმანიაში ჩავიდა. მან უშუალოდ იწვინა როგორც სტალინის-ტური, ისე ნაცისტური დოგმატური იდეოლოგიების წნეხის სიმძიმე.

საბჭოთა რეპრესიებთან შეჯახებამ რობაქიძეს უბიძგა შეექმნა სტალინის შთამბეჭდავი და წინასწარმეტყველური ლიტერატურული პორტრეტი, რომელშიც გასაოცარი პოლიტიკური ალღო ვლინდება. თუმცა, მის უუნარობას წინააღმდეგობა გაეწია ფაშიზმის იდეოლოგიური ზეწოლისათვის, ჰიტლერისა და მუსოლინის იმგვარი სახამუშო ლიტერატურული სახეების შექმნა მოჰყვა, რაც მოგვიანებით კრიტიკის საგანი გახდა, როგორც დიქტატორების სადიდებელი ხოტბა.

მას შემდეგ, რაც ვერ შეეწყო სტალინურ რეჟიმს, რობაქიძემ შედარებით წარმატებას ჰიტლერის რეჟიმთან თანამშრომლობისას მიაღწია. ტოტალიტარიზმის ორივე მხარეს შეძენილმა გამოცდილებამ მიიყვანა ის იმ დასკვნამდე, რომ მსგავს რეჟიმებში შემოქმედებითი წარმატება დიდადაა დამოკიდებული პარტიის მხარდაჭერაზე. ორივე სისტემაში, მმართველი პარტია განსაზღვრავდა, თუ ვის შეეძლო გაეგრძელებინა საქმიანობა, როგორც "პრივილეგირებულ" ხელოვანს, იდეოლოგიურ მოთხოვნათა შესაბამისად. ნაცისტურ გერმანიაში რობაქიძე გადააწყდა ცენტრალიზებული კულტურული კონტროლის იმგვარ სისტემას, რაც თითქმის სიმეტრიულად ასახავდა საბჭოთა კავშირის კულტურულ პოლიტიკას, რომელსაც ის გაექცა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებასთან ერთად ცხადია, დასრულდა ქართველი მწერლის ჰიტლერის რეჟიმთან ურთიერთობა. ვერც ერთ დიქტატურას რომ ვერ მიეკედლა, რობაქიძემ უტოპიური წარმოსახული „მესამე ნაპირისაკენ“ გადაინაცვლა. მისი მტკიცებით, ის ყოველთვის ამ მესამე ნაპირზე იდგა, რომელიც ნებისმიერ მდინარეს უნდა ჰქონდეს, რათა შესაძლებელი გახდეს შორიდან დაკვირვება და იქიდან საკუთარი ნამუშევარის საჭადრაკო პარტიის მსგავსად მიუკერძოებლად გაანალიზება. სწორედ 'მეტაფიზიკის სამსჯავროს წინაშე,' ანუ ამ 'მესამე ნაპირზე' დგას მწერალი – არა მებრძოლი, არამედ ყველა იდეოლოგიური ბანაკის უარყოფელი.

**საკვანძო სიტყვები:** ტოტალიტარიზმი, ინტელექტუალი, რეპრესიები, მმართველი პარტია, უტოპიური.

Manana Pkhakadze

Ketevan Nadareishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Georgia, Tbilisi

### The Original Source of Teimuraz Batonishvili's *The Destruction of Troada*: A Comparative Reading with Guido de Columna's *History of the Destruction of Troy*

**Teimuraz Batonishvili** (1782-1846), the youngest son of George XII, the last king of Kartli-Kakheti, made considerable efforts to restore the royal throne—abolished by Russia—to his brother David, the legitimate heir to the kingdom, though ultimately without success. Later, like David, he immigrated to St. Petersburg, where he lived until his death (1810-1831) and devoted himself to literary activity, which had become the only refuge for national identity at the time.

This paper aims to examine Teimuraz Batonishvili's poem *The Destruction of Troada, or an Explanation of Mechadze's Apple* – the first Georgian poetic work on the Trojan War – in relation to Guido de Columna's *The History of the Destruction of Troy* for the first time, based on its Georgian translation (manuscript S:5 from the Collection of the Georgian National Centre of Manuscripts). Columna's literary work has been proposed as the original source by Georgian scholars. The study seeks to identify and analyze existing similarities and differences between the two works. This short poem by Teimuraz Batonishvili is especially significant within the context of emigration discourse, as its allegorical portrayal of contemporary Georgia powerfully highlights the crucial issues faced by Georgian patriots who had become politically, culturally, and linguistically distanced from their homeland.

**Keywords:** Teimuraz Batonishvili, destruction of Troy, identity, culture, allegory.

მანანა ფხაკაძე

ქეთევან ნადარიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

### თეიმურაზ ბატონიშვილის “ტროადის დარღვევის” პირველწყარო

თეიმურაზ ბატონიშვილმა (1782-1846), გიორგი XII-ის – ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ნაბოლარა ვაჟმა ბევრი იბრძოლა რუსეთის მიერ გაუქმებული სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის, თავისი ძმის დავითისთვის დასაბრუნებლად: მაგრამ ვერაფერი გააწყო და როგორც უტახტო სამეფოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე დავითი, ისიც პეტერბურგში სიცოცხლის ბოლომდე (1810-1831) ცხოვრობდა და ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის ერთდერთ ნაყუდელად ქცეულ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწოდა.

მოხსენებაში თეიმურაზ ბატონიშვილის ემიგრაციაში დაწერილი პირველი ქართული პოემა ტროის ომზე „ტროადის დარღვევა ანუ მეხადის ვაშლის განმარტება“ პირველად შედარებულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მის სავარუდო პირველწყაროსთან, სახელდობრ, გვიდო დე კოლუმნას „მატიანე რომელსა შინა წერილ არს დარღვევა ქალაქისა ტროადისა ფრილიის სახელმწიფოსა“-თან. (S:5 – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექცია), შესწავლილია და გამოვლენილია მსგავსება- განსხვავებები.

თეიმურაზ ბატონიშვილის ეს მცირე ზომის პოემა განსაკუთრებით საყრადღებოა ემიგრაციის დისკურსის კონტექსტში, რადგან საქართველოს თანადროული ვითარების ალეგორიული ასახვით მასში ყურადღება გამახვილებულია იმ პრობლემებზე, რომლებიც პოლიტიკურად, კულტურულად თუ ენობრივად სამშობლოსგან შორს მყოფი ქართველი მამულიშვილების წინაშე იდგა.

**საკვანძო სიტყვები:** თეიმურაზ ბატონიშვილი, ტროადის დარღვევა, იდენტობა, კულტურა, ალეგორია.

**Nino Popiashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Georgia, Tbilisi*

### **At the Crossroads of East and West: The German Translation of Sulkhan-Saba Orbeliani's "Wisdom in Lies" by Mikhako Tsereteli**

Sulkhan-Saba Orbeliani's "Wisdom in Lies" has been translated into German three times. The first German translation of the work belongs to Mikhako Tsereteli, who published a complete translation of the work in Berlin in 1933. With the publication of this book, the Georgian Library Series was established in Berlin, Germany. The book was published by Archil Metreveli. The Georgian Library series was supposed to publish Shota Rustaveli's "The Knight in the Tiger's Skin" and other translations of Georgian literature, as planned, but due to disagreements between the publisher and the publishing house, translations of other Georgian literary texts were not published. The German edition of "The Wisdom of Lies" is accompanied by an introductory letter by Mikhako Tsereteli, an academic preface by Zurab Avalishvili, and a biographical essay about Sulkhan-Saba Orbeliani.

In his introductory letter, Mikhako Tsereteli notes the literary features of Sulkhan-Saba Orbeliani's "The Wisdom of Lies", indicating that the work has a deep connection with world literature, with the literary understanding of the East and the West.

It is noteworthy that Mikhako Tsereteli has been working intensively in various fields since the 1910s: including Georgian history, linguistics, Caucasology, politics, Oriental studies, etc. As evidenced by the study of Mikhako Tsereteli's archive, he began working on literary studies and translations of Georgian fiction in the 1930s. The first Georgian fiction that Mikhako Tsereteli translated into German was Sulkhan-Saba Orbeliani's "The Wisdom of Lies," and the next was Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin." Both translations are presented to the Georgian public

In the report, we will focus on the significance of Mikhako Tsereteli's translation of "Wisdom-Lie" in terms of the intersection of Eastern and Western literatures and cultures, as well as on the prospects for introducing Georgian literature to the German-speaking public; on the historical, literary and translation studies values of this translation.

**Keywords:** Georgian literature, Sulkhan-Saba Orbeliani, "The Wisdom of Lies", Mikhako Tsereteli, German translation.

**ნინო პოპიაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი*

### **აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაშესაყართან: სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანულენოვანი მიხაკო წერეთლისეული თარგმანი**

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ ენაზე სამჯერ არის თარგმნილი. ნაწარმოების პირველი გერმანულენოვანი თარგმანი ეკუთვნის მიხაკო წერეთელს, რომელმაც 1933 წელს ბერლინში გამოსცა ნაწარმოების სრული თარგმანი. ამ წიგნის გამოცემით გერმანიაში, ბერლინში, დაარსდა ქართული ბიბლიოთეკის სერია. წიგნის გამომცემელი იყო არჩილ მეტრეველი. ქართული ბიბლიოთეკის სერიით უნდა გამოცემულიყო მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ლიტერატურის სხვა თარგმანები, როგორც ეს



დაგეგმილი იყო, თუმცა გამომცემელსა და გამომცემლობას შორის არსებული უთანხმოების გამო სხვა ქართული ლიტერატურული თექსტების თარგმანები აღარ გამოცემულა. „სიბრძნე სიცრუისა“ გერმანულ გამოცემას ერთვის მიხაკო წერეთლის შესავალი წერილი, ზურაბ ავალიშვილის აკადემიური წინასიტყვაობა, სულხან-საბა ორბელიანის შესახებ ბიოგრაფიული ნარკვევი.

მიხაკო წერეთელი შესავალ წერილში აღნიშნავს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ლიტერატურული თავისებურებების შესახებ, მიუთითებს, რომ ნაწარმოებს ღრმა კავშირი აქვს მსოფლიო ლიტერატურასთან, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლიტერატურულ გააზრებასთან.

საგულისხმოა, რომ მიხაკო წერეთელი მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან ინტენსიურად მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით: მათ შორის არის საქართველოს ისტორია, ენათმეცნიერება, კავკასიოლოგია, პოლიტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა და სხვ. როგორც მიხაკო წერეთლის არქივის შესწავლა მოწმობს, ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხებისა და ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმანებისათვის 30-იანი წლებიდან დაუწყო მუშაობა. პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მიხაკო წერეთელმა გერმანულად თარგმნა, არის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, ხოლო შემდგომი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ორივე თარგმანი ქართული საზოგადოებისათვის

მოხსენებაში ყურადღებას გავამახვილებთ „სიბრძნე-სიცრუისა“ მიხაკო წერეთლისეული თარგმანის მნიშვნელობაზე აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურებისა და კულტურების გადაკვეთის თვალსაზრისით, ასევე, ქართული ლიტერატურის გერმანულენოვანი საზოგადოებისათვის გაცნობის შესაძლებლობების პერსპექტივაზე; ამ თარგმანის ისტორიულ, ლიტერატურულ და თარგმანმცოდნეობით ღირებულებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლიტერატურა, სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“, მიხაკო წერეთელი, გერმანული თარგმანი

**Nino Samsonia**

**Ekaterine Navrozashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Georgia, Tbilisi*

### **Anthology of Georgian Translations of the *Epic of Gilgamesh***

The Old Babylonian epic *The Epic of Gilgamesh* (Georgian: *Gilgameshiani*) is regarded as the first ethical-philosophical work of world literature, and one of its earliest literary creations. The text recounts the heroic deeds of King Gilgamesh of Uruk's First Dynasty (first half of the 3rd millennium BCE, 28th–27th centuries BCE). To date, twelve clay tablets containing the epic have been discovered.

The *Epic of Gilgamesh* has been translated into many modern languages, including Georgian. Georgian translations of the work began in the 20th century, the first being by Mikheil (Mikhako) Tsereteli, who also coined the Georgian title *Gilgameshiani*. For various reasons, this translation was first published in Constantinople in 1924. Tsereteli's translation was made directly from the original cuneiform tablets, specifically, from the Old Babylonian (18th century BCE) and Assyrian (standardized, 7th century BCE) versions. His translation is based on the Assyrian version, while the footnotes incorporate parallels from the Old Babylonian and Hittite texts, the latter of which Tsereteli referred to as the “Indo-Germanic version.” The appendix includes a translation from Sumerian of the flood myth, the myth of Ziusudra, found on the eleventh tablet.

Notably, Georgian readers were introduced to Tsereteli's translation nearly a century after its original publication. It was first released in Georgia in 2010 by Tbilisi State University Press, and has since been reprinted multiple times in response to high demand: in 2014, 2018, 2022, and 2024.

Since the 1960s, new Georgian translations of the *Epic of Gilgamesh* have been associated with the name of Zurab Kiknadze. His contributions include an interlinear translation (1963, edited by Tamaz Gamkrelidze) and several literary adaptations, including *Gilgamesh, The One Who Saw the Depths...* (1963), and *Gilgameshiani: The Ancient Mesopotamian Epic* (1984). The 2009 and 2023 editions largely reproduce the text of the 1984 version, though, naturally, „the newer edition incorporates material based on the latest edition of the original epic text.”

In 2025, the first anthology of Georgian translations of the *Epic of Gilgamesh* (compiled by E. Navrozashvili and N. Samsonia) was prepared for publication. In addition to the previously mentioned translations, the anthology includes, for the first time, Jemal Sharashenidze's *Sumerian Gilgameshiani*. This translation consists of five independent Sumerian epics about Gilgamesh, three of which (*Gilgamesh and Huwawa*, *Gilgamesh and the Celestial Bull*, and *Gilgamesh, Enkidu and the Underworld*) later became integral parts of the Old Babylonian *Epic of Gilgamesh*. The anthology is also accompanied by the recently discovered *Transliteration of the Epic of Gilgamesh* by Academician Tamaz Gamkrelidze. Significantly, the volume does not merely compile Georgian translations, it also provides a visual interpretation of the text. The book is illustrated by Georgian artist Giorgi (Gia) Gugushvili, and as a result, the *Epic of Gilgamesh* is placed into an intermedial space.

All Georgian translations presented in the anthology are unique and valuable, not only in the context of Georgian translation history but also from historical, cultural and literary perspectives.

**Keywords:** *Gilgameshiani, Georgian translation, anthology, M. Tsereteli, Z. Kiknadze*

## ნინო სამსონია

### ეკატერინე ნავროზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი

## „გილგამეშის“ ქართული თარგმანების ანთოლოგია

„ძველბაბილონური ეპოსი „გილგამეშის ეპოსი“ (ქართ. *გილგამეშანი*) მსოფლიო მწერლობის პირველი ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ძეგლია და, ასევე, პირველი ლიტერატურული ნაწარმოებიც. ტექსტი აერთიანებს და მოგვითხრობს ურუქის I დინასტიის (ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევარი, ძვ.წ. XXVIII-XXVII ს.ს.) მეფის გილგამეშის საგმირო საქმეების შესახებ. დღეისათვის აღმოჩენილია ეპოსის 12 დაფა.

„გილგამეშის ეპოსი“ თარგმნილია არაერთ თანამედროვე ენაზე, მათ შორის – ქართულზეც. წიგნის ქართული თარგმანები შესრულებულია მე-20 საუკუნეში და მისი პირველი მთარგმნელი მიხეილ (მიხაკო) წერეთელია (წიგნის ქართული სათაური „გილგამეშანი“ სწორედ მას ეკუთვნის). გარკვეული მიზეზების გამო, ზემოაღნიშნული თარგმანი 1924 წელს გამოიცა კონსტანტინეპოლში. თარგმანი შესრულებულია ორიგინალიდან – ლურსმული ფირფიტების ავტოგრაფიიდან: ძველბაბილონური (ძვ.წ. მე-18 ს) და ასურული (იგივე სტანდარტული ვერსია ძვ.წ. მე-7 ს.) ვერსიებიდან. თარგმანი შესრულებულია ასურული (სტანდარტული) ვერსიიდან, ხოლო სქოლიოებში ერთვის პარალელური ტექსტები ძველბაბილონური და ხეთური, როგორც მ. წერეთელი უწოდებს ინდო-გერმანული ვერსიიდან. დანართში წარმოდგენილია მე-11 დაფაში შესული წარღვნის მითის შუმერული ვერსიის, *ზიუსუდრას მითის*, თარგმანი შუმერულიდან.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მკითხველი მ. წერეთლის თარგმანს მხოლოდ საუკუნის შემდგომ გაეცნო. პირველად მ. წერეთლის თარგმანი 2010 წელს თსუ გამომცემლობამ გამოსცა საქართველოში, ხოლო შემდეგ, მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, თარგმანის გამოცემა რამდენჯერმე განმეორდა. კერძოდ, 2014, 2018, 2022, 2024 წლებში.

მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან, „გილგამეშის ეპოსის“ ახალი ქართული თარგმანების შექმნა ზურაბ კიკნაძის სახელს უკავშირდება. დღეისათვის არსებობს ზ. კიკნაძის პწკარედული (1963, რედ. თამაზ გამყრელიძე) და რამდენიმე მხატვრული თარგმანი: „გილგამეში“, „რომელმან სიღრმე იხილა...“ (1963). „გილგამეშიანი, ძველი შუამდინარული ეპოსი“ (1984), 2009 წელს და შემდგომ 2023 წელს გამოცემული „გილგამეშიანის“ ქართული თარგმანები ძირითადად იმეორებს 1984 წლის თარგმანის ტექსტს, მაგრამ ბუნებრივია, „ახალ გამოცემაში ისახება ის მასალა, რომელიც ეპოსის ორიგინალური ტექსტის უკანასკნელ გამოცემაშია წარმოდგენილი“.

2025 წელს გამოსაცემად მომზადდა „გილგამეშიანის“ ქართული თარგმანების პირველი ანთოლოგია (ე. ნავროზაშვილი, ნ. სამსონია), რომელშიც ზემოაღნიშნული თარგმანების გარდა, შესულია ჯემალ შარაშენიძის თარგმანი – შუმერული *გილგამეშიანი* (ქვეყნდება პირველად). თარგმანი მოიცავს 5 დამოუკიდებელ შუმერულ ეპოსს გილგამეშზე, რომელთაგან 3 ეპოსი („გილგამეში და ხუვაჟა“, „გილგამეში და ციური ხარი“ და „გილგამეში, ენქიდუ და მიწისქვეშა სამყარო“) მოგვიანებით, ძველ ბაბილონური „გილგამეშიანის“ ორგანულ ნაწილად იქცა. ანთოლოგიას თან ერთვის ახლადამოწენილი აკად. თამაზ გამყრელიძის „გილგამეშის ეპოსის ტრანსლიტერაცია“. აღსანიშნავია, რომ ანთოლოგია ტექსტის არა მხოლოდ ქართულ თარგმანებს გააერთიანებს, არამედ ვიზუალურ ინტერპრეტაციასაც შესთავაზებს მკითხველს – წიგნი ილუსტრირებულია ქართველი მხატვრის გიორგი (გია) გუგუშვილის მიერ, რაც „გილგამეშის ეპოსის“ ინტერმედიალურ სივრცეში აქცევს.

ანთოლოგიაში წარმოდგენილი „გილგამეშიანის“ ყველა ქართული თარგმანი უნიკალური და მნიშვნელოვანია როგორც ქართული თარგმანის ისტორიისათვის, ისე ისტორიული, კულტუროლოგიური და ლიტერატურული თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** „გილგამეშიანი“, ქართული თარგმანი, ანთოლოგია, მ. წერეთელი, ზ. კიკნაძე.

**Shorena Shamanadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **"The Poetics of Migration" in Emigrant and Modern Diasporic Literature**

The literary text serves as a socio-cultural space that mirrors the significant processes occurring globally and locally in the author's vicinity. What does migration literature entail? What is it like to live in exile or to be undocumented in Europe? Cultural conflict, alienation, experiences and transfer of violence, and language problems are processes that accompany migration. Migration often brings to light issues such as cultural belonging, biculturalism or multiculturalism, bilingualism or multilingualism, and psychosocial aspects like cultural adaptation and linguistic and religious factors. Under the influence of various cultures, migrants find themselves in an inter/cross-cultural environment – a sort of middle/"third" space. They cannot reject their own identity. Diverse identities are shaped.

It is important to mention that for some migrants, the creation of a literary text serves as a primary means of expressing feelings of nostalgia and showcasing national, mental, and cultural characteristics. Migrant literature is thus heavily characterized by the quest for self and self-examination, a form of alternative resolution, or the exploration of escape routes. In modern literary studies, the concept of "the poetics of migration" is widely spread. It implies different research methods and strategies. Its main characteristic is cultural and linguistic hybridity.

In „The poetics of migration“, the following key concepts of cultural hybridity are identified: culture transfer, interculturality, transculturality, pluralism of literary codes, cultural symbiosis, increasing interweaving and mixing of cultures, Writing Back, polyphony, among others. Linguistic hybridity employs various artistic and expressive means, including: "semantic liberalism," translinguism (the blending of diverse cultural, literary, and linguistic models), palimpsests, meta-reflections, manipulation of cultural stereotypes, context of semantic and linguistic multilingualism, deterritorialization of language, incorporation of slang and natural speech, double-voiced speech, among others.

For a number of years now, our scientific group has been engaged with these issues, and we have produced two monographs on the topic. My intention is to discuss the poetics of migration within the diachronic framework of Georgian intercultural-migrant literature in the report.

**Keywords:** Emigrant, diaspora, poetics, hybridity, identity.

#### **შორენა შამანაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **„მიგრაციის პოეტიკა“ ემიგრანტულ და თანამედროვე დიასპორულ მწერლობაში**

ლიტერატურული ტექსტი, როგორც სოციოკულტურული სივრცე, ასახავს იმ მნიშვნელოვან პროცესებს, რაც ავტორის ირგვლივ გლობალურად და ლოკალურად მიედინება. როგორია ლიტერატურა მიგრაციაში? როგორია ცხოვრება დევნილობაში ან არაღელვარად ყოფნა ევროპაში? კულტურული კონფლიქტი, უცხოობა, ძალადობის გამოცდილება და გადატანა, ენობრივი პრობლემები მიგრაციის თანმდევი პროცესებია. მიგრაცია ხშირად გამოკვეთს ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა კულტურისადმი მიკუთვნებულობა, ბიკულტურალობა თუ მულტიკულტურალობა, ბილინგვიზმი თუ მულტილინგვიზმი, ასევე ისეთი ფსიქოსოციალური ასპექტები, როგორებიცაა კულტურული ადაპტაცია, ენობრივი და რელიგიური ფაქტორები. მიგრანტები იმყოფებიან ინტერ/ტრანს კულტურულ გარემოში, ერთგვარ შუა/„მესამე“ სივრცეში, სხვადასხვა კულტურის ზეგავლენის ქვეშ. მათ არ შეუძლიათ საკუთარ იდენტობაზე თქვან უარი. ყალიბდება მრავალგვარი იდენტობა.

აღსანიშნავია, რომ მიგრანტების ერთი ნაწილისათვის ლიტერატურული ტექსტის შექმნა იქცევა ნოსტალგიური გრძნობების, ეროვნული, მენტალური, კულტუროლოგიური სახის თავისებურებების გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ამდენად, მიგრაციული ლიტერატურა მკვეთრად მარკირებულია, სადაც ასახულია საკუთარი თავის ძიება და თვითნალიზი, ერთგვარი ალტერნატიული გამოსავალი, ან გამოსავლის გზების ძიება.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობით კვლევებში ფართოდ გავრცელებულია ე. წ. „მიგრაციის პოეტიკის“ ცნება. იგი გულისხმობს კვლევის განსხვავებულ მეთოდებსა და სტრატეგიებს. მისი უპირველესი მახასიათებელია კულტურული და ენობრივი ჰიბრიდულობა.

„მიგრაციის პოეტიკა“ გამოყოფს კულტურული ჰიბრიდულობის შემდეგ ძირითად კონცეპტებს: კულტურტრანფერი, ინტერკულტურალობა, ტრანსკულტურალობა, ლიტერატურული კოდების პლურალიზმი, კულტურული სიმბიოზი, კულტურათა მზარდი დაქსელვა და შერევა, Writing Back, მრავალხმიანობა და სხვა. რაც შეეხება ენობრივ ჰიბრიდულობას, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებია: „სემანტიკური ლიბერალიზმი“, ტრანსლინგვიზმი (სხვადასხვა კულტურული, ლიტერატურული, ენობრივი მოდელების „Fusion“), პალიმფსესტები, მეტარეფლექსიები, კულტურულ სტერეოტიპებთან თამაში, აზრობრივი და ენობრივი მრავალენოვანების კონტექსტი, ენის დეტერიტორიალიზაცია, სლენგისა და ბუნებრივი მეტყველების შემოტანა, მეტყველების ორპლანიანობა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი სამეცნიერო ჯგუფი უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს ამ საკითხებზე და შეიქმნა უკვე ორი მონოგრაფია. მოხსენებაში ვაპირებ ვისაუბრო „მიგრაციის პოეტიკის“ საკითხებზე ქართული ინტერკულტურულ-მიგრაციული ლიტერატურის დიაქრონულ ჭრილში.

*საკვანძო სიტყვები:* ემიგრანტული, დიასპორული, პოეტიკა, ჰიბრიდულობა, იდენტობა.

**Manana Shamilishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Literary-Publicistic Interests of the Emigrant Newspaper "Klde"**

The newspaper "Klde" (Cliff), an organ of Georgian nationalists, was published in Berlin from 1934 to 1936 under the editorship of Shalva Karumidze. It represented the ideological continuation of its namesake predecessors (the magazine "Klde" and newspapers: "Klde," "Sali Klde," "Pitalo Klde"). The newspaper included German-language inserts and was characterized by a polemical tone, which should be examined through the lens of ideological contradictions. "Klde," much like the entire Georgian emigrant media landscape of the time, was marked by fierce ideological confrontations and a certain "literary favoritism"—an attempt to align prominent writers with dominant political forces based on sympathy.

Our study of the collected literary and publicistic materials revealed the peculiarities of "Klde's" editorial policy and highlighted its main problematic issues. For a deep analysis of the topic, we developed a combined theoretical framework, comprising several relevant concepts. Specifically, we utilized the **Media Agenda-Setting Theory**, which helped us investigate what themes the newspaper prioritized and how it attempted to influence emigrant discourse. We also employed **Discourse Analysis**, which allowed us to study how certain ideas, narratives, and worldviews were created and disseminated within the newspaper's texts. Furthermore, to highlight the historical and socio-political contexts, we drew upon **Anthony Smith's Ethno-Symbolic Approach**, which helped us demonstrate the narratives, linguistic, and symbolic methods the newspaper used to strengthen the national identity of Georgian emigrants.

Examining samples through the lens of these theories provided insight into the newspaper's objectives, its literary and publicistic interests, and the characteristics of the era. The newspaper's editorial board shared the ideas of Germany's ruling force – the National Socialists – but this alignment was dictated by the Georgian patriots' expectation that Hitler's Germany could assist them in liberating their homeland from the Soviet regime. Despite these illusory perceptions, the activity of "Klde" newspaper will remain an

example of an unyielding struggle for the liberation of the homeland in the history of Georgian emigrant journalism.

**Keywords:** Newspaper "Klde," Georgian emigration, Shalva Karumidze, ideological struggle, anti-Soviet narrative.

### მანანა შამილიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი

## ემიგრანტული გაზეთ „კლდის“ ლიტერატურულ-პუბლიცისტური ინტერესები

ქართველ ნაციონალისტთა ორგანო გაზეთი „კლდე“ გამოდიოდა 1934-1936 წლებში, ბერლინში, შალვა ქარუმიძის რედაქტორობით. იგი წარმოადგენდა ამავე დასახელების წინამორბედი გამოცემების (ჟურნალი „კლდე“, გაზეთები: „კლდე“, „სალი კლდე“, „პიტალო კლდე“) იდეურ გაგრძელებას. გაზეთი იბეჭდებოდა გერმანულენოვანი ჩანართებით. იგი გამოირჩეოდა პოლემისტური ტონით, რაც მსოფლმხედველობრივ წინააღმდეგობათა ჭრილში უნდა განვიხილოთ. „კლდისთვის“ ისევე, როგორც მთლიანად – ქართული ემიგრანტული მედიაგარემოსთვის, დამახასიათებელი იყო მწვავე იდეოლოგიური დაპირისპირება და ერთგვარი „სამწერლო ფავორიტიზმი“ – ცნობილი მწერლების მიმხრობა – მიკუთვნებულობის მცდელობა დომინანტ პოლიტიკურ ძალთა მიმართ სიმპათიის მიხედვით.

მომიებული ლიტერატურულ-პუბლიცისტური მასალის შესწავლამ გვიჩვენა გაზეთ „კლდის“ სარედაქციო პოლიტიკის თავისებურებები, გამოკვეთა მისი ძირითადი პრობლემატიკა. საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის შევიმუშავეთ კომბინირებული თეორიული ჩარჩო, რომელიც რამდენიმე რელევანტური კონცეფციის ერთობლიობას წარმოადგენს, კერძოდ: მედიის „დღის წესრიგის თეორია“, რომელიც დაგვეხმარა გამოგვეკვლია, რა თემებს უთმობდა გაზეთი ყურადღებას და რა გზებით ცდილობდა ემიგრანტულ დისკურსზე გავლენის მოხდენას. გამოვიყენეთ, აგრეთვე, დისკურსის ანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა, როგორ იქმნებოდა და ვრცელდებოდა გარკვეული იდეები, ნარატივები და მსოფლმხედველობა საგაზეთო ტექსტებში. ისტორიული და სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტების გამოკვეთისთვის კი მოვიხმეთ ენტონი სმიტის ეთნო-სიმბოლისტური მიდგომა, რომელიც დაგვეხმარა წარმოგვეჩინა ის ნარატივები, ენობრივი და სიმბოლისტური ხერხები, რომელთაც გაზეთი იყენებდა ქართველ ემიგრანტთა ეროვნული იდენტობის გამყარებისთვის.

დასახელებული თეორიების ჭრილში ნიმუშების განხილვამ წარმოადგენა შეგვიქმნა გაზეთის მიზანდასახულობაზე, მის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ ინტერესებზე, ეპოქის თავისებურებებზე. გაზეთის რედაქცია იზიარებდა გერმანიის მმართველი ძალის – ნაციონალ-სოციალისტების იდეებს, მაგრამ ეს თანაზიარობა ნაკარნახევი იყო ქართველ პატრიოტთა მოლოდინით, რომ ჰიტლერული გერმანია შეძლებდა მათ დახმარებას და სამშობლოს საბჭოთა რეჟიმისგან დაიხსნიდა. ამ ილუზორული წარმოდგენების მიუხედავად, გაზეთ „კლდის“ მოღვაწეობა სამშობლოს გათავისუფლებისთვის შეუპოვარი ბრძოლის მაგალითად დარჩება ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში.

**საკვანძო სიტყვები:** გაზეთი „კლდე“, ქართული ემიგრაცია, შალვა ქარუმიძე, იდეოლოგიური ბრძოლა, ანტისაბჭოთა ნარატივი.

**Ketevan Sikharulidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Folklore Texts in Kita Chkhenkeli's Chrestomathy**

Among Georgian émigrés was linguist, lexicographer, and translator Kita Chkhenkeli. In Zurich, he founded the publishing house *Amirani*, where he published a Georgian language textbook in German titled *Introduction to the Georgian Language*. The chrestomathy in this book includes the works by Georgian authors. It contains 63 texts of varying length, only six of which are folkloric. Chkhenkeli likely relied on Iakob Gogebashvili's *Mother Language* when selecting these works.

Notably, the structure of the chrestomathy does not separate the folkloric samples from the literary texts; instead, they are intermingled. It appears that Chkhenkeli aimed not only to teach the Georgian language to German-speaking readers but also to present the Georgian worldview, introduce Georgian culture, and convey the power of the Georgian word. The author pays particular attention to explaining traditional formulas and phraseology characteristic of folk texts, so that the reader may understand the peculiarities of folk speech.

The chrestomathy includes the poem *Amirani* by Kote Makashvili, in which the poet passionately depicts a hero freed from his chains, raising his sword to liberate his homeland. The spirit of the 19th-century Georgian poets, who regarded Amirani as a symbol of Georgia's freedom, is echoed in Makashvili's poem. This sentiment and anticipation of a hero continued to resonate with the next generation even in emigration. The fact that Chkhenkeli chose to publish this specific poem by Makashvili indicates that he shared the deep symbolic meaning and emotional attitude toward the epic hero. From this perspective, it becomes clear why he named his publishing house *Amirani*.

**Keywords:** Georgian language, literature, culture, folklore, Amirani.

### **ქეთევან სიხარულიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **ფოლკლორული ტექსტები კიტა ჩხენკელის ქრესტომათიაში**

ქართველ ემიგრანტებს შორის გამორჩეულმა ენათმეცნიერმა, ლექსიკოგრაფმა და მთარგმნელმა კიტა ჩხენკელმა ციურისში დააარსა გამომცემლობა „ამირანი“, სადაც მის მიერ ჩამოსხმული შრიფტით დაიბეჭდა ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანულ ენაზე „ქართული ენის შესავალი“ ორ წიგნად. მეორე ტომი ეთმობა სავარჯიშოებს და ქრესტომათიას. ქრესტომათიაში წარმოდგენილია ქართველი მწერლების პოეტური და პროზაული ნაწარმოებები. აქ არის სხვადასხვა მოცულობის 63 ტექსტი, რომელთა შორის მხოლოდ ექვსია ფოლკლორული. საფიქრებელია, რომ ამ ნაწარმოებების შერჩევისას კ. ჩხენკელმა ისარგებლა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით“, რადგან სხვა წყარო ხელთ არ ჰქონდა. ალბათ ამით უნდა აიხსნას ხალხური ტექსტების რაოდენობის სიმცირე.

საყურადღებოა ქრესტომათიის სტრუქტურა: ფოლკლორული ნიმუშები ცალკე კი არ არის გამოყოფილი, არამედ შერეულია ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის. როგორც ჩანს, კ. ჩხენკელი

მიზნად ისახავდა, არა მარტო ესწავლებინა გერმანულენოვანი მკითხველისთვის ქართული ენა, არამედ წარმოეჩინა ქართველთა მსოფლმხედველობა, გაეცნო მათთვის ქართული კულტურა, ეგრძნობინებინა ქართული სიტყვის ძალა. ეს ჩანს ტექსტებისთვის წამმღვარებულ ლექსიკონშიც. ხალხური ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ფორმულებსა და ფრაზეოლოგიას ავტორი საგანგებოდ განმარტავს, რათა მკითხველისთვის გასაგები გახდეს ხალხური მეტყველების თავისებურებანი, რაც ქართველთა მენტალობითაა განპირობებული.

ქრესტომათიაში დაბეჭდილია კოტე მაყაშვილის ლექსი „ამირანი“, რომელშიც პოეტი აღფრთოვანებით ხატავს ჯაჭვებისგან თავდახსნილ გმირს. იგი ხმალშემართული მოდის სამშობლოს გასათავისუფლებლად. კ. მაყაშვილის ლექსში მეორდება სულისკვეთება მე-19 საუკუნის ქართველი პოეტებისა, რომლებმაც ამირანი საქართველოს თავისუფლების სიმბოლოდ დასახეს. ეს განწყობა და გმირის მოლოდინი მომდევნო თაობას ემიგრაციაშიც გაჰყვა. ის ფაქტი, რომ კიტა ჩხენკელმა კ. მაყაშვილის სწორედ ეს ლექსი გამოაქვეყნა, მოწმობს, რომ თავადაც იზიარებდა ეპიკური გმირისადმი ამ განწყობასა და ღრმა შინაარსს. აქედან გამომდინარე, გასაგები ხდება, რატომ უწოდა მან თავის გამომცემლობას „ამირანი“.

*საკვანძო სიტყვები:* ქართული ენა, ლიტერატურა, კულტურა, ფოლკლორი, ამირანი.

**Alexander Stroeve**

*Sorbonne Nouvelle*

*France, Paris*

### **Georgian Artists in Paris in the 1920s in the Mirror of the French Press**

In the 1920s, Shalva Kikodze, Lado Gudiashvili, David Kakabadze, Elena Akhvlediani, and Ketevan Magalashvili studied and worked in Paris, the art capital of the world. However, only L. Gudiashvili achieved recognition. Sh. Kikodze died of tuberculosis. D. Kakabadze's "cubist" paintings seemed outdated, while his abstract works were judged unsuccessful due to their dark color palette, and his theoretical articles were considered boring. K. Magalashvili's portraits failed to attract critics' interest (a "minor genre"), and E. Akhvlediani's Georgian landscapes received only limited attention.

Articles in the French press, exhibition catalogues, and the books of M. Raynal and A. Warnod make it possible to understand the reasons for L. Gudiashvili's popularity in Paris and in America, and to assess the artist's strategy for success. His works met the criteria of the new "Paris School," which was driving from the market the works of the "French School," still continuing the traditions of Impressionism and Post-Impressionism. Art critics and gallery owners who exhibited and sold L. Gudiashvili's paintings and drawings emphasized the connection between his style - reminiscent of Modigliani and Fougita (with whom he was acquainted) - and the traditions of Persian miniatures and Georgian icons.

Newspapers and magazines published his drawings, which reproduced better than black-and-white prints of his paintings. L. Gudiashvili was friends with the Surrealists, fit perfectly into Parisian artistic and bohemian life, took part in carnival balls, and painted café interiors in Montmartre as he had in Tiflis. He designed sets for N. Baliev's cabaret theater *La Chauve-Souris*, and participated in exhibitions of Russian *art nouveau* artists who had worked with S. Diaghilev. The artist collaborated with a fashion magazine in the *art déco* style, publishing stylized illustrations in an "oriental" manner, as well as nostalgic drawings of his native Tiflis. At the height of his success, Gudiashvili left France and returned to his homeland.



Nino Surmava

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Georgia, Tbilisi*

### **Issue of Cultural Identity in Al-Tayyib Salih's Writings (“Season of Migration to the North” and “The Doum-tree of Wad Hamid” as an examples)**

Issue of cultural identity represents one of the most important subjects of the modern Arabic literature and this is natural for people, who were under foreigners' dominion for many years. There is no doubt that in the epoch of globalization, in the environment of assimilation of nations and races, the process of modernization causes the relevant reaction – the necessity of strengthening cultural identity. Modern Arabic literature is rich with numerous works on the problems of mutual perception of the East and the West. Issue of cultural identity in many Arabic novels is raised as a result of encounter of two cultural values. Our interest focused on the novel “Season of Migration to the North” and short story “The Doum-tree of Wad Hamid” by Sudanese émigré writer Al-Tayyib Salih. The issue of cultural identity is one of the most prominent themes in Al-Tayyib Salih's writings, particularly in his novel “Season of Migration to the North” which deeply explores the tensions, transformations and crises that arise from intersection of Sudanese, Arab, Islamic and Western cultural influences. In his short story “The Doum-tree of Wad Hamid” Salih juxtaposes village life, its customs, beliefs and social structures with modern and urban life. The narrator's internal conflict represents the larger struggle of Sudanese society undergoing cultural transformation. Tradition vs. Modernity – is one of the Key Aspects of cultural Identity in his mentioned short story. Salih's writing is a profound exploration of cultural identity in a postcolonial world. His characters reflect the internal conflicts of individuals caught between different worlds- colonial and indigenous, modern and traditional, Western and Islamic.

**Keywords:** East-West, cultural identity, Modern Arabic Literature, Al-Tayyib Salih, Season of Migration to the North, The Doum-tree of Wad Hamid.

**ნინო სურმავა**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*საქართველო, თბილისი*

### **კულტურული იდენტობის პრობლემა ატ-ტაიბ სალიჰის შემოქმედებაში („მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“ და „ვად ჰამიდის პალმის ხე“ )**

კულტურული იდენტობის პრობლემა თანამედროვე არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ეს სრულიად ბუნებრივია იმ ხალხისთვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დასავლური სამყაროს ბატონობის ქვეშ იყო. კოლონიალიზმის ეპოქაში ორი სრულიად განსხვავებული სამყაროს შეხვედრამ და კულტურათა კონფრონტაციის მოტივმა ფართო ასპარეზი ჰყოვა ლიტერატურულ ტექსტებში. როგორც ევროპელი, ისე არაბული ლიტერატურული დისკურსი (სადაც აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის თემა წინ წამოწეული), ფაქტობრივად, შედეგია დასავლური კოლონიური პოლიტიკისა, რომელმაც მთელი სისტემა შექმნა: თუ როგორ უყურებდა ევროპა არაბულ სამყაროს და როგორ ქმნიდა გარკვეულ სტერეოტიპებს მასზე, რასაც აღმოსავლეთის მხრიდან, ბუნებრივია, საპასუხო რეაქცია მოჰყვა, გაძლიერდა იდენტობის გამოკვეთის მოთხოვნილება. შესაბამისად, აღმოსავლეთმაც ჩამოაყალიბა გარკვეული სტერეოტიპები დასავლურ

ცივილიზაციაზე. მეტიც, XX საუკუნის ზოგიერთი არაბული ლიტერატურული ტექსტი პოსტკოლონიურ ეპოქაში შურისძიებისკენ მიმართულ ერთგვარ იარაღადაც კი იქცა.

თანამედროვე არაბული ლიტერატურა მდიდარია ისეთი მხატვრული ნაწარმოებებით, რომლებიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთაღქმის პრობლემებს ეხება. არაერთ არაბულ რომანში კულტურული იდენტობის საკითხი წამოჭრილია როგორც ორი განსხვავებული კულტურული ღირებულების შეხვედრის შედეგი. ჩვენი ინტერესის ფოკუსში მოექცა სუდანელი ემიგრანტი მწერლის, ატ-ტაიბ სალიჰის რომანი „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“ და მისივე ნოველა „ვად ჰამიდის პალმის ხე“. კულტურული იდენტობის საკითხი სალიჰის შემოქმედებაში ერთ-ერთი წამყვანია, განსაკუთრებით კი რომანში „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“. მასში მწერალი წარმოაჩენს იდენტობის იმ კრიზისებს, რომელიც წარმოიქმნება სუდანური და დასავლური კულტურული გავლენების გადაკვეთის შედეგად. ნოველაში „ვად ჰამიდის პალმის ხე“ ავტორი სოფლის ცხოვრებას, ტრადიციებს და რწმენებს თანამედროვე ურბანულ გარემოს უპირისპირებს. მთხრობელის შინაგანი კონფლიქტი გამოხატავს იმ ბრძოლას, რომელსაც სუდანური საზოგადოება კულტურული გარდაქმნის პროცესში გადის. ტრადიცია მოდერნიზაციის პირისპირ – ეს კულტურული იდენტობის პრობლემის ერთ-ერთი ცენტრალური ასპექტია ხსენებულ ნოველაში.

სალიჰის ტექსტები ღრმად იკვლევენ კულტურული იდენტობის თემას პოსტკოლონიურ სამყაროში. მისი პერსონაჟები განიცდიან იმ შინაგან კონფლიქტებს, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როცა ადამიანი მოქცეულია ორ: კოლონიურსა და მშობლიურ, თანამედროვესა და ტრადიციულ, დასავლურსა და აღმოსავლურ – სამყაროს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** აღმოსავლეთ-დასავლეთი, კულტურული იდენტობა, თანამედროვე არაბული ლიტერატურა, ატ-ტაიბ სალიჰი, მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში, ვად ჰამიდის პალმის ხე.

**Khatuna Tabatadze**

*Georgian Technical University*

*International Black Sea University*

*Georgia, Tbilisi*

### **Existential Discourse of Russian Emigration in the 1920s-1930s**

**(B. Poplavsky, G. Gazdanov, A. Remizov)**

The Russian emigration of the 1920s–1930s gave rise to a unique literary stratum in which existential issues took center stage. In the context of losing their homeland, political instability, and cultural alienation, émigré writers turned to questions of existence, loneliness, identity, and spiritual search. The literature of the émigrés often reflects deep inner introspection connected to the experience of losing their homeland and the attempt to find a place in a new world.

An anxious atmosphere of inner disintegration and metaphysical fatigue marks the works of Boris Poplavsky. His characters are outsiders standing at the edge of life and death, constantly searching for a meaning that slips away in the chaos of existence. Poplavsky's language is saturated with symbols and visions, giving his prose a mystical, almost prophetic quality. For Poplavsky, emigration is perceived as a total collapse of meaning. He sees Paris not as a salvation, but as a chaotic and alien space.

Gaito Gazdanov, in turn, focuses on the crisis of memory and identity. In his novels, the existential motif emerges through the figure of a reflective narrator experiencing an inner split between past and

present, dream and reality. Gazdanov shows how the émigré existence becomes a metaphor for life beyond time and space. He perceives emigration as life lived in the past.

The literary style of Aleksei Remizov is characterized by a distinct self-reflection and an interest in language as a bearer of cultural memory. His texts create an image of inner exile, where human existence is intertwined with a sacred search for oneself and for God in a shattered world. For him, emigration is an ascetic transformation.

The works of these authors demonstrate how the Russian emigration formed a specific existential discourse grounded in rupture from reality and profound inner reflection. Their texts are filled with existential anxiety, reflections on loneliness, alienation, and the absurdity of existence. The emphasis in their writing is placed on the inner experience of the characters and their spiritual quest, rather than on external plot dynamics.

**Keywords:** Russian emigration, Existential discourse, Identity, Lost homeland, Inner reflection.

### ხათუნა ტაბატაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

## რუსული ემიგრაციის ეგზისტენციალური დისკურსი 1920-30-იან წლებში

(ბ. პოპლავსკი, გ. გაზდანოვი, ა. რემიზოვი)

1920–1930- იანი წლების რუსულმა ემიგრაციამ უნიკალური ლიტერატურული ფენომენი წარმოშვა, სადაც ეგზისტენციალურ პრობლემატიკას ცენტრალური ადგილი ეჭირა. სამშობლოს დაკარგვის, პოლიტიკური არასტაბილურობის და კულტურული გაუცხოების პირობებში, ემიგრანტი მწერლები ყოფნის, მარტოობის, იდენტობისა და სულიერი ძიების საკითხებს უბრუნდებიან. ემიგრანტულ ლიტერატურაში ხშირია ღრმა შინაგანი რეფლექსიის არეკვლა, რომელიც დაკავშირებულია სამშობლოს დაკარგვის განცდებთან და ახალ სამშობლოში ადგილის პოვნისა და დამკვიდრების სწრაფვასთან.

ბორის პოპლავსკის ნაწარმოებები შიდა დაშლისა და მეტაფიზიკური დაღლილობის შემაფოთებელი ატმოსფეროთი გამოირჩევა. მისი გმირები სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე მდგომნი მარგინალებია. ისინი მუდმივად არიან ცხოვრების მნიშვნელობის ძიებაში, რომელიც ყოფიერების ქაოსში საკმაოდ რთული მოსაძებნია. პოპლავსკის ენა სიმბოლოებით და ხილვებითაა გაჯერებული, რაც მის პროზას მისტიკურ, თითქმის წინასწარმეტყველურ ხასიათს სძენს. ემიგრაცია მისთვის მნიშვნელობის ტოტალურ ნგრევად აღიქმება. იგი პარიზს აღიქვამს არა როგორც ხსნას, არამედ როგორც ქაოსურ და უცხო სივრცეს.

გაიტო გაზდანოვი კი მეხსიერებისა და იდენტობის კრიზისზე ახდენს კონცენტრირებას. მის რომანებში ეგზისტენციალური მოტივი რეფლექსირებადი მთხრობელის ფიგურით ვლინდება, რომელიც წარსულსა და აწმყოში შიდა ორჭოფობას განიცდის, თითქმის იმყოფება სიზმარსა და ცხადს შორის. გაზდანოვი გვიჩვენებს, თუ როგორ იქცევა ემიგრანტის ყოფიერება დროისა და სივრცის მიღმა ცხოვრების მეტაფორად. მისთვის ემიგრაცია ცხოვრებას წარსულში წარმოადგენს.

ალექსეი რემიზოვის ლიტერატურულ სტილს განსაკუთრებული თვით რეფლექსია და ენისადმი ინტერესი ახასიათებს, როგორც კულტურული მეხსიერების მატარებლისადმი. მისი ტექსტები შიდა განდევნის ხატს ქმნიან, სადაც ადამიანის ეგზისტენცია დაკავშირებულია საკუთარი თავისა და ღმერთის საკრალურ ძიებასთან დანგრეულ და განადგურებულ სამყაროში. მისთვის ემიგრაცია უფრო ასკეტურ ტრანსფორმაციას წარმოადგენს.

ამ ავტორთა შემოქმედება ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ჩამოაყალიბა რუსულმა ემიგრაციამ სპეციფიური ეგზისტენციალური დისკურსი, რომელიც რეალობასთან გაწყვეტასა და ღრმა შინაგან რეფლექსიას ეფუძნება. მათი ტექსტები სავსეა ეგზისტენციალური შფოთვით, მარტოობის, გაუცხოებისა და არსებობის აბსურდულობის გააზრებით. აქცენტი გადატანილია გმირების შინაგან გამოცდილებაზე, მათ სულიერ ძიებაზე და არა გარე სიუჟეტურ დინამიკაზე.

**საკვანძო სიტყვები:** რუსული ემიგრაცია, ეგზისტენციალური დისკურსი, იდენტობა, დაკარგული სამშობლო, შინაგანი რეფლექსია

**Solomon Tabutsadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **A New Generic Form of the Novel – Elene Bochorishvili's Stenographic Novels**

1. Elene Bochorishvili's stenographic novels in the context of postcolonial culture;
2. Experienced and communicative memory as the foundation of Bochorishvili's artistic prose;
3. The polyphony of narration: geographical and identity transpositions;
4. Layers of Bochorishvili's artistic chronicle: "intermediate identity" and Georgian cultural codes;
5. Between forgetting and remembering.

**სოლომონ ტაბუცაძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **რომანის ახალი ჟანრული სახეობა – ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები**

1. ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები პოსტკოლონიური კულტურის კონტექსტში;
2. განცდილი, კომუნიკაციური მეხსიერება – ელენე ბოჭორიშვილის მხატვრული პროზის საფუძველი;
3. თხრობის პოლიფონია, გეოგრაფიული და იდენტობითი ტრანსპოზიციები;
4. ბოჭორიშვილის მხატვრული ქრონიკის შრეები „შუალედური იდენტობა“ და ქართული კულტურული კოდები;
5. დავიწყებასა და გახსენებას შორის.

**Tamar Tagvadze**  
**Nino Mindiashvili**  
*Caucasus International University*  
*Georgia, Tbilisi*

### **National Paradigms of the Newspaper "Sakartvelo"**

Georgian emigrant press made a significant contribution to the formation process of Georgian socio-political thought. The formation of political parties that began in Georgia in the 1890s was preceded by significant changes, which were also expressed in the creation and actions of programs by national forces. Archil Jorjadze's "Common Action Platform" failed to awaken the nation, but the necessity of an action program for the "Tsnobis Purtseli" (Knowledge Sheet) group became apparent. This was accompanied by the group's formation into a political organization, for which the groundwork was prepared by the first printed Georgian emigrant newspaper "Sakartvelo" (Georgia), which was published in Paris from 1903-1905, along with the newspaper's French-language supplement "La Georgie".

In its first year of existence, "Sakartvelo" consistently substantiated national-political views in every issue, which was impossible in the Georgian legal press of that time. Its editorial articles addressed political, social, and economic issues. After the creation of the Socialist-Federalist Party, "Sakartvelo" became the party's organ. The publications of "Sakartvelo," marked by the characteristics of political rhetoric, reflected the directions of Georgian political discourse of that time.

As a result of studying the newspaper "Sakartvelo," it is established that the periodical laid the foundation for a culture of discussion with European diplomacy, outlined national paradigms, which subsequently became the cornerstone of Georgian emigrant press.

**Keywords:** emigration, press, newspaper "Sakartvelo," politics, culture.

**თამარ თავგაძე**

**ნინო მინდიაშვილი**

*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი*

*საქართველო, თბილისი*

### **გაზეთ „საქართველოს“ ეროვნული პარადიგმები**

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ფორმირების პოცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულმა ემიგრანტულმა პრესამ. XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დაწყებულ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას წინ მნიშვნელოვანი ცვლილებები უძღოდა, რაც ეროვნული ძალების მიერ პროგრამის შექმნასა და მოქმედებაშიც გამოიხატა. არჩილ ჯორჯაძის „საერთო მოქმედების ნიადაგმა“ ერის გამოფხიზლება ვერ შეძლო, მაგრამ „ცნობის ფურცლის“ ჯგუფის სამოქმედო პროგრამის აუცილებლობა გამოკვეთა. ამის თანმდევი იყო ჯგუფის პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბება, რისთვისაც ნიადაგს ამზადებდა პირველი ბეჭდური ქართული ემიგრანტული გაზეთი „საქართველო“, რომელიც პარიზში 1903-1905 წლებში გამოდიოდა, მასთან ერთად – გაზეთის ფრანგულენოვანი დამატება „La Georgie“.

არსებობის პირველ წელს „საქართველო“ ყველა ნომერში თანმიმდევრულად ასაბუთებდა ეროვნულ-პოლიტიკურ შეხედულებებს, რაც იმდროინდელ ქართულ ლეგალურ პრესაში შეუძლებელი იყო. მისი სარედაქციო წერილები პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს ეხებოდა. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის შემდგომ კი, „საქართველო“ პარტიის

ორგანო გახდა. პოლიტიკური მქვერმეტყველების თავისებურებებით აღბეჭდილი „საქართველოს“ პუბლიკაციები იმდროინდელი ქართული პოლიტიკური დისკურსის მიმართულებებს ასახავდა.

გაზეთ „საქართველოს“ შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერიოდულმა გამოცემამ საფუძველი ჩაუყარა ევროპულ დიპლომატიასთან დისკუსიის კულტურას, გამოკვეთა ნაციონალური პარადიგმები, რაც შემდგომში ქართული ემიგრანტული პრესის საუბჟლადაც იქცა.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია, პრესა, გაზეთი „საქართველო“, პოლიტიკა, კულტურა.

**Miranda Tkeshelashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Georgian Emigrant Literary Criticism of the 1930s about the Literary Process Taking Place in Soviet Georgia**

The Georgian emigrant literature of the 20th century is part of the national heritage; along with the literary texts created in exile, the emigrant Georgian literary criticism is equally, and perhaps even more important. Unlike the literary process taking place in Georgia, it was free from conjuncture. Emigrant critics showed a special interest in the literary life taking place in Georgia, and, often, saw them from afar much more correctly and clearly than those before whose eyes these events were taking place.

The emigrant critics campaigned especially harshly against proletarian literature, exposing the goal of the Bolshevik state to turn literature into a party, propaganda tool, the best class weapon.

On the one hand, emigrant critics mercilessly exposed Soviet literature and the principles of socialist realism, on the other hand, they did not lose sight of the highly artistic works published in the Georgian literary world. However, for the sake of objectivity, it must be noted that, quite often, it was difficult to see and understand from the emigration the pressure under which writers working in Georgia had to create literary texts. The emigrant critics' attitude towards them was not based on objective reality; they were too strict in demanding the protection of national principles, which was impossible under the strictest dictates of the Soviet ideological conjuncture and the false principles of socialist realism.

The article presents the above-mentioned attitude towards specific authors and works using the examples of publications by several Georgian periodicals published in Paris.

**მირანდა ტყეშელაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

*საქართველო, თბილისი*

### **1930-იანი წლების ქართული ემიგრანტული სალიტერატურო კრიტიკა საბჭოთა საქართველოში მიმდინარე სალიტერატურო პროცესის შესახებ**

მე-20 საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილია. ემიგრაციაში შექმნილ მხატვრულ ტექსტებთან ერთად, არანაკლებ და შეიძლება უფრო მეტადაც, მნიშვნელოვანია მეოცე საუკუნის ემიგრანტული ქართული სალიტერატურო კრიტიკა, რომელიც, საქართველოში მიმდინარე სალიტერატურო პროცესისაგან განსხვავებით, კონიუნქტურისაგან

თავისუფალი იყო. ემიგრანტი კრიტიკოსები გამორჩეულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოში მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების მიმართ, თავსმოხვეული კლიშეების გარეშე აფასებდნენ საკუთარ სამშობლოში მიმდინარე მოვლენებს და, ხშირად, შორიდან გაცილებით სწორად და მკაფიოდ ხედავდნენ, ვიდრე ისინი, ვის თვალწინაც ეს მოვლენები მიმდინარეობდა.

ემიგრანტი კრიტიკოსები განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებენ პროლეტმწერლობის წინააღმდეგ, აშკარაა, რომ ბოლშევიკური სახელმწიფოს მიზანს, ექცია ლიტერატურა პარტიულ, საპროპაგანდო საშუალებად, საუკეთესო კლასობრივ იარაღად.

ემიგრანტი კრიტიკოსები ერთი მხრივ, დაუნდობლად ამხელდნენ საბჭოთა მწერლობას, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებს, მეორე მხრივ, მხედველობიდან არც ქართულ საბჭოთა მწერლობაში გამოქვეყნებული ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები რჩებოდათ. თუმცა, ობიექტურობისთვის, ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, არცთუ იშვიათად, ემიგრაციიდან რთულად დასანახი და აღსაქმელი იყო, თუ რა წნეხის ქვეშ უწევდათ ლიტერატურული ტექსტების შექმნა საქართველოში მოღვაწე მწერლებს. მათ მიმართ ემიგრანტ კრიტიკოსთა დამოკიდებულება ობიექტური რეალობის გაუთვალისწინებლად ხდებოდა, ისინი მეტისმეტად მკაცრად ითხოვდნენ ეროვნული პრინციპების დაცვას, რაც საბჭოთა იდეოლოგიური კონიუნქტურისა და სოცრეალიზმის ყალბი პრინციპების უმკაცრესი დიქტატის პირობებში შეუძლებელი იყო.

მოხსენებაში, პარიზში გამომავალი რამდენიმე ქართული პერიოდული ორგანოს პუბლიკაციების მაგალითზე, წარმოჩენილია ზემოთმოტანილი დამოკიდებულება კონკრეტული ავტორებისა და ნაწარმოებების მიმართ.

**Nana Trapaidze**

**Alkazar Kashia**

*Shota Rustaveli State University of Batumi*

*Georgia, Batumi*

### **The Politics of Memory and Aspects of Collective Identity Formation in the Ethno-Consciousness of Georgian Communities in Turkey**

In today's cultural, political, and social context, memory is no longer understood as a neutral or objective phenomenon. Rather, it actively participates in the politics of identity formation, shaping collective understandings of the past through selective and intentional construction. The filtering of memory, the silencing or monumentalization of trauma, are not simply ways of interpreting the past—they are also techniques of power. In this dynamic, literature functions as a counterforce to dominant narratives, imagining alternative memories and reminders, and creating a space where individual experiences are woven into the matrix of collective memory. It is precisely these transformative processes that shape the construction of identity within literary texts – whether national, ethnic, or generational.

The hybrid identity that emerged from the forced migration of populations from western Georgia during the Russo-Ottoman War – combining ethnic Georgian heritage, Muslim religious affiliation, and Turkish civic identity – has generated internal tensions between confessional belonging and ethnic culture. This is due to the fact that, in hybrid contexts, religious orthodoxy and ethnicity often fail to align within a unified historical-cultural narrative.

In this regard, political factors connected to the border dispute between the USSR and Turkey must also be considered. On the one hand, Turkey sought to develop a situational policy that served its territorial and political interests. This included integrating borderland populations into the Turkish state and politically neutralizing them. The Turkish government was particularly focused on groups with historical

ties to the Soviet Union. Georgian muhajirs, as former residents of Georgia, became strategically significant in this context. Turkey's goal was to incorporate these groups into its national framework, which also involved a measured encouragement of cultural pluralism.

On the other hand, the Soviet political elite engaged in an active campaign for the reintegration of historically Georgian lands, accompanied by propaganda and the mobilization of writers, scientists, and public intellectuals. The situation of Muslim Georgians living in the Soviet border region (the Autonomous Republic of Adjara) also had political urgency, leading to ideological indoctrination efforts in which literature played a central role.

This paper will offer a detailed discussion of the literary interests of Georgian communities in Turkey and the translation practices that sustained cultural continuity with their historical roots. These activities began in the 1940s – with the largely overlooked literary contributions of Niyazi Ahmed Banoglu – and gained intensity in the 1960s.

Ultimately, the literary life and interests of Georgians in Turkey were determined by a confluence of factors: the imperative to preserve and protect local identity, the rise of newly emergent secular cultural and political dynamics, creative impulses, and the broader geopolitical environment. Within this configuration, literature came to serve not only as a means of safeguarding identity, but also as a discursive space for dialogue between the Georgian communities in Turkey and the Georgian homeland.

**ნანა ტრაპაიძე**

**ალკაზარ კაშია**

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი*

*საქართველო, ბათუმი*

### **მეხსიერების პოლიტიკა და კოლექტიური იდენტობის ჩამოყალიბების ასპექტები თურქეთელ ქართველთა ეთნოცნობიერებაში**

**თანამედროვე კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ კონტექსტში მეხსიერება აღარ განიხილება როგორც ნეიტრალური ან ობიექტური აქტი. იგი აქტიურად მონაწილეობს იდენტობის განსაზღვრის პოლიტიკაში, აყალიბებს კოლექტიურ წარმოდგენებს წარსულზე და მის აღქმას, როგორც შერჩევით და მიზანმიმართულ კონსტრუქციაზე. მეხსიერების შერჩევითობა, გაფილტვრა, ტრავმის დაფარვა ან მონუმენტალიზება არა მხოლოდ წარსულის ინტერპრეტაციაა, არამედ ძალაუფლების ტექნიკაც და ამ პროცესში ლიტერატურა ის ენერგიაა, რომელიც უპირისპირდება დომინანტურ ნარატივებს, წარმოსახავს ალტერნატიულ მოგონებებს თუ შეხსენებებს და ქმნის სივრცეს, სადაც ინდივიდუალური გამოცდილებები გადაიზრდება კოლექტიური მეხსიერების მატრიცაში. სწორედ ამგვარი ტრანსფორმაციის პროცესები განსაზღვრავენ იდენტობის კონსტრუირებას ლიტერატურულ ტექსტებში – იქნება ეს ეროვნული, ეთნიკური თუ თაობათა იდენტობა.**

რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის იძულებითი მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბებულმა ჰიბრიდულმა იდენტობამ, რომელიც აერთიანებს ეთნიკურ ქართველობას, რელიგიურ მუსლიმობასა და თურქულ სამოქალაქო იდენტობას, წარმოშვა შიდა დილემები კონფესიურ მიკერძოებულობასა და ეთნიკურ კულტურას შორის, რადგან რელიგიური ორთოდოქსალიზმი და ეთნიკურობა, ჰიბრიდიზაციის შემთხვევაში, ხშირად არ ემთხვევა საერთო ისტორიულ-კულტურულ ნარატივს.

ამ კონტექსტში გასათვალისწინებელია, პოლიტიკური ფაქტორები, რომელიც უკავშირდება სსრკ-სა და თურქეთს შორის არსებულ სასაზღვრო დავას. ერთი მხრივ, თურქეთი ცდილობდა თავისი ტერიტორიულ-პოლიტიკური ინტერესებისთვის საკუთარი სიტუაციური პოლიტიკის გამომუშავებას, რაც გულისხმობს სასაზღვრო ტერიტორიაზე არსებული ხალხების ინტეგრირებას



თურქულ სახელმწიფოში და მათი პოლიტიკური განეიტრალების ტაქტიკას. თურქეთი დაინტერესებული იყო იმ ჯგუფებით, რომელთაც ისტორიული კავშირები ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან. გურჯი მუჰაჯირები, როგორც საქართველოს ყოფილი მაცხოვრებლები, თურქეთისთვის ამ კონტექსტში სტრატეგიულად საინტერესო გახდნენ. თურქეთს აინტერესებდა ამ ჯგუფების ინტეგრაცია სახელმწიფოს ერთიან სივრცეში, რაც ნაწილობრივ კულტურული პლურალიზმის დოზირებულ წახალისებასაც გულისხმობდა.

მეორე მხრივ, სსრკ-ს უმაღლესი პოლიტიკური მესვეურები, ინტენსიურად ახორციელებდნენ საბჭოთა პოლიტიკას უძველესი ქართული მიწების შემოერთების შესახებ, რასაც პროპაგანდისტული კამპანიაც ახლდა თან და რაშიც აქტიურად იყო ჩართული მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი გავლენის მქონე პირების რესურსი. პოლიტიკურად აქტუალური იყო სსრკ-ს შემადგენლობაში არსებული სასაზღვრო ტერიტორიების (აჭარის ა/რ) და იქ მცხოვრები მუსლიმი ქართველების საკითხიც, მათი პოლიტიკური ინდოქტრინაცია და ამისთვის ლიტერატურული ბერკეტების გამოყენება.

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული თურქეთელი ქართველების ლიტერატურული ინტერესები და მთარგმნელობითი პროცესი, რომელიც ისტორიულ ფესვებთან კულტურული კავშირის უწყვეტობას უკავშირდებოდა. ეს პროცესი იწყება გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან (ნიაზ აჰმედ ბანოღლუს ლიტერატურული ინტერესები, რომელიც ყურადღების მიღმა დარჩა), ხოლო ინტენსიური ხასიათი 60-ებში მიიღო.

დაბოლოს, თურქეთელი ქართველების ლიტერატურული ინტერესი და ცხოვრება მრავალი ფაქტორით განსაზღვრული მოვლენა იყო: იგი განაპირობა ადგილობრივი იდენტობის შენარჩუნება-დაცვის სწრაფვამ, ახლადამოცნებულმა სეკულარულმა კულტურულ-პოლიტიკურმა დინამიკამ, შემოქმედებითმა განწყობებმა და გეოპოლიტიკურმა გარემომ. ამ მოცემულობაში ლიტერატურა იქცა არა მხოლოდ იდენტობის შენარჩუნების, არამედ დიალოგის სივრცედ თურქეთელ ქართველებსა და საქართველოს შორის.

**Tamar Tsitsishvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

**Nino Gambashidze**

*Vano Sarajishvili Tbilisi State Conservatoire*

*Association of Analytical Psychology*

*Georgia, Tbilisi*

### **Georgian Women in Emigration (The Gambashidzes)**

As a result of the occupation of Georgia by Bolshevik Russia, a part of the country's population had to leave their homeland. Among them was the family of the famous Georgian doctor and public figure, Vakhtang Gambashidze (1872-1951). Many papers have been written about Vakhtang Gambashidze and his family, but this work concerns the women of this family (wife Wanda Hope, daughters: Medea, Georgetta and Sunana), the homeland they saw, the years spent abroad and their activities, and the Georgia they saw from emigration. Their attempt not to lose touch with their homeland, with the other part of the large family that remained on the other side of the Iron Curtain. Through the history of the women of one family

living abroad, we have tried to show in the work what possible socio-emotional situation the first wave of immigrants in France was characterized by, given the political situation of that era. The work also touches on some problems of identity issues, which are discussed on the example of the women of the large Gambashidze family. Along with the published scientific literature, the work will use unknown archival material preserved in the family for the first time.

**Keywords:** France, emigration, Medea Ghabashidze, Susana Ghabashidze, Georgetta Ghabashidze.

#### **თამარ ციციშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი*

#### **ნინო ღამბაშიძე**

*ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია  
საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის ასოციაცია*

### **ქართველი ქალები ემიგრაციაში (ღამბაშიძეები)**

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის ერთ ნაწილს სამშობლოს დატოვება მოუწია. მათ შორის აღმოჩნდა ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ ღამბაშიძის (1872–1951) ოჯახი. ვახტანგ ღამბაშიძესა და მის ოჯახზე ბევრი შრომებია გამოცემული, მაგრამ წინამდებარე ნაშრომი პირველად ამ ოჯახის ქალბატონებს – მეუღლეს ვანდა ჰოპეს, ქალიშვილებს: მედეას, ჟორჟეტას და სუნანას ეხება. მათ მიერ საქართველოდან შორს უცხოებაში განვლილ წლებს და საქმიანობას, ემიგრაციიდან დანახულ სამშობლოს. მათ მცდელობას კავშირი არ გაეწყვიტათ საქართველოსთან, თავიანთი დიდი ოჯახის მეორე ნაწილთან, რომელიც რკინის ფარდის მეორე მხარეს დარჩა და რეპრესიებს ვერ გადაურჩა. ერთი ოჯახის ქალბატონების უცხოებაში განვლილი ისტორიის მეშვეობით ჩვენ შევეცადეთ ნაშრომში გვეჩვენებინა იმ ეპოქის პოლიტიკური ვითარების პირობებში, რა შესაძლო სოციო-ემოციური მდგომარეობით ხასიათდებოდა საფრანგეთში ემიგრანტების პირველი ტალღა. ნაშრომი ასევე ეხება იდენტობის საკითხების ზოგიერთ პრობლემას, რომელიც ღამბაშიძეების დიდი ოჯახის ქალბატონების მაგალითზეა განხილული. გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, ნაშრომში პირველად იქნება გამოყენებულია ოჯახში დაცული უცნობი საარქივო მასალა.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრაცია , საფრანგეთი , მედეა ღამბაშიძე, სუნანა ღამბაშიძე, ჟორჟეტა ღამბაშიძე.

#### **Maia Tsertsvadze**

*Georgian Technical University  
Georgia, Tbilisi*

### **Nikoloz Baratashvili in Georgian Émigré Literature**

As is well known, following the occupation and annexation of Georgia by Soviet Russia in 1921, which led to the establishment of Bolshevik regime in the country, the Georgian people put up fierce resistance. This resistance culminated a few years later in a massive national uprising, which was brutally suppressed by the regime. In the wake of these events, severe repressions were unleashed against Georgian

patriots. Many of them, both out of fear of persecution and with the intent to continue their political struggle, fled abroad. A significant wave of émigrés settled across European countries and the American continent, where they gradually established strong centers of Georgian political and cultural emigration and began their activities. In addition to their political agenda, they were also committed to the promotion of Georgian culture, art, and literature. Despite the hardships of émigré life, dedicated Georgian enthusiasts launched publishing and journalistic endeavors, founding various newspapers and journals.

In these publications, editors and authors regularly featured materials in Georgian and about Georgia, including scholarly, journalistic, and literary texts, as well as reflections and essays dedicated to Georgian writers and public figures. Among these writers, naturally, is the great Georgian Romantic poet Nikoloz Baratashvili (1817–1845), whose brilliant poetry and notably tragic biography – together with the historical and socio-cultural context of his era – have always attracted the attention of literary scholars, historians, and researchers of various disciplines, both within Georgia and beyond its borders. It is telling that prominent figures of the Georgian émigré community, such as Nino and Kalistrate Salia, named their Paris-based scholarly journal of Kartvelology after Baratashvili's poem, *The Fate of Georgia*.

The report offered at this conference aims to review all relevant materials (including literary, journalistic, and scholarly texts) and events within émigré literature that pertain to the Romantic poet. In doing so, we hope to contribute to both Baratashvilology and the study of the Georgian émigré history.

**Keywords:** Nikoloz Baratashvili, Georgian emigration, Georgian émigré literature, Bedi Kartlisa journal, Georgian émigrés on Nikoloz Baratashvili.

## მაია ცერცვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველო, თბილისი

## ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში

როგორც ცნობილია, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასა და ანექსიას, რასაც ქვეყანაში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარება მოჰყვა, ქართველი ხალხი მედგრად შეეწინააღმდეგა. ეს წინააღმდეგობა, რაც სამოედ წლის შემდეგ მომხდარ მასობრივ განმათავისუფლებელ აჯანყებაშიც გამოიხატა, რეჟიმმა სისხლში ჩაახშო და ქართველი პატრიოტების მიმართ უსასტიკესი რეპრესიები წამოიწყო. მათმა ნაწილმა ერთი მხრივ სასჯელის შიშით და მეორე მხრივ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელების მიზნით მაშინ უცხოეთს მიაშურა. ემიგრანტთა დიდი ნაკადი გაემართა და დამკვიდრდა როგორც ევროპის ქვეყნებში, ასევე ამერიკის კონტინენტზე. იქ მათ თანდათანობით ქართული პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის მძლავრი კერები შექმნეს და თავიანთი მოღვაწეობა გაშალეს. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ მხარესთან ერთად ქართული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციასაც მოიცავდა. ემიგრანტული ცხოვრების თანმდევი სირთულეებით შეჭირვებულმა ენთუზიასტმა ქართველებმა დიდი ძალისხმევით საგამომცემლო და ჟურნალისტური საქმიანობაც წამოიწყეს და სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები დააარსეს.

აღნიშნულ გამოცემებში მათი მესვეურნი და ავტორები ათავსებდნენ ქართულ და საქართველოსადმი მიძღვნილი მასალებს, სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრულ ტექსტებს, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევს, მათი ცხოვრება-შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს. ამ მწერალთა შორის არის, ბუნებრივია, დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილიც (1817-1845), რომლის გენიალური პოეზია და გამორჩეულად ტრაგიკული ბიოგრაფია, ეპოქა და სოციალურ-კულტურული გარემო მუდამ იყო და არის ლიტერატურისმცოდნეების,

ისტორიკოსების, ასევე სხვა დარგის მკვლევართა ინტერესის საგანი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მრავლისმთქმელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული ემიგრაციის ისეთმა ცნობილმა წარმომადგენლებმა, როგორებიც წიწკო და კალისტრეტე სალიები იყვნენ, ჰარდში დაარსებულ თავიანთ ქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალს ბარათაშვილის პოემის სათაური, „ბედი ქართლისა“ უწოდეს.

კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებაში შევეცდებით მიმოვიხილოთ ემიგრანტული ლიტერატურის ყველა ის მასალა (მხატვრულ-პუბლიცისტური და სამეცნიერო ტექსტები) თუ მოვლენა, რომელიც რომანტიკოს პოეტს უკავშირდება. ამით, ვფიქრობთ, ხელს შევუწყობთ როგორც ბარათაშვილოლოგიურ, ასევე ქართული ემიგრაციის კვლევებს.

**საკვანძო სიტყვები:** ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქართული ემიგრაცია, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, ქართველი ემიგრანტები ნიკოლოზ ბარათაშვილზე.

**Archil Tserediani**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Konstantine Savarsamidze's Journey From the Periphery to the Center and Back**

**(Based on Konstantine Gamsakhurdia's "Dionysus' Smile")**

This report will attempt to illustrate the journey of Konstantine Savarsamidze, the protagonist of Konstantine Gamsakhurdia's novel "Dionysus' Smile." Savarsamidze begins his life's path on the extreme periphery, from Taiya Shelia's native hut, and travels to the heart of then-contemporary Europe, Paris. His emigration is not connected to political persecution or pressure; rather, it carries a certain positive connotation. This is also an inner journey, whose mission is to "reconcile" two worlds: one, his native world, full of myth, magic, and mystery, and the other, a modern, desacralized, technocratic European city.

In this research study, we utilize Joseph Campbell's renowned work, "The Hero with a Thousand Faces," where the author proposes a universal structure for the hero's journey. The work examines the hero's path, which is circular in nature. It begins at home, and the author then meticulously follows each point until the transformed hero returns home again. Along the way, the hero undergoes various transformations and acquires new wisdom. In the middle of the journey, the hero crosses the boundary of their familiar world and enters an unfamiliar one. They have a goal, and once it is achieved, the journey back begins. In our opinion, Gamsakhurdia's hero also follows this path. However, unlike the classical model, Savarsamidze fails to accomplish the main task of "reconciling" the two worlds upon his return. This is an impossible task because modern urban civilization leaves no space for the mythical world; it is aggressive, expansionist, and uncompromising. The tragic fate that befalls the character of this modernist novel is largely determined by this very fact.

**Key words:** Modernist Novel; Joseph Campbell; Hero's Journey; Konstantine Gamsakhurdia; Urban Text.

## არჩილ წერედიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### კონსტანტინე სავარსამიძის გზა პერიფერიიდან ცენტრისაკენ და უკან (კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ მიხედვით)

მოხსენებაში ვეცდებით ვაჩვენოთ კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიონისოს ღიმილის“ მთავარი გმირი, კონსტანტინე სავარსამიძე გზა, რომელიც თავისი ცხოვრების გზას უკიდურეს პერიფერიაზე, ტაია შელიას მშობლიური ქოხიდან იწყებს და მაშინდელი ევროპის გულში, პარიზში მიემგზავრება. მისი ემიგრაცია არ არის დაკავშირებული პოლიტიკურ დევნასა თუ წნეხთან, არამედ მას ერთგვარი პოზიტიური დატვირთვა აქვს. ეს მისი შინაგანი მოგზაურობაცაა, რომლის მისიაც ისაა, რომ ორი, მისთვის მშობლიური, მითოსით, ჯადოსნურობითა და იდუმალებით სავსე სამყარო და მეორე, თანამედროვე, დესაკრალიზებული, ტექნოკრატიული ევროპული ქალაქი ერთმანეთთან „მოარიგოს“.

კვლევისას ვიყენებთ ჯოსეფ კემპზელის ცნობილ ნაშრომს „ათასსახოვანი გმირი“, სადაც ავტორი გვთავაზობს გმირის მოგზაურობის უნივერსალურ სტრუქტურას. ნაშრომში განხილულია გმირის განვლილი გზა, რომელიც წრიული ხასიათისაა. იგი იწყება სახლიდან და შემდეგ ავტორი დაწვრილებით მიუყვება თვითმეტყველ პუნქტს, ვიდრე უკვე გარდასახული გმირი კვლავ შინ არ დაბრუნდება. გზად კი მრავალგვარ გარდასახვას გამოივლის და ახალ სიბრძნეს შეიძენს. მოგზაურობის შუაში გმირი გადალახავს მისთვის ნაცნობი სამყაროს საზღვარს და ხვდება უცხო სამყაროში. მას აქვს მიზანი და მას შემდეგ, რაც იგი მას მიაღწევს, უკვე უკან დაბრუნების გზა იწყება. ჩვენი აზრით, გამსახურდიას გმირიც ამ გზას გაივლის, თუმცა, კლასიკური მოდელისაგან განსხვავებით, სავარსამიძე ვერ ახერხებს შეასრულოს მთავარი ამოცანა, დაბრუნების შემდეგ „მოარიგოს“ ორი სამყარო. ეს შეუძლებელი ამოცანაა, რადგან მოდერნული ქალაქური ცივილიზაცია მითოსური სამყაროსათვის ადგილს არ ტოვებს, იგი აგრესიული, ექსპანსიური და უკომპრომისოა. ის ტრაგიკული ბედი, რაც ამ მოდერნისტული რომანის პერსონაჟს თავს დაატყდება დიდწილად ეს განაპირობებს.

**საკვანძო სიტყვები:** მოდერნისტული რომანი; ჯოსეფ კემპზელი; გმირის მოგზაურობა; კონსტანტინე გამსახურდია; ქალაქური ტექსტი.

Lia Tsereteli

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature  
Georgia, Tbilisi

### “The Swan Song” in Galaktion's Poetry

The motif of the swan song and its symbolism in Galaktion's poetry is inspired by Akaki's verse. Akaki's “divine” hymns evoke a sense of the sacred and the sublime – a state of exalted inspiration. Alongside these “divine” hymns, Akaki also refers to the swan song, defining it as the song sung before death, which conveys the feeling of life's end and the proximity of death. Galaktion absorbed Akaki's poetic worldview from his earliest years. The dying swan's song, found in the poem “Me and the Night,” expresses

precisely this sense of death and directly echoes the symbolic experience of the threshold so vividly portrayed in Akaki's poems. Akaki's influence, the awareness of approaching death, and his "regal sleep" are poetically embodied through divine inspiration:

"And I too shall die in songs as the swan of the lake's sorrow..."

"How the nearness of death transforms. The roses and waterfalls of the dying swan's melodies..."

And finally:

"To be king, to be poet, to die through song..."

Galaktion's "Me and the Night" is imbued with the same meaning of the swan song as found in Akaki's works. In Akaki's poetry, the swan song has deep mythopoetic and philosophical roots. It is well known that Aristotle referred to the swan song as "the song sung before death," while Socrates explained that the swan, through its song, expresses its awareness of the afterlife that awaits it. Plato described the swan song as "melancholic." Ovid's "Metamorphoses" also personifies this theme. From antiquity, the swan song has borne this poetic connotation. In Romantic and Symbolist poetry, it never lost its vitality. In Russian poetry, the swan song became associated with the imagery of the "lake" and permeated all spheres of art (Tchaikovsky's "Swan Lake," as well as visual art). This spirit of the era is palpable in Galaktion's poetry:

"Only once in life does it sing,"

"The swan wounded by the garden of dreams..."

**Keywords:** Swan, Galaktion, Akaki, Poetry, Death.

## ლია წერეთელი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი*

### „გედის სიმღერა“ გალაკტიონის პოეზიაში

გედის სიმღერა და მისი სიმბოლიკა გალაკტიონის პოეზიაში აკაკის პოეზიით არის შთაგონებული. აკაკის „ზევსური“ საგალობლები გულისხმობს ღვთაებრივისა და ამაღლებულობის განცდას, ზემთაგონებას. „ზევსურთან“ ერთად აკაკი გედის სიმღერას ახსენებს და განსაზღვრავს, რომ ეს სიკვდილისწინა სიმღერა სიცოცხლის დასასრულსა და სიკვდილის შეგრძნებას გულისხმობს. აკაკის პოეტური აზროვნება გალაკტიონმა ყრმობიდან შეითვისა. მომავლად გედის სიმღერა ლექსში „მე და ღამე“ სწორედ სიკვდილის განცდას ამკვეთრებს და ზუსტად იმეორებს აკაკის ლექსებში განსახოვნებულ ზღურბლის სიმბოლურ განცდას. „მოხუცის ლანდი“ აკაკის სიახლოვის განცდა და მისი „მეფურ ძილი“ სწორედ ზევსური, პოეტური შთაგონების ძალით ცხადდება:

„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად“ ....

„თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს

მომავლად გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“....

და ბოლოს:

„რომ მეფე ვარ და პოეტი და სიმღერით ვკვდები“....

„მე და ღამე“-ს გამსჭვალავს გედის სიმღერა აკაკისეული საზრისით. თავად აკაკის პოეზიაში მას მითო-პოეტური და ფილოსოფიური ძირები აქვს. ცნობილია, რომ „გედის სიმღერას“ არისტოტელემ უწოდა „სიმღერა სიკვდილის წინ“, სოკრატემ განსაზღვრა, რომ შემდეგ სამყაროში რაც მოელის, მას გრძნობს გედი, ამას გამოხატავს „სიმღერით“, პლატონმა „გედის სიმღერას“ „სევდიანი“ უწოდა. ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ განსახოვნებს მას. ანტიკური პერიოდიდან ამგვარი პო-

ეტური საზრისი აქვს „გედის სიმღერას“. რომანტიკულ, სიმბოლისტურ პოეზიაში არ კარგავს ის ცხოველმყოფლობას. რუსულ პოეზიაში მან „ტბის“ ლანდშაფტი დაიმკვიდრა და ხელოვნების ყველა სფერო მოიცვა ( ჩაიკოვსკის „გედების ტბა“, ასევე ფერწერა). ეპოქის ეს სურნელი იგრძნობა გალაკტიონის პოეზიაში: „სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მღერის“, „გედი დაჭრილი ოცნების ბალით“.

*საკვანძო სიტყვები:* გედი, გალაკტიონი, აკაკი, პოეზია, სიკვდილი.

**Marine Turashvili**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Cultural and Literary Links of Georgian Emigrants in Greece (According to Oral Histories)**

Migration is one of the great challenges of the modern world, as it is based on many reasons. Since the 90s of the last century, our country has repeatedly become a participant in this great process. This time, the research concerns migration from Georgia to Greece and the cultural and literary ties of immigrants with their homeland.

According to statistics, more than 100,000 citizens have left Georgia for Greece, so the Georgian community there is large. They had and still have a small Georgia there – a church, a cultural center, and the newspaper "Ellada".

From December 2002 to the end of 2016, the newspaper of the Georgian diaspora in Greece, "Ellada," was published. Its epigraph uses three lines from Jansug Charkviani's poem "Irinola": "Georgia, / Who gave you a child to lose..." Its founder and editor-in-chief was the immigrant Anna Kurshavishvili.

The publication of the newspaper "Ellada" was associated with many difficulties. Since its publication in Greece was very expensive, the editor did everything by hand, sent it to Georgia and printed it there.

The newspaper's topics were interesting and diverse, as it reflected both the processes taking place in Georgia and the life of our compatriots in Greece. It also had an extensive literary section, where works by contemporary writers, mostly poets, were published. The authors of the articles were mostly women, and for each of them the twenty-four pages of the newspaper were the best way to express their feelings. For example, in her oral history, one of them says: "All immigrants, whether women or men, write their heartache in this newspaper, some in poetry, some in letters, some in essays and some in other ways. This newspaper is nourishing for immigrants..." (R. Khurtsilava, 2010).

Obviously, for Georgian emigrants in Greece, the newspaper "Ellada", and not only it, is precisely the cultural and literary bridge through which they had a continuous connection with their homeland and at least a little alleviated the difficulties of emigration.

**Keywords:** Migration, Greece, Newspaper, Oral History.

## მარინე ტურაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტების კულტურულ-ლიტერატურული ხიდები (ზეპირი ისტორიების მიხედვით)

მიგრაცია თანამდროვე სამყაროს ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, რადგან მას მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყანაც არაერთხელ გამხდარი ამ დიდი პროცესის მონაწილე. ამჯერად კვლევა ეხება საქართველოდან საბერძნეთში მიგრაციას და ემიგრანტების სამშობლოსთან კულტურულ-ლიტერატურულ კავშირებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საქართველოდან საბერძნეთში წასულია 100 000-ზე მეტი მოქალაქე, შესაბამისად, ქართული სათვისტომო იქ მრავალრიცხოვანია. მათ იქ პატარა საქართველო ჰქონდათ და აქვთ – ეკლესია, კულტურის ცენტრი და გაზეთი „ელადა“.

2002 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ბოლომდე გამოდიოდა საბერძნეთის ქართული დიასპორის გაზეთი „ელადა“, რომლის ეპიგრაფად გამოყენებულია ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი „ირინო-ლას“ სამი ტაეპი: „საქართველოვ, / შენ ვინ მოგცა, / შვილი დასაკარგავი...“ მისი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი იყო ემიგრანტი ქალბატონი ანა ყურშავიშვილი.

გაზეთ „ელადას“ გამოქვეყნება ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. რადგან საბერძნეთში მის გამოშვება ძალიან ძვირი ჯდება, რედაქტორი ყველაფერს ხელით აკეთებდა, გზავნიდა საქართველოში და აქ იბეჭდებოდა.

საინტერესო და მრავალფეროვანი იყო გაზეთის თემატიკა, რადგან იგი ასახავდა როგორც საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ასევე, ჩვენი თანამემამულეების ყოფას საბერძნეთში. მას ჰქონდა ვრცელი ლიტერატურული განყოფილებაც, სადაც ქვეყნდებოდა თანამედროვე მწერალთა, უმეტესწილად პოეტთა, ნაწარმოებები. სტატიების ავტორები უმეტესწილად ქალები იყვნენ და თოთოეული მათგანისთვის გაზეთის ოცდაოთხი გვერდი საკუთარი განცდების წარმოჩენის საუკეთესო საშუალება იყო. მაგალითად, თავის ზეპირ ისტორიაში ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „ყველა ემიგრანტი, ქალია თუ კაცია, თავის გულისტკივილს წერს ამ გაზეთში, ზოგი – ლექსით, ზოგი – წერილით, ზოგი – ესე და ზოგი – ისე. მასაზრდოვებელია ეს გაზეთი ემიგრანტებისთვის...“ (რ. ხურცილავა, 2010).

ცხადია, საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისთვის გაზეთი „ელადა“, და არამარტო ის, არის სწორედ ის კულტურულ-ლიტერატურული ხიდი, რომლითაც უწყვეტი კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან და ცოტათი მაინც იმსუბუქებდნენ ემიგრაციის ყოფის სირთულეს.

**საკვანძო სიტყვები:** მიგრაცია, საბერძნეთი, გაზეთი, ზეპირი ისტორიები



**Rusudan Turnava**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

*Georgia, Tbilisi*

### **Georgian Literature and Culture on the Pages of the Revue de Kartvélologie Bedi Kartlisa (1970-1980s)**

Being at a political and cultural crossroads, Georgia has always sought ways to communicate with Europe. Since the Middle Ages, the Georgians have been in contact with Western cultural figures.

In the 19th century, the works of the first European Kartvelologist, Academician Mari-Félicité Brosset, made a great contribution to the study and popularization of Georgian culture. In the 20th century, this achievement was expanded and strengthened by the centers for the study of Georgian culture created in Europe and the United States, especially after World War II. The establishment of contacts between the foreign centers and Georgian scholars was greatly facilitated by the journal of Georgian and Caucasian studies – *Revue de Kartvélologie Bedi Kartlisa*, which was published in European languages in Paris from 1957 to 1984 (in Georgian from 1948 to 1964). Under the leadership of the editors-publishers, Kalistrat and Nino Salia, the journal attracted the attention of scholars and the general public interested in Georgian art and culture around the world, and Paris became the international center of Kartvelology.

Based on publications and personal funds, the work presents:

1. The activities of Kalistrat and Nino Salia as organizers, researchers of Georgian literature and history.
2. A brief overview of the scientific activities of the journal's internationally recognized scientists (Julius Assfalg, Georges Dumézil, René Lafon, David Lang, Charles Mercier, Bernard Outtier...) of the European Scientific Council.
3. The significance of the works of the journal's foreign (René Lafon, Bernard Outtier, Michel van Esbroeck, Robert Triomphe, Yvette Grimaud, Nicole Thierry, Robert Stevenson, Katharine Vivian, Luigi Magarotto, etc.) and Georgian correspondents (Alexandre Baramidze, Akaki Shanidze, Ioseb Megreliдзе, Mikheil Chikovani, Gaston Buachidze, Sergi Tsuladze, etc.) and the cooperation between them in the context of the era.
4. Translations of Georgian poetry according to the *Revue de Kartvélologie Bedi Kartlisa*.
5. Review of new Kartvelological literature (from Georgia and other countries of the world) on the pages of the journal as an important source of information.
6. Conclusion – a general picture created on the basis of 16 volumes published during the research period (1970-1980s) in the context of the era.

**Key words:** The *Revue de Kartvélologie Bedi Kartlisa*, European and American Kartvelologists, The International Center of Kartvelology, Paris.

## რუსუდან თურნავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი  
საქართველო, თბილისი

### ქართული ლიტერატურა და კულტურა „რევუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“ ფურცლებზე (1970-1980-იანი წლები)

პოლიტიკურ და კულტურულ გზაჯვარედინზე მყოფი საქართველო ყოველთვის ეძებდა ევროპასთან კომუნიკაციის გზებს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან დაიწყო ქართველთა ურთიერთობა დასავლეთის კულტურის მოღვაწეებთან.

XIX საუკუნეში პირველი ევროპელი ქართველოლოგის, აკადემიკოს მარი ბროსეს ნაშრომებმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. XX საუკუნეში ეს მონაპოვარი განავრცეს და განამტკიცეს ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილმა ქართული კულტურის შემსწავლელმა ცენტრებმა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. საზღვარგარეთულ ცენტრებსა და ქართველ მეცნიერებს შორის კონტაქტების დამყარებას დიდად შეუწყო ხელი ქართველოლოგიური და კავკასიური კვლევების ჟურნალმა – „რევუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“, რომელიც 1957 წლიდან 1984 წლის ჩათვლით გამოდიოდა პარიზში ევროპულ ენებზე (1948 წლიდან 1964 წლამდე მხოლოდ ქართულად). რედაქტორ-გამომცემლების, კალისტრატე და ნინო სალიების ხელმძღვანელობით ჟურნალმა მსოფლიოში ქართული ხელოვნებითა და კულტურით დაინტერესებული მეცნიერებისა და ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და პარიზი გახდა ქართველოლოგიის საერთაშორისო ცენტრი.

ნაშრომში პუბლიკაციებისა და პირადი ფონდების საფუძველზე წარმოჩენილია:

1. კალისტრატე და ნინო სალიების, როგორც ორგანიზატორების, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევრების საქმიანობა.
2. ჟურნალის ევროპული სამეცნიერო საბჭოს საერთაშორისოდ აღიარებული მეცნიერების (იულიუს ასფალგის, ჟორჟ დიუმეზილის, რენე ლაფონის, დევიდ ლანგის, შარლ მერსიეს, ბერნარ უტიეს...) სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა.
3. ჟურნალის უცხოელი (რენე ლაფონი, ბერნარ უტიე, მიშელ ვან ესბროკი, რობერ ტრიომფი, ივეტ გრიმო, ნიკოლ ტიერი, რობერტ სტივენსონი, ქეთრინ ვივიანი, ლუიჯი მაგაროტო და ა. შ.) და ქართველი კორესპონდენტების (ალ. ბარამიძე, აკაკი შანიძე, იოსებ მეგრელიძე, მიხეილ ჩიქოვანი, გასტონ ბუაჩიძე, სერგი წულაძე და ა. შ.) ნაშრომების მნიშვნელობა და მათ შორის თანამშრომლობა ეპოქის კონტექსტში.
4. ქართული პოეზიის თარგმანები „რევუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“ მიხედვით.
5. ახალი ქართველოლოგიური ლიტერატურის (საქართველოდან და მსოფლოს სხვა ქვეყნებიდან) მიმოხილვა ჟურნალის ფურცლებზე, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო.
6. დასკვნა – საკვლევი პერიოდის (1970-1980-იანი წლები) განმავლობაში გამოცემული 16 ტომის ფონზე შექმნილი საერთო სურათი ეპოქის კონტექსტში.

**საკვანძო სიტყვები:** „რევუ დე კარტველოლოჟი ბედი ქართლისას“, ევროპელი და ამერიკელი ქართველოლოგები, ქართველოლოგიის საერთაშორისო ცენტრი, მეოცე საუკუნე, პარიზი.

**Karina Vamling**  
*Malmö University*  
*Sweden, Malmö*

### **Emigrant Culture in Sweden with Focus on Georgian-Swedish Literary Contacts**

The presentation takes as its point of departure approaches to maintenance of language and culture of immigrant communities in Sweden, and how members of these communities are encouraged to preserve their home language, along with acquiring Swedish. The Georgian community in Sweden is relatively small, but it is actively involved in promoting Georgian-Swedish literary contacts. This involves original literary production, as well as translations from Georgian into Swedish, and from Swedish into Georgian. An important hub in this endeavor is the Malmö-based publishing house *Smockadoll*, which has published 13 Georgian titles in Swedish, partly in collaboration with Georgian partners. Smockadoll's Georgian publications include two books by the poet Zurab Rtvelashvili, who lived in emigration in Sweden from 2009 to 2019.

**Keywords:** language and culture maintenance, migration, emigrant literature, translation.

**კარინა ვამლინგი**  
*მალმეს უნივერსიტეტი*  
*შვედეთი, მალმე*

### **ემიგრანტული კულტურა შვედეთში ქართულ-შვედურ ლიტერატურულ კონტაქტებზე ფოკუსირებით**

მოხსენების ძირითადი თემაა შვედეთის მიდგომა იმიგრანტი თემების ენისა და კულტურის შენარჩუნების მიმართ, კერძოდ, თუ როგორ ეწყობა ხელი ამ თემების წევრებს მშობლიური ენის შენარჩუნებასა და შვედური ენის შესწავლაში. შვედეთში ქართული თემი დიდი არ არის, მაგრამ ის აქტიურად მუშაობს ქართულ-შვედური ლიტერატურული კონტაქტების განვითარებისა და ხელშეწყობის სფეროში. ეს მოიცავს ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნას, ასევე ქართულიდან შვედურ ენაზე და შვედურიდან ქართულ ენაზე თარგმანებს. ამ საქმეში მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს მალმეში დაფუძნებული გამომცემლობა *Smockadoll*-ი, რომელმაც ქართულ მხარესთან თანამშრომლობით შვედურ ენაზე 13 ქართული ნაწარმოები გამოსცა, მათ შორის 2009-2019 წლებში შვედეთში ემიგრაციაში მცხოვრები ზურაბ რთველიაშვილის ლექსების ორი კრებული.

**საკვანძო სიტყვები:** ენისა და კულტურის შენარჩუნება, ემიგრანტული ლიტერატურა, თარგმანი.